

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

10/2021

შეღარებოთი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz und
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წეტელის სახელობის
სახელმწიფოსა და
საპართლის ინსტიტუტი

10/2021

შვედარეგონთი სამარტონს

ქარტონ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფოსა და სამარტონს ინსტიტუტის გამოცემა

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წუტულის სახელობის
სახალხოიფოსა და
საპარტოლის ინსტიტუტი



ჟურნალი დაფუძნებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. 2020 წლის მე-3 ნომრიდან მის დაფინანსებას აგრძელებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ).

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე

ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე

ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე

ადვოკატი გორა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი
გიორგი კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2021

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2021

© ავტორები, 2021

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge, www.lawjournal.ge, www.isl.ge

სარჩევი

სტატიები

ბიოლოგიური და სამართლებრივი მამის უფლებათა ურთიერთმიმართება ქართულ სამართალში – შედარებით-სამართლებრივი ანალიზი <i>არკადიუმ ვუდარსკი / ლადო სირდაძე</i>	7
დასკვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით: ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი ნაწილი II – ზოგადი დებულებები, იურიდიული პირი <i>ოლაფ მუტჰორსტი</i>	22
პირის გამოკითხვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად <i>ბექა ხუფენია</i>	100
კიბერსივრცეში განხორციელებულ ქმედებათა კრიმინალიზაციის აუცილებლობა <i>გიორგი ამაშუკელი</i>	110

სასამართლო პრაქტიკა

მაუწყებლის ვალდებულება პოლიტიკური რეკლამის შინაარსთან მიმართებით <i>(ჯორბენაძე)</i>	119
გავრცელებული ცნობების სიმცდარის მტკიცების ტვირთი <i>(ქავშაია)</i>	123

ბიოლოგიური და სამართლებრივი მამის უფლებათა ურთიერთმიმართება ქართულ სამართალში – შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

არკადიუმ ვუდარსკი

ზიელონა გორას უნივერსიტეტის პროფესორი; ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის პროფესორი

ლადო სირდაძე

ბეზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი

I. პრობლემის აღწერა

დედის ქმრის მამობის პრეზუმფცია არაერთ ქვეყანაში მოქმედებს და მისი გავლენა ოჯახურ ცხოვრებაზე ძალიან დიდია, თუმცა საინტერესოა, შეფასდეს მის გამოსადგობა დღევანდელ საზოგადოებაში. ის შესაძლოა, ყოველთვის არ იცავდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. წინამდებარე სტატია ძირითადად ეძღვნება საქართვე-

ლოში მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოს, თუმცა ქართული ნორმები განხილულია შედარებით-სამართლებრივ ჭრილში გერმანული, პოლონური და შვეიცარიული რეგულაციებისა და იქ განვითარებული თანამედროვე ტენდენციების მოშველიების გზით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბიოლოგიური მამის სტატუსი, რომელიც არ არის სამართლებრივი მამა. იმის გათვალისწინებით, რომ დედის ოჯახური მდგომარეობა სრულყოფილად ვერ განსაზღვრავს ბავშვის წარმოშობის საკითხს, სასურველია უფრო მოქნილ გადანაცვებაზე ფიქრი.

დედის ოჯახური მდგომარეობა ბავშვის დაბადების მომენტში განსაზღვრავს სამართლებრივ მამობას. თუ დედა დაქორწინებულია, ბავშვის (სამართლებრივი) მამა დედის ქმარია. თუ, მეორე მხრივ, ბავშვი დაიბადა ქორწინების გარეშე, მისი წარმო-

¹ აღნიშნული პუბლიკაცია წარმოადგენს ციურისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განხორციელებული კვლევითი პროექტის შედეგს, რომელიც დაფინანსდა მ. ბეკკერის პროგრამით აკადემიური გაცვლის ეროვნული სააგენტოს (NAWA) მიერ; კონტრაქტის ნომერი PPN/BEK/2020/1/00330/U/00001. This publication is the result of a research project carried out at the Faculty of Law, University of Zurich, funded by the M. Bekker Programme of the National Agency for Academic Exchange (NAWA); contract no. PPN/BEK/2020/1/00330/U/00001.

შობა განისაზღვრება მამობის აღიარებით ან სასამართლო გადაწყვეტილებით. ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობის ასეთი დიფერენციაცია და მისი დამოკიდებულება დედის ოჯახურ მდგომარეობაზე იწვევს უამრავ ეჭვს, რომელიც შეიძლება მიემართებოდეს, მაგალითად, ქორწინებაში და ქორწინების გარეთ დაბადებული შვილების განსხვავებული მოპყრობის გამართლებულობას. უფრო და უფრო ხშირად ბავშვის წარმოშობის დამდგენი წესები არ ასახავს ბიოლოგიურ რეალობას და იწვევს კანონიერი და ბიოლოგიური მამობის გამიჯვნას. ამ კონტექსტში მთავარი კითხვაა, რამდენად იძლევა კანონმდებელი ბავშვის კანონიერი წარმომავლობის შესწორების შესაძლებლობას. ეს კვლევა ეძღვნება ამ საკითხს, რომელიც აანალიზებს მამობის პრეზუმფციის გადასინჯვის სამართლებრივ ჩარჩოს. ამრიგად, ეს არის *pater est quem nuptiae demonstrant* პრინციპის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

ქართული, ისევე როგორც პოლონური, ოჯახის სამართალი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უგულვებელყოფილი სფეროა. ეს ტენდენცია დიდი ხანია მიმდინარეობს და, სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში უარესდება. სამართლის რეფორმაციის შემდეგ პრიორიტეტი იყო, უპირველეს ყოვლისა, საკუთრების სამართალში ცვლილებების შეტანა, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია ეკონომიკის ძირითად სფეროებისთვის, კომერციული, ფინანსური და საბანკო სექტორისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები თანდათან მოიცავდა სამართლის ყველა სფეროს, მოვლენები ხელოვნურად დააჩქარა ევროკავშირში განეწინაურება.

ბის პროცესმა. პოლონურ საოჯახო სამართალში, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება ვისაუბროთ ნელ ევოლუციაზე,² რომელიც ხშირად დანაწევრებული და შემთხვევითი იყო. სისტემური მიდგომისა და სიღრმისეული დოგმატური ანალიზის არარსებობის შედეგები ჩანს არა მხოლოდ ნახევარი საუკუნის წინანდელ გადაწყვეტილებებში,³ არამედ შედარებით ახალ რეგულაციებშიც, რომელთა პრაქტიკულობა უმნიშვნელო აღმოჩნდა.⁴ ამავე დროს, საოჯახო სამართალს აკლია მრავალი რეგულაცია⁵ და არსებული გადაწყვეტილებები ყოველთვის არ არის ადაპტირებული საზოგადოების ცვალებად საჭიროებებზე; უფრო მეტიც, ისინი ზოგჯერ უსამართლოა და არ ემსახურება არც ოჯახისა და არც ბავშვის კეთილდღეობას. ეს ბადაბს ლეგიტიმურ ეჭვებს, რომლებიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში. საოჯახო სამართალში აუცილებელია ფართო და სიღრმისეული სამეცნიერო დისკუსია,

² კოდექსი ოჯახისა და მეურვეობის შესახებ 34-ჯერ არის შესწორებული.

³ მაგალითად, არსებობს რეგულაციები განქორწინების საფუძვლებთან დაკავშირებით (მუხლი 56 KRO), განქორწინების განკარგულებაში დანაშაულის გამოძიება (მუხლი 57 KRO) ან განქორწინებულ მეუღლეებს შორის ალიმენტი (მუხლი 60 KRO).

⁴ ეს ეხება, მაგალითად, სამართლებრივ განცალკევებას (მუხლი 61¹ - მუხლი 61⁶ KRO).

⁵ მაგალითად, არ არსებობს რეგულაცია ბიოლოგიური მამის შვილთან კონტაქტის უზრუნველსაყოფად (შდრ. მუხლი 113-113⁶ KRO), რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას; იხ., მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება № 17080/07, შნაიდერი გერმანიის წინააღმდეგ.

რათა დადგინდეს საჭირო ცვლილებების ძირითადი მიმართულებები, შემდეგ კი შემუშავდეს დეტალური გადაწყვეტილებები. შეუძლებელია შედარებით-სამართლებრივ კვლევებზე უარის თქმა, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული და პოლიტიკური ფონი, ასევე ქვეყნის სოციალური და კულტურული სპეციფიკა. პოლონური, ისევე, როგორც ქართული საოჯახო სამართლის რეფორმის დროს, გერმანული სამართლის ანალიზი შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდეს. ბოლო დროს ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა კანონმდებლობაში. თუმცა, მიუხედავად მათი აქტუალურობისა, ისინი ზოგჯერ შეუმჩნეველი დარჩა პოლონურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქართული კანონმდებელი ერთგული რჩება პრინციპისა *pater est quem nuptiae demonstrant* გამობატული იუსტინიანეს დიგესტებით,⁶ რომლის მიხედვითაც, ბავშვის მამა დედის ქმარია. ასეთი პრეზუმფციის საფუძველია იდეალური ოჯახის მოდელი, რომელიც ვარაუდობს, რომ ბავშვების ბიოლოგიური მშობლები დაქორწინებულები არიან. ასეთი ვარაუდი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გადაწყვეტა არ არის რომელიმე ქვეყნის ფენომენი; ის ფართოდ არის ცნობილი და გამოიყენება არა მხოლოდ ევროპულ სამართლებრივ სისტემებში. თუმცა, მაგალითად, შვეიცარიაში მას აქვს თავისი სპეციფიკა და სპეციალური მნიშვნელობის მატარებელია. თუმცა, ბავშვის წარმოშობის საკითხი უფრო და უფრო ხშირად გადადის სოციალური რეალობიდან, იწვევს უამრავ პრობლემას და გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ -

ყოველთვის არ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ ბიოლოგიური მამის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც არ არის სამართლებრივი მამა.

სტატიაში გამოყენებული იქნება ექსპერტთა ინტერდისციპლინარული ჯგუფის მიმდინარე მუშაობის შედეგები, რომელიც განხორციელდა შვეიცარიაში. ჯგუფი შეიქმნა 2019 წლის 1 ივლისს შვეიცარიის იუსტიციის სამინისტროს მიერ, რათა გამოიძიოს, შეესაბამება თუ არა წარმოშობის სამართალი არსებულ რეალობასა და სოციალურ საჭიროებებს. ექსპერტებმა უნდა მოამზადონ რეკომენდაცია რეფორმის შესაძლო კონცეფციასთან ერთად. შვეიცარიის კომისიის მუშაობის შედეგები ჯერ უცნობია. გერმანიაში, სადაც ამ სამართლებრივი სფეროს რეფორმა უკვე რამდენიმე წელია მომზადებულია, სამუშაოები ბევრად უფრო დაწინაურებულია. მიუხედავად ამ ქვეყანაში დეტალური რეკომენდაციების შემუშავებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შედგენისა,⁷ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა რეფორმის სრულად განხორციელება და წარმოშობის სამართლის ახალი კონცე-

⁶ Digestia 2.4.5.

⁷ იხ. გერმანიაში სამი რეფორმის პროექტი. მომზადდა იუსტიციისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტროს მიერ (BMJV - Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz): (1) *Abstammungsbericht* (Arbeitskreis - Abstammungsrecht - Abschlussbericht. Empfehlungen für 2017, 4 ; (2) *Diskussionsteilentwurf* (Gesetz zur Reform des Abstammungsrechts, 13 მარტი, 2019), ბერლინი 2019; (3) *Referentenentwurf* (Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Abstammungs-, Kindschafts- und Kindesunterhaltsrechts, 19 აგვისტო 2020), ბერლინი 2020.

ფციის მოძიება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა შორს მიმავალ სოციალურ ცვლილებებთან.

II. სხვადასხვა ტიპის მამობა და მათი სამართლებრივი მნიშვნელობა

1. სამართლებრივი მამა

ა) *pater est quem nuptiae demonstrant* პრინციპი

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა არაერთ ქვეყანაში, სამართლებრივი მამის სტატუსის შექმნისას გამოიყენება *pater est quem nuptiae demonstrant* პრინციპი, რომელიც გამტკიცებულია სკ-ის 1189-ე მუხლში.

ბავშვის მამად მიიჩნევა ის პირი, რომელიც დაბადების მომენტში არის ქორწინებაში მის დედასთან. ჩასახვის მომენტს მნიშვნელობა არ ენიჭება.⁸ *pater est quem nuptiae demonstrant* პრინციპი აღარ მოქმედებს ქორწინების დასრულების შემდეგ, რადგანაც მისი წინაპირობა მიმდინარე ქორწინებაა.

ხელოვნური განაყოფიერების შემთხვევაში ბავშვის მშობლების საკითხი წყდება სპეციალური წესების გათვალისწინებით.⁹

ქორწინების გარეთ დაბადებული ბავშვის შემთხვევაში, ბუნებრივია, მამის განსა-

ზღვრა ამ პრინციპის გამოყენებით შეუძლებელია. სწორედ ამიტომ გაითვალისწინა ქართველმა კანონმდებელმა დამატებითი სპეციალური წესები სკ-ის 1190-ე მუხლში. მაგალითად, აღიარების გზით, რომელიც ცალმხრივი, ფორმასავალდებულო, არამიღებასავალდებულო პიროვნული გარიგებაა.¹⁰ იმის გათვალისწინებით, რომ მამობის აღიარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ მოქმედებს ზემოაღნიშნული პრინციპი, მესამე პირის მიერ განხორციელებული აღიარება განქორწინების პერიოდში გაცხადებული აღიარება მესამე პირს მიერ ნამდვილი ხდება მხოლოდ განქორწინების საბოლოოდ დასრულების შემდეგ.¹¹ აღიარება შეიძლება როგორც პრენატალურად (პირობადებულად, დაბადების პირობით¹²), ისე ბავშვის გარდაცვალების შემდეგ.¹³

1190 I მუხლის მიხედვით, მამის მხრიდან აღიარება საჭიროებს დედის თანხმობას („ერთობლივი განცხადება“), რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედებს არა ბავშვის კანონისმიერი წარმომადგენლის, არამედ ე. წ. „საკუთარი უფლებამოსილებიდან“ გამომდინარე: აღიარება ეხება მის სამართლებრივ მდგომარეობას. თანხმობის ჩანაცვლება შეუძლებელია. მისი არგაცემის შემთხვევაში მამობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით (1190 II და მომდევნო ნაწილები). თანხმობის გაცხადება არ შეიძლება მოხდეს პირობადებულად ან მხოლოდ გარკვეული ვადით. ის არის პიროვნული გარიგება, არამიღებასავალდე-

⁸ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 46.

⁹ სუროგაციასთან დაკავშირებით იხ. ვრცლად გელაშვილი, სუროგაციის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები, სამართლის ჟურნალი 1/2011, 90-ე და მომდევნო გვერდები.

¹⁰ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 47.

¹¹ BGH NJW 2004, 1595.

¹² BGH FamRZ 2016, 1851.

¹³ BayObLG FamRZ 2001, 1544.

ბულო და მისი გაცხადება შეიძლება ბავშვის დაბადებამდეც.¹⁴

სკ-ის 1190 I მუხლი აღიარებასთან ერთად მოითხოვს დედის თანხმობას. ამ წესის ანალოგიით, ბავშვის თანხმობა საკმარისია დედის თანხმობის ნაცვლად, თუ დედას ჩამორთმეული აქვს ზრუნვის უფლება.¹⁵

ბ) pater est quem nuptiae demonstrant პრინციპის გადასინჯვა

პრინციპი *pater est quem nuptiae demonstrant* კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს ქვეყნებში, რომლებიც აღიარებენ ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინებას. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის. შესაბამისად, საქართველოში ამ პრინციპს საფრთხე არ ემუქრება და მისი გადასინჯვა შეუძლებელიც კია.

თუმცა იგივე არ ითქმის იმ ქვეყნებზე, სადაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება ნებადართულ იქნა. ამ ცვლილებებთან ერთად თანდათან დაიწყო საუბარი *pater est quem nuptiae demonstrant*-ის გადასინჯვაზე.

შვეიცარიულ დოქტრინაში¹⁶ ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპის შემოღების ძირითადი მიზეზები ახლა სრულიად შეუსაბამოა

ქვეყანაში არსებულ რეალობასთან. კერძოდ, ეს ეხება ისეთ მიზეზებს, როგორცაა, მაგალითად, გენეტიკური წარმოშობის შემონმების უუნარობა. ამავე დროს, დედის ქმრის „უფლება“ ქორწინების დროს დაბადებულ ბავშვებზე არ არის და არ შეიძლება იყოს ამგვარი რეგულაციის შენარჩუნების გამამართლებელი არგუმენტი. ეს პრინციპი იწვევს დისკრიმინაციას ქორწინებაში და ქორწინების გარეთ დაბადებულ ბავშვებს შორის.¹⁷ შედეგად, გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული წესი მთლიანად უნდა იქნას უკუგდებული და შეიცვალოს ინტენდირებული მშობლობის კონცეფციით.¹⁸ ამ გზით, პირი, რომელიც ცნობს ბავშვს საკუთარ შვილად დედის თანხმობით, ხდება ბავშვის კანონიერი მშობელი. ამიტომ ინტენდირებული მშობლობა ემყარება ბავშვზე პასუხისმგებლობის აღების ერთსულოვან ნებას და, შესაბამისად, მონყვეტილია დედის ოჯახურ მდგომარეობას და შვილის ბიოლოგიურ წარმოშობას. ეს არ არის სრულიად ახალი გამოსავალი; მსგავსი განზრახვების დანახვა შესაძლებელია, მაგალითად, ორსულ ქალთან ქორწინების, ქორწინების გარეთ დაბადებულ ბავშვის მამობის აღიარების ან ჰეტეროლოგიური განაყოფიერების თანხმობისას.¹⁹ ინტენდირებული მშობლობა ასევე ვრცელდება ურთიერთობის სხვა ფორმებზე, კერძოდ ერთ-

¹⁴ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 47.

¹⁵ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 47.

¹⁶ *Schwenzer, Familienrecht und gesellschaftliche Veränderungen, FamPra.ch 2014, 994.*

¹⁷ *Schwenzer, Familienrecht und gesellschaftliche Veränderungen, FamPra.ch 2014, 994.*

¹⁸ *Schwenzer, Familienrecht und gesellschaftliche Veränderungen, FamPra.ch 2014, 995; Rusch, Rechtliche Elternschaft. Rechtsvergleich und Reformvorschlag für die Schweiz, Schriftenreihe zum Familienrecht vol. 13, Stämpfli Verlag, Bern 2009, 158-ე და მომდევნო გვერდები.*

¹⁹ *Schwenzer, Familienrecht und gesellschaftliche Veränderungen, FamPra.ch 2014, 995.*

ნაირსქესიანთა ქორწინებაზე, რაც შვეიცარიაში ახლა განსაკუთრებით აქტუალური თემაა.

დედის ქმრის მამობის პრეზუმფციის შეცვლა მამობის დეკლარაციით შეიძლება იყოს დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მქონე აქტი და შესაძლოა მან შეასრულოს თავისი ფუნქციები პრაქტიკაში, იმ პირობით, რომ ეს არ იქნება ძალიან ფორმალური. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის დოქტრინაში უკვე განიხილება საკანონმდებლო ცვლილებების კონკრეტული წინადადებები, *pater est quem nuptiae demonstrant*-ის სრული გაუქმება რევოლუციური გადაწყვეტაა.

ცვლილებების ალტერნატიული მიმართულებების ძებნა შესაძლებელია გერმანიაში, სადაც რამდენიმე წელია მიმდინარეობს ინტენსიური დისკუსია იმ ნორმათა რეფორმაზე, რომლებიც განსაზღვრავს ბავშვის წარმოშობას. იუსტიციისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტროს მიერ დანიშნულ ექსპერტთა ჯგუფი, რომლის ფუნქციაც ამ სფეროში სამართლებრივი რეფორმის მომზადებაა, საბოლოო ანგარიშში²⁰ აპელირებს მამობის იურიდიული პრეზუმფციის კორექტირების შესაძლებლობაზე. დედის მეუღლე პრენატალურად აღიარებს ბავშვის მამობას. მამობის აღიარების უფლება შეიძლება შემოიზღუდოს არა მხოლოდ პრენატალური პერიოდით, არამედ მოიცავდეს ასევე მშობიარობის შემდგომ რვა კვირას.²¹ თუმცა, ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, უფრო ღრმა ანალიზი უნდა გაკეთდეს იმ სავარაუდო პერიოდთან დაკავშირებით, რა დრო-

შიც შესაძლებელი უნდა იყოს მამობის შეცვლა. როგორც ჩანს, აუცილებელია საფუძვლიანი კვლევის ჩატარება, რომელიც - ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით - დაეხმარება სწორი პერიოდის განსაზღვრას.

მამობის თანხმობა ბევრად უფრო მოქნილს ხდის ბავშვის კუთვნილების შეცვლას დედის ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად და ხშირად დამოუკიდებელია ხანგრძლივი სასამართლო პროცესებისგან. შედეგად, მამობის კონვერტაცია გამარტივებულია და დაჩქარებულია. ეს გადაწყვეტა აკმაყოფილებს სოციალურ საჭიროებებს. პრაქტიკაში იგი, პირველ რიგში, გამოიყენება იმ სიტუაციებში, როდესაც დედის ქმრის მამობა გამორიცხულია ან ნაკლებად სავარაუდოა, განსაკუთრებით მეუღლეთა ხანგრძლივი განშორების ან უნაყოფობის შემთხვევაში. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემოთავაზებული გადაწყვეტა უნდა განიხილებოდეს როგორც გამონაკლისი, რომელიც ვინც უნდა იქნეს გამარტებული და შემოიფარგლოს მამობის ერთჯერადი ცვლილებით. ამ რეჟიმში სხვა კუთვნილების კორექტირება შეუძლებელია. ეს იმიტომ ხდება, რომ ის საფრთხეს უქმნის სამართლებრივ უსაფრთხოებას და ოჯახური ურთიერთობების სტაბილურობას. ასეთი შეზღუდვა არის ეფექტიანი დაცვა ბოროტად გამოყენებისა და დაუფიქრებელი გადაწყვეტილებებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური მამობის დასადასტურებლად შესაძლებელია დნმ-ის ტესტების წარდგენის მოთხოვნა, ეს არ უნდა იყოს სრულყოფილი გამოსავალი. ის ასევე შეუთავსებელი იქნებოდა სხვა რეგულაციებთან და მოითხოვდა უფრო ღრმა საკანონმდებლო ცვლილებებს. შემოთავა-

²⁰ MBJV, *Abstammungsbericht*, 2017, ტომი 17, 44–45.

²¹ MBJV, *Abstammungsbericht*, 2017, ტომი 17, 44–45.

ზებული გადაწყვეტა, საბოლოო ჯამში, მაინც არ ამცირებს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის დონეს დედის ქმრის მამობის კანონიერ პრეზუმფციასთან შედარებით.

2. ბიოლოგიური მამა

ბიოლოგიური მამა არის პირი, რომელმაც ბიოლოგიურად მიიღო ბავშვის ჩასახვაში მონაწილეობა და აქვს გენეტიკური კავშირი საკუთარ შვილთან. ბიოლოგიური მამის უფლებები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. საქართველოში მას აქვს მხოლოდ ერთი უფლება - შეეცილოს სამართლებრივ მამობას. სხვა ყველა უფლება კი წარმოიშობა მამობის სამართლებრივი სტატუსის მოპოვების შემდეგ.

ბიოლოგიურ მამას, რომელიც არ არის სამართლებრივი მამა, პოლონეთში ექცევიან ისე, როგორც მესამე პირს, და მას არ აქვს უფლება, დაუპირისპირდეს სამართლებრივ მამობას. ეს იყო ასევე შვეიცარიელი კანონმდებლის განზრახვი გადაწყვეტილება, რომელმაც მიიჩნია, რომ არც ბავშვის დედა და არც ბიოლოგიური მამა არ იმსახურებს იურიდიულ დაცვას. როგორც დედის ქმრის მამობის უარყოფის კანონიერი ინტერესის მქონე პირს, ბიოლოგიურ მამას შეუძლია შეუერთდეს უფლებამოსილი მოსარჩელის მხრიდან მიმდინარე სასამართლო პროცესს.²² ამრიგად, თუ დედის ქმრის მამობა არ არის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული უფლებამოსილი პირის მიერ, სამართლებრივი პრეზუმფცია სავალდებულოა და გამოიყენება მაშინაც კი, თუ არსე-

ბობს მითითებები, რომ დედის ქმარს შეიძლება არ ჰქონდეს ბიოლოგიური ურთიერთობა ბავშვთან.

ბიოლოგიურ მამას, რა თქმა უნდა, შეუძლია აღიაროს მამობა ან მიმართოს სასამართლოს. თუმცა, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სამართლებრივი მამა. ამასთან, დაუშვებელია მამობის აღიარება იმ პირობით, რომ სხვა მამაკაცის მამობა გაუქმდება.²³ შვეიცარიულ სამართალში სამართლიანად მიჩნეულია, რომ პირობითი აღიარება არ არის საუკეთესო ბავშვის ინტერესებისთვის. იგი წარმოშობს გაურკვეველ ოჯახურ ურთიერთობებს. ყოველივე ამის შემდეგ, სამართლებრივი მამის სტატუსის გაუქმების დრო არ არის განსაზღვრული და ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება. ასეთი შესაძლებლობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ოჯახური სტატუსის გამჭვირვალობისა და განსაზღვრულობის პოსტულატიც. ამიტომ, ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც სამართლებრივი მამობა დადგენილია პრეზუმფციის საფუძველზე და ბიოლოგიურ მამას არ აქვს შეცილების დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტრუმენტები, ეს მიდგომა ნათლად აჩვენებს სამართლებრივი მამობის აბსოლუტურ უპირატესობას.

იმავედროულად, ბიოლოგიური მამის სრული გამორიცხვა იმ ადამიანთა წრიდან, რომელთაც უფლება აქვთ დაუპირისპირდნენ მამობას, მცდარი გადაწყვეტაა. იგი ემყარება სრულიად განსხვავებულ სოციალურ რეალობაში ჩამოყალიბებულ დოგმას. ამიტომ მისასაღმებელია ქართველი კანონ-

²² Schwenger/Cottier, in *Basler Kommentar*, მუხლი 256, 7, 1478.

²³ Geiser, *Kind und Recht - von der sozialen zur genetischen Vaterschaft*, „Die Praxis des Familienrechts“ (FamPra.ch) 2009, გვ. 48.

მდებლის გადაწყვეტა, რომელმაც ბიოლოგიური მამაც აღჭურვა შეცილების უფლებით. დღეს არ არსებობს დამაჯერებელი არგუმენტები, რომლებიც გაამართლებენ ბიოლოგიური მამის მეორე კლასის, „სარეზერვო“ მამად აღქმას იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაკარგავს ან არ ჰყავს სხვა (სამართლებრივი) მამა. ასეთი გადაწყვეტა ღრმად ერევა პირად ცხოვრებაში და ინვესტს ბიოლოგიური მამის დაუსაბუთებელ მარგინალიზაციას. ასეთ დროს აღარ რჩება ადგილი ბიოლოგიურ კავშირებზე დაყრდნობით ემოციური და ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და დამყარებისათვის, რაც, ბოლოსდაბოლოს, განუყოფლად არის დაკავშირებული ადამიანის იდენტობასთან.²⁴ გარდა ამისა, ბიოლოგიური მამისთვის შეცილების უფლების არ მინიჭება ეფექტიანად ვერ იცავს ბავშვის კეთილდღეობას ან ოჯახური ცხოვრების სტაბილურობას.

ბიოლოგიური მამის სურვილი, იკისროს შვილზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა, უნდა დაექვემდებაროს რეალურ სამართლებრივ დაცვას. რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება იყოს აბსოლუტური დაცვა. ის უნდა დაეფუძნოს ინტერესთა ყურადღებით დაბალანსებას. მთავარი არ არის მამობის ფორმა, არამედ ოჯახური კავშირების ხარისხი და გამძლეობა. კანონმდებელმა ამიტომ ყოველთვის უნდა უზრუნველყოს ასეთი კავშირების დამყარების შესაძლებლობა და გაითვალისწინოს ბავშვსა და მამას შორის არსებული ურთიერთობა როგორც იურიდიული,

ისე ბიოლოგიური.²⁵ როგორც ჩანს, მამობის შეცილება უპრობლემოა პრენატალურ²⁶ და მშობიარობის შემდგომ მოკლე პერიოდში. ამ დროს ის ყველაზე ნაკლებად ინვაზიურია და არ ემუქრება ბავშვის კეთილდღეობას, ამიტომ ამ პერიოდში შეცილების უფლება ყოველთვის ღია უნდა იყოს ბიოლოგიური მამისთვის.

ამ მხრივ, საინტერესო ევოლუცია ჩანს გერმანიაში, სადაც არც ისე დიდი ხნის წინ²⁷ (საქართველოსგან განსხვავებით) ბიოლოგიურ მამას - ისევე, როგორც შვეიცარიაში და პოლონეთში - არ ჰქონდა შესაძლებლობა შეცილებოდა სამართლებრივ მამობას.²⁸ ეს იყო კანონმდებლის განზრახვი გადაწყვეტილება, რომელიც 2003 წელს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ²⁹ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ იქნა აღიარებული. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სავარაუდო ბიოლოგიურმა მამამ - გარკვეულ პირობებში - მიიღო სამართლებრივი მამობის შეცილე-

²⁴ ეს საკითხი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ პიროვნების აღიარებით, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გარანტირებული იყოს სხვა სამართლებრივი რეგულაციებით.

²⁵ MBJV (*Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz*), *Abstammungsbericht. Arbeitskreis - Abstammungsrecht - Abschlussbericht. Empfehlungen für eine Reform des Abstammungsrechts*, ბერლინი 2017, ტ. 29, 52-ე და მომდევნო გვერდები.

²⁶ პრაქტიკული მოსაზრებები პრენატალურ პერიოდში ბავშვის სტატუსის ცვლილების შესახებ *Siegenthaler*, *Statutsänderungen vor der Geburt des Kindes*, „*Zeitschrift für Zivilstandwesen*“ (ZZW) 1987, 35–37.

²⁷ 2004 წლის 30 აპრილამდე, გერმანიის კანონი არ აძლევდა ბიოლოგიურ მამას მამობის შეცილების შესაძლებლობას.

²⁸ *Wudarski*, *Zaskarzenie ojcostwa przez ojca biologicznego w prawie niemieckim*, „*Transformacje Prawa Prywatnego*” 4/2019, 157–174.

²⁹ NJW 2003, 2151-2158.

ბის უფლება, რასაც, დიდი ხანია, მხარს უჭერდნენ გერმანული დოქტრინაში.³⁰ თუმცა, ბიოლოგიური მამის ეს უფლება არ არის ყველაფრისგან დამოუკიდებელი. ის შეზღუდულია დროში და დამოკიდებულია ბავშვსა და სამართლებრივ მამას შორის სოციალური და ოჯახური კავშირების არსებობაზე. ამრიგად, სამართლებრივი მამა კვლავ პრივილეგირებულ მდგომარეობაშია და ბიოლოგიური მამის ინტერესების დაცვა მეორეხარისხოვანი რჩება. ამგვარი რეგულირების ეფექტიანობა პრაქტიკულად უმნიშვნელოა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ცვლილებები კარგია, გერმანული კანონმდებელი კვლავ გზაჯვარედინზეა და მოქმედი რეგულაციები შორსაა იდეალურისგან და უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს. ამ მხრივ, გერმანელი კანონმდებლისთვის ქართული მონესრიგება სამაგალითო შეიძლება იყოს.

შვეიცარიული ლიტერატურა ასევე აღიარებს ცვლილებების აუცილებლობას და გვთავაზობს ბიოლოგიური მამის შეცილების უფლების დაშვებას, თუ სამართლებრივი მშობლები შეთანხმდებიან ბავშვის კანონიერი კუთვნილების შეცვლაზე ან თუ მათსა და შვილს შორის არ არსებობს ოჯახური კავშირები.³¹ თუმცა, გერმანული გამოცდილების გათვალისწინებით, ზედაპირული ცვლილებები საკმარისი არ არის. აუცილებელია ღრმა სისტემური ცვლილება, რაც მოახდენს ბავშვის წარმოშობის სამართლის ყოველსმომცველ რეფორმას. განსაკუთრე-

ბული მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი საექსპერტო კომისიების მუშაობას, რომლებიც ინტერდისციპლინარული და შედარებით-სამართლებრივი მიდგომით ხასიათდება.

3. სოციალურ-ოჯახური ურთიერთობა

გერმანულ სამართალში „სოციალურ-ოჯახური ურთიერთობის“ კონცეფციას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიური მამის მიერ მამობის შეცილებაუნარიანობისთვის. ნათელია, რომ ეს პოსტულატი კონფლიქტური ინტერესების დაბალანსებისას, პირველ რიგში, სამართლებრივი მამის ინტერესებს ემსახურება. თუ მასსა და შვილს შორის არსებობს სოციალურ-ოჯახური ურთიერთობა, მაშინ ბიოლოგიური მამის გზა მამობის შეცილებისკენ იკეტება. კანონმდებელი ამგვარი კავშირის არსებობას უთანაბრებს ბავშვისთვის ფაქტობრივი პასუხისმგებლობის აღებას. უფრო მეტიც, ის ვარაუდობს, რომ ეს ჩვეულებრივ ხდება იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი მამა არის ბავშვის დედის ქმარი ან ბავშვთან ერთად ცხოვრობს დიდი ხნის განმავლობაში. ასეთი ვარაუდი შეესაბამება ცხოვრების გამოცდილებას და აშკარად მნიშვნელოვანია.³² ქორწინების არსებობა არ წარმოადგენს აბსოლუტურ დაბრკოლებას, რომელიც გამორიცხავს მამობის გამოწვევას. აქ სასამართლოს აქვს ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობა ყველა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს (მაგალითად,

³⁰ შდრ. Coester-Waltjen, Familienrecht, München 2010, § 52 V, 625, fn. 250.

³¹ Schwenger/Cottier, in Basler Kommentar, მუხლი 256, 7, 1478; Schwenger, Familienrecht und gesellschaftliche Veränderungen, FamPra.ch 2014, 996.

³² BGH 2006 წლის 6 დეკემბერი, XII ZR 164/04, FamRZ 2007, გვ. 541, Juris 33-34.

მეუღლეთა განშორება).³³ ამასთან, სამართლებრივ მამას არ უნდა ეშინოდეს სტატუსის დაკარგვის, თუ ის რეალურად ახორციელებს მშობლის ზრუნვას (ან ახორციელებდა მას გარდაცვალებამდე).

ნორმატიული დანაწესი გამტკიცებულია სასამართლო პრაქტიკით. ბავშვის პასუხისმგებლობის ფაქტობრივი აღება შეიძლება ასევე მოხდეს მაშინ, როდესაც სამართლებრივი მამა არ იყო დედის ქმარი და არასოდეს ცხოვრობდა ბავშვთან ერთად.³⁴ ამას ხელს არ უშლის არც ის ფაქტი, რომ სამართლებრივი მამა დაქორწინებულია სხვა ქალზე და რომ ის უძღვება ერთობლივ ოჯახს მასთან და ამ ურთიერთობიდან წარმოშობილ ბავშვებთან ერთად.³⁵ ასეთი ოჯახური ურთიერთობები დღეს იშვიათი არაა (გერმანულ) საზოგადოებაში. ბავშვის დედასთან ურთიერთობას აქ მნიშვნელობა არ აქვს. ამასთან, გადამწყვეტია ბავშვის მიმართ ზრუნვისა და აღზრდის ვალდებულებების სწორად შესრულება, კერძოდ, მასთან რეგულარული კონტაქტის შენარჩუნება, ზრუნვა მის განვითარებასა და განათლებაზე. არსებობს სხვა, დამატებითი ინდიკატორები სოციალური და ოჯახური კავშირების არსებობისთვის, მაგალითად, მამობის აღიარება, მისი სახელის მინიჭება, დედასთან ერთად მშობლის პასუხისმგებლობის განხორციელება.³⁶ თუმცა, ფინანსური და ფორმალური ასპექტები გადამწყვეტი არ არის. რეგულაციის მიზანი არ

არის გამოგონილი ოჯახური ურთიერთობების დაცვა, რომლებიც არსებობს მხოლოდ ქალაქში. სოციალურ-ოჯახური ურთიერთობა რეალურად უნდა არსებობდეს. კერძოდ, მხოლოდ ნდობის ურთიერთობის არსებობა არასაკმარისად ითვლება, რაც ახასიათებს ნათესავებს ან მეგობრებს შორის ურთიერთობას და რომელიც, როგორც წესი, ასევე აკავშირებს ბავშვს მეურვესთან. მნიშვნელოვანია მშობლების ტიპური უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება - მიმდინარე და რეალური ურთიერთობები, მათ შორის განსაკუთრებული ზრუნვა, არის მთავარი.

სოციალური და ოჯახური კავშირის დამყარებისათვის საჭირო მინიმალური პერიოდი კანონით არ არის განსაზღვრული. ეს არის კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება. კანონმდებელმა ამ კონცეფციის ინტერპრეტაცია სასამართლო პრაქტიკას მიანდო.³⁷ დოქტრინა ითვალისწინებს პერიოდს 6 თვიდან 2 წლამდე.³⁸ თუმცა, თუ მხედველობაში მიიღება ურთიერთობის განსხვავებული ინტენსივობა, ერთიანი კონკრეტული ვადის განსაზღვრა არც მიზანშეწონილია და არც შესაძლებელი.³⁹ ამიტომ სოციალურ-ოჯახური კავშირების შეფასება სასამართლოს საქმეა. ბოლო ზეპირი მოსმენის თარიღი არის მათი შეფასების გადამწყვეტი მომენტი.⁴⁰ ამრიგად, ახლო ურთიე-

³³ BT-Dr. No15/2253, გვ.11.

³⁴ OLG Hamm, 2016 წლის 11 თებერვალი, II 12 UF 244/14, FamRZ 2016, 1187-1188, Juris 23.

³⁵ OLG Hamm 2016 წლის 4 იანვარი, II 12 UF 145/15, FamRZ 2016, გვ. 1185-1187, Juris 20.

³⁶ OLG Hamm 2016 წლის 4 იანვარი, II 12 UF 145/15, FamRZ 2016, გვ. 1185-1187, Juris 21.

³⁷ BT-Dr. No15/2253, გვ.11.

³⁸ T. Helms, Gutachten F zum 71. DJT F 68; იხ. M. Wellenhofer, 2017, § 1600 28.

³⁹ ა. სანდერსი, იყო თუ არა ოჯახი? - Der EGMR und die Mehrelternschaft, NJW 2017, 926.

⁴⁰ OLG Hamm 2016 წლის 20 ივლისი, 12 UF 51/16, FamRZ 2016, გვ. 2135-2137, Juris 22; BVerfG 2015 წლის 24 თებერვალი, 1 BvR 562/13, FamRZ 2015, გვ. 818, 10; BGH, 2017 წლის 18

რობა, რომელიც სამართლებრივ მამასა და შვილს შორის იყო წარსულში, საკმარისი არ არის, თუ ისინი არ შეესაბამება ახლანდელ ოჯახურ ურთიერთობებს.⁴¹ სასამართლო ასევე არ არის ვალდებული შეისწავლოს სოციალური და ოჯახური კავშირის პროგნოზები.⁴² სასამართლო პრაქტიკა ასევე გადამწყვეტად მიიჩნევს სასამართლო პროცესის დაწყების თარიღს, თუ სამართლებრივი მამა და დედა განზრახ (ერთ ნელზე მეტი ხნით) ახანგრძლივებენ საქმის განხილვას ამ პერიოდში ბავშვთან სოციალურ-ოჯახური კავშირის დასამყარებლად.⁴³

ლიად რჩება კითხვა, შესაძლებელია თუ არა სოციალურ-ოჯახური კავშირის ჩამოყალიბება პრენატალურ პერიოდში, ანუ ბავშვის დაბადებამდე. უარყოფითი პასუხი ბადებს კიდევ ერთ კითხვას ბიოლოგიური მამის მიერ მამობის გამონვევის (სავარაუდო) დასაშვებობის შესახებ, როდესაც ეს ხდება არა პრენატალურ პერიოდში, არამედ მშობიარობისთანავე. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მოქმედი რეგულაციების პირობებში საკმაოდ რთულია. ის არ შეესაბამება სხვა ნორმებს და ასევე ეწინააღმდეგება ტელეოლოგიურ განმარტებას. უნდა

გვახსოვდეს, რომ ბიოლოგიური მამის მიერ სამართლებრივი მამობის შეცილება არის განსაკუთრებული გამონაკლისი და მისი მიზანი, რა თქმა უნდა, არ არის ოჯახური ცხოვრების დესტაბილიზაცია ისეთ განსაკუთრებულ სიტუაციაში, როდესაც ოჯახური კავშირი რეალურად სახეზეა. უფრო მეტიც, ეს გადაწყვეტა შეეწინააღმდეგება დროის ლიმიტებსაც, მათ შორის კანონით განსაზღვრულ ვადას მამობის შეცილებლისთვის, რომელიც არ შეიძლება დაიწყოს ბავშვის დაბადებამდე.

III. მამობის შეცილება

1. მამობის შეცილება 1190 VII მუხლის მიხედვით

დაუშვებელია, *pater est quem nuptiae demonstrant* პრინციპი მოქმედებდეს უპირობოდ და მისი გადასინჯვა შეუძლებელი იყოს. სწორედ, ამ პრინციპის გადასინჯვის ერთ-ერთი საშუალებაა მამობის შეცილება. თუ არსებობს შესაბამისი წინაპირობები, შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს იმ პირის მამობის საკითხი, რომელიც ბავშვის დაბადებისას წარმოადგენდა ბავშვის დედის ქმარს და ამ გზით მოიპოვა სამართლებრივი მამის სტატუსი.

2. შეცილებაზე უფლებამოსილი პირი

ა) ბიოლოგიური მამის შეცილება

განსხვავებით მრავალი ქვეყნისგან, საქართველოში კანონმდებელმა შეცილების უფლებით, პირველ რიგში, აღჭურვა ბიოლოგიური მამა. თუ პირს აქვს საფუძველი, იფიქროს, რომ იგია ბავშვის მამა და რეეს-

ოქტომბერი, XII ZB 525/16, FamRZ 2018, გვ. 41, Juris 12;

⁴¹ BGH 2017 წლის 15 ნოემბრის, XII ZB 389/16, FamRZ 2018, გვ. 277, Juris 19-20; ამ მიმართულებით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება № 42719/14, Juris 27, FamRZ 2016, გვ. 437 - 438.

⁴² BVerfG 2015 წლის 24 თებერვალი, 1 BvR 562/13, FamRZ 2015, გვ. 818, 10; *Wellenhofer*, 2017, § 1600 22.

⁴³ OLG Karlsruhe 2010 წლის 21 იანვარი, 2 UF 69/08, FamRZ 2010, გვ. 1175-1176, 25, 28.

ტრში მამად სხვა პირია რეგისტრირებული, სკ-ის 1190 VII მუხლის მეშვეობით შეუძლია მოითხოვოს ამ პირისთვის სამართლებრივი მამის სტატუსის ჩამორთმევა და თავად მოიპოვოს იგი. გონივრული ეჭვი აუცილებელია სამართალწარმოების დაწყებისთვის, ხოლო ბიოლოგიური მამის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, ბუნებრივია, ზუსტად უნდა დამტკიცდეს, რომ სწორედ ის არის ბავშვის მამა. ასეთ დროს სამართლებრივი მამა გამოდის მოჩვენებითი მამა, რომლის ინტერესებიც, ზოგადად, უკან იწევს ბიოლოგიური მამის წინაშე. ზემოაღნიშნულ სოციალურ-ოჯახური ურთიერთობის ცნებას ქართული კანონმდებლობა უშუალოდ არ იცნობს. თუმცა აღნიშნული კავშირის გათვალისწინება ფაქტობრივად მაინც შესაძლებელია.⁴⁴ აღნიშნულის სუბსუმირება შეიძლება, მათ შორის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ქვეშ. გარდა ამისა, შეცილების უფლების გარკვეული ვადით შემოსაზღვრა არაპირდაპირ სწორედ სოციალურ-ოჯახური კავშირის დაცვას ემსახურება.

ბ) სამართლებრივი მამის შეცილება

განსხვავებით ბიოლოგიური მამისგან, სამართლებრივი მამის შეცილების უფლება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით. მიუხედავად ამისა, ანალოგიით, მასზეც უნდა გავრცელდეს სკ-ის 1190 VII მუხლის დანაწესები.⁴⁵ საკუთარი სამართლებრივი სტატუსის ეჭქვეშ დაყენების უფლება უნდა გააჩნდეს იმ პირსაც, რომელსაც

⁴⁴ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 51.

⁴⁵ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 50.

pater est quem nuptiae demonstrant პრინციპმა ავტომატურად მოუპოვა სამართლებრივი მამის სტატუსი.

გ) დედის შეცილების უფლება

ზოგჯერ მამის სტატუსის სწორად განსაზღვრა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ბავშვის დედისთვის. სხვა საკითხებთან ერთად ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ასევე ალიმენტსაც. მიუხედავად ამისა, 1190 VII მუხლი არ მიუთითებს დედის შეცილების უფლებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ დედის ინტერესიც ისეთივე დაცვის ღირსია, როგორც ბიოლოგიური მამის, ისც უნდა აღიჭურვოს შეცილების უფლებით ნორმის ანალოგიით გამოყენების გზით.⁴⁶

დ) ბავშვის შეცილების უფლება

ზემოაღნიშნული ვრცელდება ასევე ბავშვზეც. ბუნებრივია, მასაც აქვს უფლება, რომ სამართლებრივად მის მამას წარმოადგენდეს მისი ბიოლოგიური მამა. ამიტომ ანალოგიით ბავშვსაც უნდა მიენიჭოს მამობის შეცილების უფლება.⁴⁷

3. გამომრიცხავი ვადა

1190 VII მუხლი ითვალისწინებს მამობის შეცილების ვადას. ამ უფლებით სარგებ-

⁴⁶ დედის შეცილების უფლებასთან დაკავშირებით იხ. რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 50.

⁴⁷ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 50.

ლობისთვის პირს აქვს ერთი წელი მას შემდეგ, რაც „გაიგო ან უნდა გაეგო“, რომ მის ნაცვლად სხვა პირია შეტანილი რეესტრში ბავშვის მამად.

„უნდა გაეგო“ მიუთითებს გაუფრთხილებლობით არცოდნაზე, რაც შესაძლოა, არ იყოს საუკეთესო გადანყვეტა კანონმდებლის მხრიდან. ნაცვლად გაუფრთხილებლობით არცოდნის შემთხვევაში ვადის ათვლის დაწყებისა, შესაძლოა უფრო გამართლებული იყოს შეცილებისთვის აბსოლუტური ვადის დაწესება.

სამართლებრივი მამის მხრიდან შეცილების შემთხვევაში ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო, რომ არ არის ბავშვის მამა ან როდესაც მას უნდა გაეგო ამის შესახებ. თუმცა, ბუნებრივია ზოგადი ეჭვი საკმარისი არ არის.⁴⁸ საჭიროა ისეთი გარემოებები, რომლებიც უტყუარად მიუთითებენ, რომ შეუძლებელია ბავშვი ამ პირის შვილი იყოს.⁴⁹

შეცილების ვადა ჩერდება, თუ უფლებამოსილი პირი მუქარის გამო ვერ იყენებს ამ უფლებას.⁵⁰ დაუძლეველ ძალას არ წარმოადგენს და ვადას არ აჩერებს სამართლებრივი რეგულაციების არცოდნა.⁵¹

IV. ბავშვის საუკეთესო ინტერესები, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი მამობის შეცილებისას

1. შეცილების უფლების გამორიცხვა ბავშვის ინტერესებთან წინააღმდეგობისას სკ-ის 1190 VIII მუხლით

ქართველმა კანონმდებელმა მამობის შეცილების გამორიცხვის ერთ-ერთ საფუძვლად გაითვალისწინა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზანი. აღნიშნულს სასამართლო ამონებებს *ex officio*.⁵²

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ზედმეტად ზოგადი ჩანანერია. კანონმდებელი ზუსტად არ მიუთითებს, თუ სად უნდა გაივლოს ზღვარი ბავშვისა და ბიოლოგიური მამის ინტერესებს შორის და, ერთი შეხედვით, პირველ მათგანს ანიჭებს უპირობო უპირატესობას. აღნიშნული, ბუნებრივია, გამართლებულია ბავშვის სუიციდის საფრთხის შემთხვევაში.⁵³ თუმცა შედარებით უფრო მარტივ შემთხვევებში იმავე წესის გავრცელება ბიოლოგიური მამის ინტერესების დაუსაბუთებელი და უსამართლო ხელყოფა იქნებოდა.⁵⁴ სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ სხვა მიმართულებით მიდის.⁵⁵

⁴⁸ BGHZ 24, 134.

⁴⁹ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 50.

⁵⁰ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 51.

⁵¹ BGH NJW 1975, 1466.

⁵² სუსგ № ას-307-294-2015, 2015 წლის 3 ივნისი.

⁵³ BT-Drs. 16/6561, 13: დედის მხრიდან პროსტიტუციით დაკავება ჩასახვის პერიოდში.

⁵⁴ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 48.

⁵⁵ სუსგ 1160-1089-2012, 2012 წლის 22 ოქტომბერი.

2. კრიტერიუმები ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად

ა) სამოქალაქო კოდექსის მონესრიგება

სამოქალაქო კოდექსი არაერთ მუხლში იყენებს მითითებას ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე⁵⁶ და ასახელებს მას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად/კონკრეტული უფლების წარმოსაშობად ან გამოსაყენებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი ასეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ის არც რაიმე ფორმით არ არის განმარტებული და არც რაიმე კონკრეტული კრიტერიუმებია მოცემული სამოქალაქო კოდექსში, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა ამ ცნების განსაზღვრული შინაარსის დადგენას. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ ძალიან ფართე ცნების დაკონკრეტება საკანონმდებლო დონეზე არც თუ ისე მარტივი საქმეა. შესაბამისად, ერთადერთი გზა რჩება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ან სასამართლომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს, თუ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას მიიღებს მხედველობაში, რათა დაადგინოს, რა შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. „ყველა ფაქტობრივი გარემოების“ გამოსაყენებელ კრიტერიუმად მიჩნევა არაფრის მომცემია. შესაძლოა გარკვეული გარემოებები ერთ გადაწყვეტას ამართლებდნენ, სხვა გარემოებები კი - მეორეს. ასეთ დროს კანონით უნდა იყოს დადგენილი, თუ კონკრეტულად რა გარემოებები თამაშობს გადამწყვეტ როლს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრაში.

ზღვრად. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომის დიდი საფრთხე. ასევე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება იმდენად ფართოა, რომ შესაძლოა ის მოუქნელ მექანიზმად შეფასდეს.

ბ) ბავშვის უფლებათა კოდექსი

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ასევე მიუთითებს ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც შედარებით ახალი საკანონმდებლო აქტია და მიზნად ისახავს, ბავშვთან დაკავშირებული საკითხების მეტნაკლებად სრულად მონესრიგებას. ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს კოდექსის ამოსავალ წერტილს. ერთი მხრივ, კოდექსი განამტკიცებს საერთაშორისო აქტების მოქმედებას, მეორე მხრივ კი თავად ცდილობს დაადგინოს მკაფიო სტანდარტი, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის შიგნით ბავშვთა უფლებების დაცვა.

განსხვავებით სამოქალაქო კოდექსისგან, ბავშვის უფლებათა კოდექსი პირდაპირ განმარტავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესებს, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი. მიუხედავად იმისა, რომ მისასაღებელია კოდექსის მცდელობა, ამომწურავად განეროს, თუ რა მოიაზრება ბავშვის საუკეთესო ინტერესების ქვეშ, განსაკუთრებით ფართე მონესრიგება აქაც უკუშედეგის საფრთხეს შეიცავს. ბავშვის უფლებები უკეთ იქნება დაცული, თუ რაიმე ფორმით გამოიყოფა განსაკუთრებული პრიორიტეტი.

⁵⁶ მუხ. 183 I, 186 II, 1199, 1200 II, 1201 II 1, 1201 II 2, 1250 II, 1190 VIII.

რიტეტის მქონე სამართლებრივი სიკეთეები. აღნიშნული კი შესაძლებელია არა მხოლოდ ამ დეფინიციაზე დაყრდნობით, არამედ მთლიანად კოდექსის სისტემატიკის გათვალისწინებით - ბავშვის საუკეთესო ინტერესებში შედის ის უფლებები, რომლებსაც ეძღვნება კოდექსის ცალკეული დებულებები.

3. ცნების დაკონკრეტება სამოსამართლო სამართლის გამოყენებით

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტებისას უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი განმარტება სასამართლო პრაქტიკის გზით. ამ მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, მაგალითად, სუსგ 2015 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება № ას-307-294-2015,⁵⁷ რომელშიც სასამართლომ შემდეგი სახის მსჯელობა განავითარა.

არასრულწლოვანის „უპირატესი ინტერესი“ სასამართლოს მიერ განიმარტა, როგორც მისი უფლება, მიიღოს მშობლებისაგან ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც აუცილებელია მისი საზოგადოებაში ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის. სასამართლოს აზრით, ბავშვის სწორედ ეს უფლება ზღუდავს მშობლის უფლებას - იწოდებოდეს მითითებული ბავშვის მამად. საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება აღიარებულ იქნა ქვეყნის შიდა და საერთაშორისო აქტებით დაცულ გადამწყვეტ ინტერესად, რომლის დაცვის პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებაც სახელმწიფოს გააჩნია. სასამართლოს აზრით, 1190 VIII მუხლის არასათანადოდ გამოყე-

ნება არღვევს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ბავშვის ინტერესები ხელყოფისაგან.

სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობის თანახმად, სასამართლოს აქვს უფლება, თავისი ინიციატივით გამოეკვლიოს, მიადგება თუ არა ზიანი არასრულწლოვანი ბავშვის განვითარებასა და ინტერესებს, თუ მოხდება მამობის შეცილება.

სასამართლოს პოზიციით, საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკა გამომდინარეობს, მათი პირადული და განგრძობადი ხასიათიდან. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობათა განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განეკუთვნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროს. შესაბამისად, ასეთ დროს მეტია სასამართლოს „ინკვიზიციური“ როლი და ამით გამართლებულია სასამართლოს მხრიდან იმ გარემოებათა დადგენა, რომლებიც ახდენენ გავლენას არასრულწლოვანის ინტერესებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება, სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა. სასამართლოს აზრით, სსკ-ის 354 I მუხლი არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება ამავე კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით.

⁵⁷ სუსგ № ას-307-294-2015, 2015 წლის 3 ივნისი.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების ქრილში მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ხაზი გაუსვა ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ მოუმწიფებლობას და ამის გამო მისი განსაკუთრებული დაცვისა და მზრუნველობის საჭიროებას. ბავშვის აღზრდა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა უპირველესად მშობლების ვალდებულებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება გულისხმობს ბავშვისათვის ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს. საბოლოოდ, სასამართლოს აზრით, არასრულწლოვანის ინტერესების დაცვა უკეთ მიიღწევა მისი დაბადების სააქტო ჩანანერში მოსარჩელის სასარგებლოდ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების გარეშე.

სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მითითება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ილახება როგორც ბიოლოგიური მამის, ასევე არასრულწლოვანი შვილის კანონიერი ინტერესები, რადგან დაბადების სააქტო ჩანანერში გაკეთებული არასწორი აღნიშვნის გამო, შვილი კარგავს შესაძლებლობას თავისი ბიოლოგიური მამისგან კანონის საფუძველზე მიიღოს რაიმე სამართლებრივი სიკეთე. სასამართლოს მოსაზრებით, სრულწლოვნობის მიღწევის შემდეგ ბავშვს შეუძლია თავად დაიწყოს დავა შეცვალოს სამართლებრივი მოცემულობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარტება ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ გააკეთა ალიმენტის მიკუთვნებასთან დაკავშირებით.⁵⁸

⁵⁸ სუსგ №ას-1433-1353-2017, 2018 წლის 9 თებერვალი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა ქვეყნის შიდა და საერთაშორისო აქტებზე, რომლებიც მშობლებს აკისრებს ალიმენტის გადახდას და ადგენენ მის ოდენობას. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მშობლებს ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა დადგენილია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც. შესაბამისად, ალიმენტის დაკისრების საკითხის განხილვის დროს გადამწყვეტად იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის უზრუნველყოფა, ხოლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს მთავარ კრიტერიუმად დასახელებულ იქნა შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი მოთხოვნები, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების რეალური მატერიალური მდგომარეობა. სასამართლოს აზრით, ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს

მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, ის უნდა იყოს ეფექტიანი და ქმედითი ღონისძიება, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნას.

V. პროცესუალური მხარე

ბავშვის მამობის სასამართლო წესით დადგენის მოთხოვნის უფლება აქვს მშობლებს (სამართლებრივი და არა ბიოლოგიური გაგებით), მეურვეს/მზრუნველს, პირს, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი და თავად ბავშვს, სრულწლოვანების მიღწევის მომენტიდან.⁵⁹ მათ აქვთ უფლება მოთხოვნ თანხმობა სავარაუდო მამისაგან გენეტიკური მასალის აღებაზე, რათა ჩატარდეს შესაბამისი გენეტიკური კვლევები.

სკ-ის 1190 II მუხლში მოხსენიებულია მხოლოდ სამართლებრივი მშობლები, ამიტომაც სავარაუდო ბიოლოგიური მამა ამ დანაწესის თანახმად მამობის დადგენას ვერ მოითხოვს, მან ჯერ უნდა გამოიყენოს მამობის შეცდომების პროცედურა სკ-ის 1190 VII მუხლის მიხედვით.⁶⁰ წინააღმდეგ შემთხვევაში, მამობის დადგენა მოხდებოდა ისე, რომ პირი არ იკისრებდა რჩენის ვალდებულებას.⁶¹ აღნიშნული კი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

მამობის დადგენის მიზნით შესაძლოა ჩატარებულ იქნეს შემდეგი სახის გამოკვლე-

ვები: ა) სისხლის ჯგუფის გამოკვლევა, რომელიც უკავშირდება სისხლის განსაზღვრული მახასიათებლების მემკვიდრეობითობას და იძლევა საშუალებას გამოირიცხოს კონკრეტული პირის მამობა, თუ ბავშვის სისხლში არ ფიქსირდება არც მისი და არც დედისათვის დამახასიათებელი ეს ნიშნები; ბ) HLA-დასკვნა იკვლევს სისხლის თეთრი უჯრედების ანტიგენს; გ) DNA-დასკვნა ანალიზს უკეთებს უჯრედის გარკვეული ბირთვული მოლეკულების სტრუქტურას; დ) სარეზერვოდ: ანთროპოლოგიური მტკიცებულებები.⁶²

როდესაც დაინტერესებული პირი ითხოვს გენეტიკურ ექსპერტიზას, რათა დადგინდეს, თუ ვინ არის რეალურად ბავშვის მამა, მოთხოვნის მეორე მხარე ვალდებულია, დასთანხმდეს ნიმუშის აღებას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა აღნიშნული მოთხოვნის სასამართლო წესით განხორციელება.⁶³ აღნიშნული მოთხოვნა შესაძლოა მიემართებოდეს ასევე ბავშვსაც, რადგანაც, როგორც წესი, მისი გენეტიკური ნიმუშის გარეშე, შეუძლებელია, ბიოლოგიური მამის ვინაობის დადგენა. ასეთ დროს თანხმობას ნიმუშის აღებაზე გასცემს კანონიერი წარმომადგენელი.⁶⁴

ექსპერტიზაზე თანხმობა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას და არ არის კონკრეტულ ვადებზე მიბმული.⁶⁵ მისი მოთხოვნა

⁵⁹ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 48.

⁶⁰ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 48.

⁶¹ Wellenhofer, Das neue Gesetz zur Klärung der Vaterschaft unabhängig vom Anfechtungsverfahren, NJW 2008, 1188.

⁶² რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 48.

⁶³ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 49.

⁶⁴ OLG Koblenz NJW-RR 2013, 1351.

⁶⁵ OLG Nürnberg FamRZ 2014, 1214.

შეიძლება მას შემდეგაც, რაც გავიდა მამობის შეცილების ვადა (1190 VII).⁶⁶

VI. უთანასწორო მოპყრობა

1. ბიოლოგიური მამის დისკრიმინაცია ბიოლოგიურ დედასთან მიმართებით

მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური დედა და ბიოლოგიური მამა ერთნაირად მონაწილეობენ ბავშვის დაბადებაში, როდესაც საქმე ეხება მათ მიერთ სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების შეძენას, კანონმდებელი განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს.

ბავშვის ბიოლოგიური დედა მიიჩნევა მის სამართლებრივ დედად ყოველგვარი დამატებითი პროცედურის გარეშე, მაშინ, როცა ბავშვის ბიოლოგიური მამა შეიძლება თავიდანვე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. იმისათვის, რომ ბავშვის ბიოლოგიური მამა გახდეს მისი სამართლებრივი მამა, საჭიროა დედასთან ქორწინება⁶⁷ ან მამობის დადგენა.⁶⁸ აღნიშნული არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ბიოლოგიურ მამას ბიოლოგიურ დედასთან შედარებით.

საინტერესოა, ხომ არ შეიძლება ამ განსხვავებული მიდგომის გასამართლებელ არგუმენტად იმ გარემოებაზე მითითება, რომ აღნიშნული სხვაობა წარმოიშობა ფაქტობრივი მოცემულობის გამო. დედა, რომელიც ბადებს შვილს, ყოველთვის იდენტიფიცირებადია და დედის სტატუსის მოპოვებამდე აღარ რჩება ადგილი ისეთი ეჭვისთვის,

რომელიც უნდა გადაიჭრას გარკვეული სამართლებრივი პროცედურების დაცვით. მაშინ, როცა, მამის იდენტიფიცირება ავტომატურად არ ხდება.

აღნიშნული არგუმენტაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამაჯერებლად, რადგანაც, პირველ რიგში, დედის იდენტიფიცირებაც შეიძლება გახდეს საჭირო, მაგალითად, მაშინ, როდესაც სამედიცინო დანესებულებაში მოხდება ბავშვების არევა და მათი მაიდენტიფიცირებელი სამკლაურის დაკარგვა. გარდა ამისა, თანამდროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ძალიან მარტივია მამის იდენტიფიცირება. ეს შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ რამდენიმე დღიანი პროცედურა. და ამ პროცედურის გავლის შემდეგ მამაც იმავე სამართლებრივი რეგულაციებით უნდა სარგებლობდეს, რომლითაც სარგებლობს დედა.

სამართლებრივ შედეგებს ამძაფრებს ის, რომ სამართლებრივ სტატუსზე დამოკიდებული მამის ყველა უფლება. შედეგად, პირი, რომელიც უტყუარად ადასტურებს გენეტიკურ კავშირს შვილთან, ხშირად საჭიროებს სამართლებრივად სასამართლოს დავის შედეგად მამობის აღიარებას, მაშინ, როდესაც დედა ყოველგვარი პროცედურების გარეშე სრულად სარგებლობს ყველა უფლებით.

მიუხედავად ამ ყოველივესა, საქართველოში დღეს მოქმედი რეგულაცია სრულიად სწორი და უალტერნატივოა. შესაძლოა, არსებობდეს ზემოაღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევები, თუმცა, საბოლოო ჯამში, ისინი უმნიშვნელოა და სურათს ვერ ცვლის ვერც ფაქტობრივად და ვერც სამართლებრივად. რეალობა მოითხოვს, რომ დედასა და მამას შორის განსხვავებული პრო-

⁶⁶ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 9/2020, 48.

⁶⁷ სკ-ის 1189-ე მუხლის შესაბამისად.

⁶⁸ სკ-ის 1190 I ან II მუხლის შესაბამისად.

ცედურა არსებობდეს. მანამ, სანამ არსებობს გზა, რომლითაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დაადასტუროს საკუთარი მამობა, აღნიშნული რეგულაციები შეუძლებელია უსამართლოს იქნეს მიჩნეული.

2. განსხვავებული მიდგომა ქორწინებასა და ქორწინების გარეთ დაბადებულ ბავშვებს შორის

ბავშვს, რომელიც იბადება ქორწინებაში, დაბადებისთანავე ჰყავს დედა და მამა. ამის საპირისპიროდ, ბავშვს, რომელიც იბადება ქორწინების მიღმა, ჰყავს მხოლოდ დედა და არ ჰყავს სამართლებრივად მამა, თუ არ მოხდა მისი აღიარება.

შესაბამისად, ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება დედის ოჯახური მდგომარეობით. კანონმდებელს შეეძლო ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობა მიეზა არა დედის ოჯახური მდგომარეობისთვის *pater est quem nuptiae demonstrant* პრინციპის გამოყენებით, არამედ იმისთვის, ფაქტობრივად დასტურდება თუ არა, რომ პირი არის ბავშვის მამა. იმის შესაძლებლობას, რომ ბიოლოგიური მამა არ იყოს დიდის ქმარი, კანონმდებელი, ბუნებრივია, თავადვე ითვალისწინებს.

VII. შესაძლო საკანონმდებლო ინიციატივა

ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად და სკ-ის 1190-ე მუხლის დასახვეწად შესაძლოა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1190. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობის დადგენა

1. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით.

2. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

3. ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.

4. თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტ-

კიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.

5. (ამოღებულია – 20.12.2011, №5568).

6. ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა კანონით განსაზღვრული წესით ასევე შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას.

7. პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, ან თავად ბავშვს, დედას ან რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამად მითითებულ პირს, შეუძლია სადავო გახადოს ამ მუხლის შესაბამისად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო.

8. (ამოღებულია)

9. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით ბავშვის მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც ერთმანეთთან დაქორწინებული მშობლებისგან წარმოშობილ შვილებს.

სკ-ის 1190 VIII მუხლი უნდა გაუქმდეს, რადგანაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მითითება ზედმეტად ზოგადია. ბავშვის საუკეთესო ინტერესების ისედაც ყოველთვის გაითვალისწინება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. თუმცა ის ვერ გამორიცხავს ბიოლოგიური მამის უფლებას,

მოიპოვოს სამართლებრივი სტატუსი. გარდა ამისა, საკუთარი ბიოლოგიური მამის სამართლებრივ მამად ყოლა, სწორედაც რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესია.

რაც შეეხება სკ-ის 1190 VII მუხლს, აქ სასურველია პირდაპირ მიეთითოს ყველა უფლებამოსილი პირი, რომელთაც აქვთ მამობის შეცვლების უფლება. ასევე, გაუფრთხილებლობით არცოდნაზე მითითება ამოღებულ უნდა იქნეს. შესაძლოა ვადის შემოსაზღვრის სხვა გზებზე ფიქრი.

VIII. შედეგები

განხორციელებული შედარებით-სამართლებრივი კვლევის შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი შედეგები:

- ქართულ, შვეიცარიულ, პოლონურ და გერმანულ სამართალში მოქმედებს პრინციპი **pater est quem nuptiae demonstrant**; როდესაც ეს პრინციპი ვეღარ პასუხობს ქვეყანაში არსებული თანამედროვე სოციალური ცხოვრების გამოწვევებს, ის უნდა გადაიხედოს ან მთლიანად გაუქმდეს.

- **pater est quem nuptiae demonstrant** პრინციპი არათანაბარ მიდგომას ითვალისწინებს იმ ბიოლოგიური მამების მიმართ, რომლებიც არიან ან არ არიან დედის ქმრები.

- მამობის სამართლებრივი მიკუთვნება, რომელიც დამოკიდებულია დედის ოჯახურ მდგომარეობაზე, იწვევს განსხვავებულ მიდგომას იმ ბავშვებს შორის, რომლებიც დაბადებულნი არიან ქორწინების შიგნით ან მის გარეთ.

- მამობის შეცილებისას ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ათვლა გაუფრთხილებლობით არცოდნისას გასაუქმებელია.

- ქართველი კანონმდებლის მიერ ბიოლოგიური მამის შეცილების უფლების პირდაპირ გათვალისწინება მისასაღმებელია. სასურველია ასევე პირდაპირ იქნეს გათვალისწინებული სამართლებრივი მამის, დე-

დისა და ბავშვის ეს უფლება, რომელიც ისედაც აღიარებულია ქართულ სამართალში.

- ბავშვის საუკეთესო ინტერესები არ უნდა იქნეს გამოყენებული მამობის შეცილების გამომრიცხველ კრიტერიუმად. უნდა მოინახოს სხვა უკეთესი გზა ინტერესთა უფრო სწორი და სამართლიანი დაბალანსებისთვის.

დასკვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით*

- ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი - ნაწილი II - იურიდიული პირი

პროფ. დოქ. ოლაფ მუტჰორსტი

სამოქალაქო სამართლის, საპროცესო და გაკოტრების სამართლის პროფესორი, ბერლინის
თავისუფალი უნივერსიტეტი, სამართლის მეცნიერებების განყოფილება

I. ზოგადი დებულებანი იურიდიული პირების შესახებ

- 1 მაშინ, როდესაც ფიზიკური პირების სამართალში რეფორმის საჭიროება მხოლოდ შიგადა-
შიგ იჩენს თავს, იურიდიული პირების სამართალი საფუძვლიან მრავალმხრივ გააზრებას მოი-
თხოვს. ამჟამად აქ სამი ზოგადი დებულება გვხვდება:

მუხლი 24. ცნება. სახეები

მუხლი 25. უფლებაუნარიანობა

მუხლი 26. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი

ეს ნორმები ეხება ზოგადად იურიდიულ პირებს. ამასთან იგულისხმება საჯარო სამართლის
(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილი [ჩემს მიერ შემოთავა-
ზებული ცვლილების შემთხვევაში, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი]) და კერძო სამართლის იურიდი-
ული პირები, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის შე-
საბამისად (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი):

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები;
- კომანდიტური საზოგადოებები;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები;
- სააქციო საზოგადოებები;
- კოოპერატივები.

ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იუ-
რიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე,
ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და
საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასა-

* შესრულებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების დაკვეთით პროგრამის „ევროპულ
სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ ფარგლებში.

მართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. ამ ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ის შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, ნევრობაზე დაფუძნებული, ნევრობა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას. ამით იურიდიული პირისთვის დამახასიათებელია სამართლებრივი დამოუკიდებლობის სპეციფიკური ფორმა, რომელსაც ეფუძნება სამართლის სუბიექტის სტატუსი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი წინადადება), ანუ განსაკუთრებით რომლიდანაც გამომდინარეობს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შემდგომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს დებულებებს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე-39-ე მუხლები; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 40-ე-49-ე მუხლები ამოღებულია), რომელთა რეფორმირებაც სერიოზული განხილვის საგანს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ერთი მხრივ გაკრიტიკებული¹ და წარუმატებლად არის მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ედან 39-ემდე მუხლების სტრუქტურული აგებულება, ხოლო, მეორე მხრივ, შემოთავაზებულია, რომ ადრე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესაბამისად განსხვავებულ იქნეს ნევრობაზე დაფუძნებული არასამენარმეო გაერთიანება (კავშირი) და არასამენარმეო მიზნებისთვის შექმნილი ფონდი და ამ შემთხვევაში ასევე ჩამოყალიბდეს მთლიანად ამ თავის ახლებური სტრუქტურა.²

გერმანული კერძო სამართალი იურიდიული პირის სახით, *პირველ რიგში*, იცნობს - გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (კორპორაციები, დანესებულებები და ფონდები), რომლებიც კერძოსამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების თვალსაზრისითაც უფლებაუნარიანები არიან,³ მაგრამ რომელთა სამართლებრივი ურთიერთობები სხვა მხრივ შესაბამისი საჯარო სამართლის მიხედვით განისაზღვრება - კორპორაციას (სამართლებრივად დამოუკიდებელი პირთა გაერთიანება), რომლის პროტოტიპს წარმოადგენს უფლებაუნარიანი კავშირი.⁴ იგი იძენს უფლებაუნარიანობას რეესტრში რეგისტრაციის შედეგად (არასამენარმეო კავშირი, BGB-ს §§21, 24-53, 55-79) ან სახელმწიფოს ნებართვის (სამენარმეო კავშირი, BGB-ს §§22, 24-53) ან ფედერალური საკანონმდებლო რეგულირების საფუძველზე (სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ამხანაგობა (კოოპერატივი - *Genossenschaft*) და ა. შ.). სამართლებრივი დამოუკიდებლობის შედეგია, რომ ნევრობა მდგომარეობის ცვლილებისას იურიდიული პირი უცვლელი რჩება⁵ და რომ ნევრები პრინციპულად პირადად არ აგებენ პასუხს.⁶ მეორეც, გერმანული იურიდიული პირების სამართალი იცნობს ფონდისთვის სამართლებრივად განკერძოებულ სპეციალურ ქონებას.⁷ ფონდი იძენს უფლებაუნარიანობას დაფუძნების გარიგების (*Stiftungsgeschäft*) და სახელმწიფო ნებართვის საფუძველზე (*Staatliche Anerkennung*) (BGB-ს §§80-88). გერმანული სამართლის მიხედვით, იურიდიული პირი

¹ ჭანტურია/კნიპერი, გვ. 9.

² ჭანტურია/კნიპერი, გვ. 2 (sub 1), მე-9 და მომდევნო, 13.

³ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, Rn. § 34 Rn. 4.

⁴ Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 196; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 20.

⁵ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 5; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 20.

⁶ Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 20.

⁷ Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 196 f.; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 20.

რისგან უნდა განვასხვავოთ თანაზიარი გაერთიანება (**Gesamthandsgemeinschaft**). მისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს საზიარო უფლებამოსილება სპეციალურ ფონდზე (**Sondervermögen**).⁸ მართალია, თანაზიარი გაერთიანება არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაგრამ ზოგიერთ თანაზიარ გაერთიანებას მაინც გააჩნია უფლებაუნარიანობა („უფლებაუნარიანი ამხანაგობა“, **BGB-ს §14-ის მე-2 აბზაცი, 1059a-ს მე-2 აბზაცი**; „სამართალსუბიექტობის არ მქონე ამხანაგობები“, გაკოტრების შესახებ კანონის (**InsO**) §11-ის მე-2 აბზაცის **Nr. 1**; შეადარეთ, გარდა ამისა სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის (**GbR**)⁹ **BGB-ს §899a-ს** პირველი წინადადება; ღია სავაჭრო საზოგადოების (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების - **OHG**)/ კომანდიტური საზოგადოებისთვის (**KG**) სავაჭრო კოდექსის (**HGB**) §124-ის პირველი აბზაცი, **161-ის მე-2 აბზაცი**). თანაზიარ გაერთიანებას წარმოადგენს ასევე რეგისტრაციის/ნებართვის არარსებობის გამო უფლებაუნარიანობის არმქონე კავშირი,¹⁰ რომელიც თავისი სტრუქტურით კორპორაციული აგებულებისა¹¹ და ამიტომ ასევე ცალკეულ ურთიერთობებში განიხილება იურიდიულ პირად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (**ZPO**) §50-ის მე-2 აბზაცი, **735**, გაკოტრების შესახებ კანონის (**InsO**) §11-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება), მაგრამ, სხვა მხრივ, მის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის სამართალი (**BGB §54-ის 1-ლი წინადადება**).

მიზანშეწონილობის საკითხს წარმოადგენს, თუ რა მოცულობით და რა ცნებების დონეზე იქნება მიჩნეული აუცილებლად კერძოსამართლებრივი ორგანიზაციული და მოქმედების ფორმების დიფერენცირება. ამასთან, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია თავად მონაწილეთა, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი ბრუნვის მოთხოვნილებები, განსაკუთრებით, სამართლებრივი ბრუნვის ინტერესი, სიცხადისა და პროგნოზირებადობის არსებობაში, განკარგვის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი დასკვნის ფარგლებში რეკომენდაციის გაკეთება არ არის შესაძლებელი. ამიტომ შემდგომ მიმოხილვასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ უნდა დავეყრდნოთ იურიდიული პირის მთავარ დეფინიციას ყოველი სამართლებრივი ერთეულისთვის (ანუ გერმანიის გადმოსახედიდან, ისეთებისთვისაც, რომლებიც არაპერსონალური აგებულების მქონეა) და გარდა ამისა, დიფერენცირებას, მენარმეებს (სანარმოებს), როგორც სამენარმეო (კომერციულ) ორგანიზაციულ და მოქმედების ფორმას და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შორის. ამ დროს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, როგორც სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის საგანს წარმოადგენს (1) იურიდიული პირის ცნება, ყველა იურიდიული პირის მიმართ მოქმედი (ანუ ნებისმირი იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის** გაგებით [ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი]) ზოგადი დებულებების ჩათვლით და (2) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ანუ ნებისმირი იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის** გაგებით [ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედ-

⁸ Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 194 f.; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 30 ff.

⁹ Dazu grundlegend BGHZ 146, 341 = NJW 2001, 1056. Näher dazu Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 195a; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 32 ff.

¹⁰ Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 194; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 41.

¹¹ Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 219; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 41.

ვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი] lit.ა. სამენარმეო (კომერციული) ორგანიზაციული და მოქმედების ფორმები კი წარმოადგენს „მენარმეთა შესახებ“ კანონის საგანს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით.

აღნიშნული კანონი მე ხელთ არ მაქვს. ამიტომ, როდესაც ქვემოთ იურიდიული პირის დეფინიციისა და ყველა იურიდიული პირისთვის მოქმედი ნორმების შეფასებაზე გადავალ, დავუშვებ, რომ სამენარმეო (კომერციული) ორგანიზაციული და მოქმედების ფორმების დიფერენცირება არსებითად შეესაბამება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობას (GbR), ღია სავაჭრო საზოგადოებას (სპს-OHG)/კომანდიტურ საზოგადოებას (KG), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (GmbH), სააქციო საზოგადოებას (AG) და დარეგისტრირებულ ამხანაგობას (კოოპერატივს - eG)) შორის არსებულს.

იურიდიული პირის ცნებას (და სახეებს) შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი. იმ ნორმებიდან, რომლებიც ნებისმიერი იურიდიული პირისთვის მოქმედებს, 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი), კოდექსის 25-ე და 26-ე მუხლები შეიცავენ დებულებებს უფლებაუნარიანობის წარმოშობის (დასაწყისის) და დასასრულის თაობაზე, აგრეთვე იურიდიული პირის ადგილსამყოფელის შესახებ. გარდა ამისა, შესაძლებელი იქნებოდა ასევე სახელის უფლების, რეგისტრაციის, მართვისა და კანონიერი წარმომადგენლობის, აგრეთვე პასუხისმგებლობის, გაუქმების და ლიკვიდაციის ძირითადი სტრუქტურების ყველა იურიდიული პირისთვის ერთიანად ნორმირება.

1) ცნება, სახეები და უფლებაუნარიანობა

იურიდიული პირი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არის სამართლებრივად პიროვნულად განკერძოებული მოქმედების ფორმა. ამასთან, დეფინიციის თვალსაზრისით, ბოლომდე ცხადი არ არის ფორმულირებაში - „საკუთარი ქონების მქონე“, ხომ არ დევს, პიროვნული განკერძოებულობის წინაპირობის სახით, გარკვეული ოდენობის ქონებით აღჭურვის (Vermögensausstattung) გამოხატვის განზრახვა. გერმანული სამართლის მიხედვით, აღნიშნული მხოლოდ იმ თვალსაზრისით მოქმედებს, რომ ქონების არარსებობა საბოლოოდ იწვევს იურიდიული პირის გაუქმებას (შეადარეთ, BGB-ს §§42-ის პირველი აბზაცი, 75-ის პირველი აბზაცი). დაფუძნების პროცესში ქონების არქონა მხოლოდ ბოროტად გამოყენების ასპექტში წარმოადგენს წარმოშობისთვის დამაბრკოლებელ გარემოებას.¹²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლ წინადადებაში გამოთქმული, საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა კერძოსამართლებრივ ბრუნვაში შეესაბამება უფლებაუნარიანობის ცნების ერთიან გაგებას, რომლისთვისაც არ აქვს მნიშვნელობა თუ საიდან გამომდინარეობს იურიდიული პირის უნარი, იყოს უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი, კერძოსამართლებრივი თუ საჯაროსამართლებრივი აქტიდან ისევე, როგორც იმ ფაქტს, თუ საიდან გამომდინარეობს უფლებები და მოვალეობები, კერძო თუ საჯარო სამართლიდან. შედეგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები თავიანთი კერ-

¹² Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 60 Rn. 1.

ძოსამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების თვალსაზრისით უფლებაუნარიანნი არიან.¹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება შეიძლება უფრო ნათლად ყოფილიყო ფორმულირებული შემდეგი ფრაზით: „მათი შექმნა, ორგანიზება და საქმიანობა განისაზღვრება კანონით.“

4 თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ისე უნდა იქნეს გაგებული, თითქოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობას განაპირობებს საქმიანობის შესაბამისობა მიზანთან, მაშინ სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ ნორმაზე უარს ვიტყვით. მართალია, გერმანული სამართალიც იცნობს ნაწილობრივი უფლებაუნარიანობის ფორმას, მაგრამ მას შედეგად არ მოჰყვება უფლებებისა და მოვალეობების შექმნის ჩაშლა, როდესაც ადგილი აქვს იურიდიული პირისათვის მინიჭებული მიზნიდან გადაცდენას.¹⁴ მეტიც, შესაბამისი შედეგები უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პირის ორგანოთაშორისი შიდა ურთიერთობებით და ამიტომ ისინი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის სახელმწიფო სამართლითა და ადმინისტრაციის ორგანიზების სამართლის (*Verwaltungsorganisationsrecht*) დებულებებით უნდა დარეგულირდეს. კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის მე-2 ნაწილში ნორმირებული იურიდიული კონცეფციის განზოგადებით, შეიძლება განგვემარტა, რომ უფლებებისა და მოვალეობების შექმნის ჩაშლა არ არის გამონეგული იმით, რომ იურიდიული პირის საქმიანობა წესდებით განსაზღვრულ მიზანს სცდება. ამასთან, არც კანონის დარღვევა უნდა იყოს ამოღებული, ვინაიდან აკრძალული გარეგებების ბათილობა წარმოადგენს ბევრად უფრო მიზანმიმართულ სანქციას, რომლის საშუალებითაც ხდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის სისტემური რღვევის თავიდან აცილება. მეტიც, საკორპორაციო სამართალში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს საჯარო სამართლის ნორმების დამრღვევი იურიდიული პირის გაუქმება ადმინისტრაციული აქტის საშუალებით. იმავეს გირჩევდით მე-3 ნაწილისთვისაც; საქმიანობის განხორციელების უფლების საკითხი (*Handelndürfen*) დასაზუსტებელი იქნება საჯარო სამართალში (სამენარმეო სამართალში), მას არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეს უფლებაუნარიანობაზე.

5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი შეესაბამება გერმანული სამართლის წარმოდგენას.¹⁵ ტერმინოლოგიურად შესაძლებელი იქნებოდა დაზუსტება, რომ იურიდიული პირი უფლებაუნარიანობას იძენს რეგისტრაციის გზით ან შესაბამისად, უქმდება მისი დასრულების რეგისტრაციის გზით (და არა: ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციით, ვინაიდან ლიკვიდაცია წარმოადგენს მხოლოდ საზოგადოების ქონების განაწილების (*Auseinandersetzung*) განსაკუთრებულ ფორმას; აღნიშნულზე დეტალურად აქვე). ეს აბზაცი ნორმის დასაწყისში უნდა განთავსდეს.

2) ადგილსამყოფელი

6 იურიდიული პირის ადგილსამყოფელთან დაკავშირებული ნორმა არ არის პრობლემატური, მაგრამ მოქმედი რედაქციიდან არ ჩანს, თუ როგორ უნდა იქნეს განსხვავებული „ადგილსამყოფელი“ 1-ლი ნაწილის გაგებით და „სხვა ადგილსამყოფელი“ მე-2 ნაწილის გაგებით. შესაძლებე-

¹³ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 4.

¹⁴ Vgl. Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 54 Rn. 2 und 7; Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, § 705 Rn. 24. ასევე, Medicus/Petersen, Allgemeiner Teil des BGB, 11. Aufl. 2016, vor Rn. 1141 und 1152a.

¹⁵ Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 2, 4.

ლი იქნებოდა პირველ ნაწილში დაზუსტება, რომ „ადგილსამყოფელი“ წარმოადგენს „მთავარი ადმინისტრაციის“ (**Hauptverwaltung**) ადგილსამყოფელს. შემდეგ შეიძლება 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების გადატანა მე-2 ნაწილის 1-ლ წინადადებად, რათა ნორმით უფრო ნათლად იყოს განცალკევებული ადგილსამყოფელის დეფინიცია (1-ლი ნაწილი) და სხვა ადგილსამყოფელების (მე-2 ნაწილი) საკითხი.

3) სახელწოდება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლი შეიცავს დებულებებს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ. ნორმა ავალდებულებს სამართლებრივი ფორმის ამსახველი მითითების გამოყენებას (1-ლი ნაწილი) და კრძალავს სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით დამაბნეველი (შეცდომაში შემყვანი) აღნიშვნების გაკეთებას (მე-2 ნაწილი). გარდა ამისა, მე-3 ნაწილი მოითხოვს, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სახელწოდება განსხვავდებოდეს უკვე რეგისტრირებული, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებისგან. მე-4 და მე-5 ნაწილები ადგენენ სახელწოდების დაცვის პრინციპებს.

7

ეს პრინციპები დიდწილად შეესაბამება სავაჭრო კოდექსის (HGB) §§17 და შემდგომ პარაგრაფებში ნორმირებულ წესებს, რომლებიც მენარმეებისთვის (და ამდენად, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (GmbH), სააქციო საზოგადოების (AG) და დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) (eG), GmbHG-ს §13-ის მე-3 აბზაცი, AktG-ს § 3-ის პირველი აბზაცი, GenG-ს §17-ის მე-2 აბზაცი), მაგრამ ასევე რეგისტრირებული კავშირებისა და ფონდებისთვისაც (შეადარეთ, BGB-ს §57-ის მე-2 აბზაცი)¹⁶ მოქმედებს. შესაბამისად, მართებული იქნება, რომ არა მხოლოდ მე-4 და მე-5 ნაწილები, არამედ ყველა ეს პრინციპი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული ყველა იურიდიული პირისთვის, მოსახერხებლად იქნეს ფორმულირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის შემდეგ, ზოგადი ხასიათის დებულებაში.

თუმცა, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ნორმა ტერმინოლოგიურად შესაბამისობაში იყოს საქართველოს სავაჭრო და კორპორატიულ სამართალში ამჟამად მოქმედ დებულებებთან. აღნიშნულ საკითხს ამ დასკვნის ფარგლებში ვერ შევხებით, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობა ხელთ არ მაქვს.

ამასთან, ნაცვლად „აღნიშვნისა“ (ქართულში „სახელწოდება“- ლ.მ.) (**Bezeichnung**) უკეთესი იქნებოდა „სახელწოდების (სახელი)“ (**Name**) გამოყენება ანუ ისეთი აღნიშვნის, რომლითაც იურიდიულ პირს სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედება, სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლა შეუძლია (შეადარეთ, HGB-ს §17), მაშინ, როდესაც „აღნიშვნა“ შეიძლება იყოს ასევე სარეგისტრაციო, სამენარმეო ან საგადასახადო ნომერი ან საკმარისი სიცხადის შემთხვევაში, ადგილსამყოფელიც კი.

იურიდიული პირის სახელწოდებაში მისი სამართლებრივი ფორმა ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული (შეადარეთ, HGB-ს §19). სახელი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, რომლებიც

¹⁶ Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 57 Rn. 2 und § 81 Rn. 5.

აშკარად მიზნად ისახავს დაინტერესებული წრეების შეცდომაში შეყვანას იმ სამართლებრივი ურთიერთობების თაობაზე, რომლებიც მათთვის არსებითია (HGB-ს §18-ის მე-2 ნაწილი), განსკუთრებით არ უნდა შეიცავდეს იგი ისეთ მონაცემებს, რომლებიც დამახასიათებელია სხვა სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირებისთვის. სახელწოდება შესაფერისი უნდა იყოს იურიდიული პირის აღსანიშნავად და უნდა გააჩნდეს, განსაკუთრებით, იმავე ადგილზე ან იგივე მუნიციპალიტეტში უკვე არსებული და დარეგისტრირებული ყველა სახელწოდებისგან (HGB-ს §30-ის პირველი აბზაცი) განმასხვავებელი ეფექტი (შეადარეთ HGB-ს §18-ის პირველი აბზაცი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებში ნორმირებული სახელწოდების დაცვა შეესაბამება საწყის პუნქტში HGB-ს §37-ის მე-2 აბზაცით გარანტირებულ ფირმის დაცვას (Firmenschutz), მაგრამ ბრალეულობისგან დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის გამო უფრო ფართოა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ფირმაზე უფლების დარღვევისთვის BGB-ს §823-ის პირველი აბზაცის ან სასაქონლო და სხვა ნიშნების დაცვის შესახებ კანონის (MarkenG) §15-ის მე-5 აბზაცის მიხედვით ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა, რომ დარღვევა ჩადენილი იყოს განზრახ ან გაუფრთხილებლობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შეფასებასთანაც, რომელზეც მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილი, შესაბამისობაში იქნებოდა ზიანის ანაზღაურების შეზღუდვა მხოლოდ ბრალეული ქმედებების შემთხვევებზე.

4) რეესტრი

8 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-დან 34-მდე მუხლებში წარმოდგენილია დებულებები რეესტრში რეგისტრაციების აუცილებლობის, წინაპირობების და სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს ეხება, ნაწილობრივ კი, თავიანთი რედაქციიდან გამომდინარე, (რაც წინააღმდეგობაშია მათ სისტემურ ადგილმდებარეობასთან II ქვეთავში) ზოგადად იურიდიულ პირებს. რეკომენდებულია, რომ ეს დებულებები ერთ საერთო ნორმაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის შემდგომი გაგრძელების სახით იქნეს ერთად ჩამოყალიბებული და მისი გამოყენების სფერო გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული ყველა იურიდიული პირის მიმართ:

- დებულება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- დებულება რეგისტრაციის განხორციელების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილი);
- დებულება რეგისტრაციის მოთხოვნის თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი). შეიძლება მისი განვრცობა ზოგადი დებულებით, რომლის თანახმად, განაცხადებები ოფიციალურად დამონმებული განაცხადების მეშვეობით უნდა იქნეს წარდგენილი (შეადარეთ, BGB-ს §77-ს პირველი წინადადება);
- დებულება ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლი). აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება გადმოღებულ იქნეს BGB-ს

§68-ის შესაბამისი წესი, რომლის თანახმად რეგისტრაციამდე, ცვლილება მესამე პირთან მიმართებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუ იგი მისთვის ცნობილია და რეგისტრირებული ცვლილების შემთხვევაში, მესამე პირი არ არის ვალდებული დაუშვას აღნიშნული ცვლილების მის მიმართ გამოყენება, თუ იგი მისთვის ცნობილი არ არის, და თუ ცოდნის არარსებობა ასევე არ არის გამოწვეული დაუდევრობით;

- დებულება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლი). თუ იარსებებს ასეთი საჭიროება, შეიძლება დაზუსტებულ იქნეს, რომ რეგისტრაციაზე მოთხოვნის უფლება არსებობს, როდესაც დაფუძნება აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დაფუძნების მსურველი იურიდიული პირის მიზნები არ არის მიმართული მესამე პირთა უფლებების ან კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების ძველი რედაქცია; ზღვრის დაწესება შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლთან დაკავშირებით წარმოდგენილ რეკომენდაციასთან), და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი უარყოფილ იქნება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი). დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ უმოქმედობის გამო რეგისტრაციის ფიქციას, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარეობდა, სამართლებრივი უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე არ არის რეკომენდებული. მათ ნაცვლად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს დაბალი ბარიერის მქონე გასაჩივრების სისტემას (**niederschwelliges Rechtsbehelfssystem**), რომელიც პირდაპირ გამოხატული უარის შემთხვევაშიც, მონოდებული იქნებოდა სამართლებრივი დაცვისკენ. გასაჩივრების სისტემა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილისგან განსხვავებით) სისტემატიკურად ნებაყოფლობითი მართლმსაჯულების საპროცესო-სამართლებრივ კავშირში უნდა იქნეს ნორმირებული. აქ კი შეიძლება დებულების დამატება, რომელშიც იქნება მითითება ზემოთ ხსენებულ ნორმაზე;
- დებულება რეესტრის მონაცემების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 34-ე მუხლი). ამასთან მონაცემი - „დამფუძნებელი/წევრ(ებ)ი“ უკვე მოქმედ სამართალშიც პრობლემატურია, ვინაიდან არ არის ნათელი, თუ რომელ შემთხვევებში უნდა იქნეს რეესტრში შეყვანილი დამფუძნებელი/ლები და რომელში - წევრთა შემადგენლობა. რეკომენდებულად მიჩვენება ამ მონაცემების ზოგადი დებულებებიდან ამოიშალოს და ცალკეული სამართლებრივი ფორმისთვის ჩამოყალიბდეს, უნდა იყოს თუ არა და ვისი მონაცემები უნდა იყოს შეტანილი რეესტრში. აღნიშნულზე მითითება შესაძლებელი იქნებოდა დათქმის - „თუ სხვა რამ არ არის დადგენილი“, გამოყენებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის (ფიზიკური და) იურიდიული პირები. აღნიშნულთან წინააღმდეგობაშია ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ (რეესტრში) რეგისტრაციას სხვა ქვეყნის იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც საქართველოში გააჩნიათ ფილიალები, დამოკიდებული საწარმოო ერთეულის (**unselbständige Niederlassung**) გაგებით. ამ ფილიალების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ის სამართალი, რომელსაც ექვემდებარება ეს იურიდიული პირი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სამართალი ამ იურიდიუ-

ლი პირის (ფაქტობრივი) ადგილსმყოფელის თუ მისი დაფუძნების ადგილის მიხედვით განისაზღვრება.¹⁷ ეს დებულებები, შესაბამისად, ამოღებულ უნდა იქნეს.

აღნიშნული მოსაზრებები შესაბამისობაშია BGB-ს ძველი რედაქციიდან §23-ის ამოღებასთან, რომელიც იძლეოდა უცხოური კავშირისთვის უფლებაუნარიანობის მინიჭების შესაძლებლობას.

5) ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

- 9 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები შეიცავენ ფუნდამენტურ დებულებებს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის შესახებ. რეკომენდებულია, ამ დებულებების გადატანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის შემდგომ, ერთ მომდევნო ნორმაში, რომლის გამოყენების სფერომ უნდა მოიცვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული ყველა იურიდიული პირი. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პირის მიერ შეიძლება ხორციელდებოდეს. უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობისთვის არსებობდეს ინდივიდუალური (Einzelbefugnis) ან ერთობლივი უფლებამოსილება (Gesamtbefugnis), ან მოქმედებდეს უმრავლესობის პრინციპი. თუ კანონი, საექვოობის შემთხვევებისთვის, ყველა იურიდიული პირისთვის მოქმედ ერთ დებულებას უნდა ითვალისწინებდეს (Zweifelsregelung), ჩემი აზრით, რეკომენდებულია ერთობლივი უფლებამოსილება, როგორც მინიმალური თანხმობა ან შესაბამისად, ნევრების ან მენილებების პოზიციიდან, როგორც ყველაზე სანდო გამოსავალი. გამორიცხულ უნდა იქნეს პასიური წარმომადგენლობა, რომლისთვისაც ინდივიდუალური უფლებამოსილება იმპერატიულ ნორმას უნდა წარმოადგენდეს (შეადარეთ, BGB-ს §§ 26-ის მე-2 აბზაცი, 40).

შესაძლებელია ასევე ზოგადი პრინციპის შემოღება იმის თაობაზე, რომ ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება პრინციპში შეუზღუდავია, მაგრამ შესაბამისი სამართლებრივი ფორმებისთვის მოქმედი დებულებებით შეიძლება იყოს შეზღუდული და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება თავიდანვე (აპრიორი) არ ვრცელდება ისეთ გარიგებებზე, რომლებიც მესამე პირებისთვის შესამჩნევად, სრულიად სცდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიზანს.¹⁸

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, აქ და შემდგომშიც, უნდა განვასხვავოთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (Vertretungsbefugnis), ანუ წარმომადგენლის უნარი, „ნებართვის (dürfen)“ შედეგად გამოიწვიოს მარნმუნებლისთვის სამართლებრივი შედეგები და (შიდა ურთიერთობებში) არსებული ნებართვის გათვალისწინების გარეშე გარე ურთიერთობებში მოქმედი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

¹⁷ Vgl. dazu Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 830.

¹⁸ კავშირისთვის, Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 26 Rn. 6. Für die GmbH Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 775.

6) პასუხისმგებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც მიაღწა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ, მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც ინვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ეს წესი პრინციპულად შეესაბამება BGB-ს §31-ს, რომელიც გამოიყენება უშუალოდ კავშირის მიმართ, მაგრამ გარდა ამისა, მოქმედებს ყველა იურიდიული პირის (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართაც, BGB-ს §89) და ამხანაგობის (სპს-სა და კს-ს) (Personengesellschaften), აგრეთვე უფლებათუნარიანობის არმქონე კავშირის მიმართაც. ნორმა ეფუძნება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ორგანოს მოქმედება მიიჩნევა თავად კავშირის მოქმედებად ისე, რომ კავშირმა უნდა აგოს პასუხი ორგანოს მოქმედებისთვის ისევე, როგორც ფიზიკური პირი აგებს პასუხს საკუთარი ქმედებისთვის. ეს მოსაზრება ვრცელდება ყველა სამართლებრივ ფორმაზე.¹⁹ გარდა ამისა, BGB-ს §31-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ვრცელდება BGB-ს §30-ით გათვალისწინებული სპეციალური წარმომადგენლის მიმართ. ზოგადი შეხედულების თანახმად, იგივე პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიულ პირზე მაშინ, როდესაც ზიანი გამოწვეულია იურიდიული პირის უმოქმედობით იმასთან დაკავშირებით, რომ თავის ერთ-ერთ საქმეზე დაენიშნა სპეციალური წარმომადგენელი ან დამხმარე პირი.²⁰ ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საგნობრივი და პიროვნული გამოყენების სფერო შესაბამისად უნდა გაფართოვდეს და ასევე უნდა მოიცვას პასუხისმგებლობა ორგანიზაციული ხარვეზებისთვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში ნორმირებული პრინციპის მოქმედებაც ყველა სამართლებრივ ფორმაზე ვრცელდება. გერმანულ სამართალში იგი, განსხვავებული აქცენტებით, ყოველი სამართლებრივი ფორმისთვის ცალკე რეგულირდება. ასე მაგალითად, კავშირის და ფონდის გამგეობის წევრების პასუხისმგებლობა BGB-ს § 27-ის მე-3 აბზაცის თანახმად დავალების ხელშეკრულების სამართალს ეფუძნება (BGB-ს §§ 664 და შემდგომი პარაგრაფები), სადაც საქმიანობის უსასყიდლოდ განმხორციელებელი პირებისთვის BGB-ს § 31-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სპეციალური მასშტაბი გამოიყენება, ასევე BGB-ს § 713-ის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის (აგრეთვე HGB-ს §§ 105-ის მე-3 აბზაცთან, 161-ის მე-2 აბზაცთან ერთობლიობაში ღია სავაჭრო საზოგადოების (სპს - OHG) და კომანდიტური საზოგადოების (KG)) მმართველი მონაწილეების (geschäftsführende Gesellschafter) პასუხისმგებლობა, სადაც პასუხისმგებლობის სპეციალური მასშტაბი BGB-ს §§ 708, 277-დან გამომდინარეობს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და ამხანაგობის (კოოპერატივი - Genossenschaft) შემთხვევებში პასუხისმგებლობა მონესრიგებული და კეთილსინდისიერი მენეჯერისთვის (დირექტორისთვის) დამახასიათებელი გულმოდგინეობისთვის, შესაბამისად, სპეციალურ კანონებშია ნორმირებული (GmbHG-ს §§43, AktG-ს 93, GenG-ს 34). აქაც სასურველია, ერთი, ყოვლისმომცველი ფუნდამენტური წესის არსებობა, რომელიც შემდეგ შეიძლება ცალკეული სამართლებრივი ფორმებისთვის სპეციალური კანონებით მოდიფიცირდეს. როდესაც რამდენიმე პასუხისმგებელი პირი არსებობს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი სოლიდარული პასუხისმგებლო-

¹⁹ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 24; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 17 Rn. 68.

²⁰ შეადარეთ, BGH NJW 1980, 2810, 2811; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 27.

ბა (შეადარეთ, GmbHG-ის § 43-ის მე-2 აბზაცი, AktG-ს 93-ის მე-2 აბზაცი, GenG-ს 34-ის მე-2 აბზაცი 1-ლი წინადადება). ამასთან, AktG-ს § 93-ის მე-5 აბზაცი 93, GenG-ის 34-ის მე-5 აბზაცი შესაბამისად (რომელთა ანალოგიით გამოყენება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ (GmbH), ასევე წარმოადგენს განხილვის საგანს²¹), ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის ბათილობასთან ერთად, დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მოთხოვნის დაყენება იურიდიული პირის კრედიტორებსაც შეუძლიათ, როდესაც ისინი მისგან ვერ იღებენ თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. არა მარტო უარს, არამედ მორიგებას ან საზოგადოების ორგანოს გადაწყვეტილებასაც კი არ უნდა ჰქონდეს კრედიტორების მიმართ სამართლებრივი ძალა. თუმცა, ეს ყოველივე GenG-ის § 93-ის მე-5 აბზაცი მე-2 წინადადების, 34-ის მე-5 აბზაცი პირველი წინადადების შესაბამისად შეზღუდული უნდა დარჩეს კვალიფიციური მოვალეობის დარღვევების შემთხვევების მიმართ,²² ამასთან, კრიტერიუმის სახით, კატალოგის ნაცვლად უფრო შესაფერისი იქნებოდა ვალდებულების უხეში დარღვევის გამოყენება. GenG-ის § 34-ის მე-5 აბზაცი მე-3 წინადადების შესაბამისი წესი, რომლის თანახმად, ამხანაგობის (კოოპერატივი - Genossenschaft) ქონების თაობაზე დაწყებული გაკოტრების საქმის წარმოებისას, მისი მიმდინარეობის პერიოდში, კრედიტორების უფლებებს მმართველი ორგანოების წინაშე გაკოტრების მმართველი ან საქმის მმართველი ახორციელებს, - სისტემატიკის თვალსაზრისით, სასურველია, ფორმულირებულ იქნეს გაკოტრების სამართალში.

7) დაშლა და ლიკვიდაცია

- 12** დაშლასთან და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული დებულებები წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე და 38¹ მუხლებში. ეს დებულებები თავიანთი ძირითადი არსის მიხედვით ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს მიღმაც გამოიყენება. რეკომენდებულია, რომ ეს წესები, რომელთა გამოყენების სფერო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული ყველა იურიდიული პირის მიმართ უნდა ვრცელდებოდეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის შემდგომ დამატებულ მუხლში ახლებურად იქნეს ჩამოყალიბებული. ამასთან გერმინოლოგიის თვალსაზრისით, ნათლად უნდა იქნეს განსხვავებული დაშლა (Auflösung), ქონების განაწილება (ლიკვიდაცია) (Auseinandersetzung (Abwicklung) და დასრულება (გაუქმება), (Erlöschen).²³
- 13** დაშლა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი) იწვევს საზოგადოების მიზნის ცვლილებას, რომელიც ამიერიდან მიმართულია (ქონების) განაწილებისკენ.²⁴ საკითხი იმის თაობაზე, თუ რა წინაპირობები იწვევს დაშლას, ყოველი სამართლებრივი ფორმისთვის ცალ-ცალკე უნდა იქნეს ნორმირებული სპეციალური კანონებით. დაშლის ზოგადი საფუძვლის სახით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს:
- კანონით გათვალისწინებული საბოლოო ვადის დადგომა (ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების) /კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG) სავაჭრო კოდექსის § 131-ის პირველი აბზაცი Nr. 1; გამოიყენება

²¹ Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbHG, 21. Aufl. 2017, § 43 Rn. 31.

²² MüKoAktG/Spindler, 4. Aufl. 2014, § 93 Rn. 269.

²³ Baumbach/Hopt/Roth, HGB, 38. Aufl. 2018, § 131 Rn. 2.

²⁴ BGH NZG 2016, 107 Rn. 12.

- სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის (GbR) მიმართ;²⁵ (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (GmbHG) § 60-ის პირველი აბზაცის Nr.1; სააქციო საზოგადოებისთვის (AG) სააქციო საზოგადოების შესახებ კანონისა (AktG) § 262-ის პირველი აბზაცის Nr.1; გამოიყენება კავშირის (შეადარეთ, BGB-ს § 74-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება)²⁶ და ფონდის²⁷ მიმართ; დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) GenG-ს § 79);
- საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაშლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება (ლია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების) /კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG) სავაჭრო კოდექსის § 131-ის პირველი აბზაცის Nr. 2; გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის (GbR) მიმართ;²⁸ კავშირისთვის BGB-ს § 41; გამოიყენება ფონდის მიმართ;²⁹ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (GmbHG) § 60-ის 1-ლი აბზაცის Nr.2; სააქციო საზოგადოებისთვის (AG) სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის (AktG) § 262-ის 1-ლი აბზაცის Nr.2; დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) GenG-ს § 78);
 - სასამართლო გადაწყვეტილების, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 შემთხვევა, მე-9 ნაწილი), იურიდიული ძალა ((ლია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების) /კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG) სავაჭრო კოდექსის § 131-ის პირველი აბზაცის Nr. 4; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (GmbHG) §§ 60-ის პირველი აბზაცის Nr.3 და 6, 61; სააქციო საზოგადოებისთვის (AG) სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის (AktG) § 262-ის პირველი აბზაცის Nr.5; კავშირისთვის BGB-ს § 73; არ გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისა (GbR) და ფონდის მიმართ).

საკითხი, თუ რომელ შემთხვევებში შეიძლება საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უნდა მოწესრიგდეს სპეციალური კანონების საშუალებით. ზოგადად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობების არარსებობის ან გაუქმების შედეგად, ორგანოს წარმოექმნება სასამართლოს გზით დაშლის მოთხოვნის უფლება (მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-4 შემთხვევა, 38¹ მუხლი; შეადარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის ((GmbHG) §§ 60-ის 1-ლი აბზაცის Nr.3, 62; დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) GenG-ს § 81). თუმცა, ამასთან, არ არის ნათელი, თუ რა სამართლებრივი შედეგი უნდა იქნეს გამოწვეული დარეგისტრირებული მონაცემების ნამდვილობის გადავადებით. ვინაიდან რეგისტრაციებს კონსტიტუციური ეფექტი აქვთ, სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე აღნიშნული სამართლებრივი შედეგის ასე მარტივად გადავადება არ შეიძლება. სამართლებ-

14

²⁵ Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, Vorb v § 723 Rn. 1.

²⁶ Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 41 Rn. 6.

²⁷ MüKoBGB/Weitemeyer, 8. Aufl. 2018, § 80 Rn. 127.

²⁸ Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, Vorb v § 723 Rn. 1.

²⁹ შეადარეთ, OLG Koblenz NZG 2002, 135, 136.

ბრივ ბრუნვას უნდა შეეძლოს რეგისტრაციების ნამდვილობაზე დაყრდნობა. ამიტომ გადავადების შედეგი ამოღებულ უნდა იქნეს. საეჭვოა ასევე რამდენად შესაძლებელია ამონაწერების გაცემის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება) გადავადება ისე, რომ ამით საფრთხე არ მიაღვეს მთავარ მიზანს, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრას. შესაძლოა, უფრო მისაღები იყოს ასევე, გაცემულ ამონაწერებზე შენიშვნის გაკეთება, რომელიც უწყებრივ პროცედურაზე მიუთითებს.

15 დაშლის ზოგად საფუძველს არ წარმოადგენს:

- მიზნის მიღწევა ან მიღწევის შეუძლებლობა (სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის (GbR) BGB-ს § 726-ის მიხედვით; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის სასამართლო გადაწყვეტილების გზით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (GmbHG) §§ 60-ის პირველი აბზაცის Nr.3, 61), დაშლის ეს საფუძველი ღია სავაჭრო საზოგადოების (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების)/კომანდიტური საზოგადოების (OHG/KG) მიმართ სავაჭრო კოდექსის (HGB) § 131-ში არსებული დებულების გამო, სავაჭრო კოდექსის §§ 105-ის მე-3 აბზაცის, 161-ის მე-2 აბზაცის თანახმად, არ გამოიყენება³⁰, ისევე, როგორც კავშირის³¹ ან სააქციო საზოგადოების³² ან ფონდის მიმართ (შეადარეთ, BGB-ს § 87);
- კანონით გათვალისწინებული დაშლის პირობის დადგომა („დაშლის დათქმა“ („Auflösungsklausel“); სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის (GbR)³³, ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება) /კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG)³⁴; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH)³⁵; სადავო კავშირისთვის³⁶), ვინაიდან წესდებით გათვალისწინებული დაშლის საფუძველები სააქციო საზოგადოებისთვის გამორიცხულია³⁷;
- საზოგადოების ხელმძღვანელობის არარსებობა (შეადარეთ, BGB-ს §29).³⁸

საზოგადოების გაკოტრება, როგორც დაშლის საფუძველი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 აბზაცი, მე-3 შემთხვევა; შეადარეთ, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის BGB-ს § 728; ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება)/კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG) სავაჭრო კოდექსის (HGB) §131-ის პირველი აბზაცის Nr.3; კავშირისთვის BGB-ს § 42; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) GmbHG-ს § 60-ის პირველი აბზაცის Nr. 4; სააქციო საზოგადოებისთვის (AG) AktG-ს § 262-ის პირველი აბზაცი; დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) GenG-ს § 81ა-ს Nr. 1) ნორმირებული უნდა იყოს გაკოტრების სამართალთან სისტემატიკურ კავშირში, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე განსხვავებული სამართლებრივი შედეგებითურთ. იგივე უნდა მოქმედებდეს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნაზე მასის არარსებობის გამო უარის თქმისას, (რაც ყოველ შემთხვევაში, არ წარმოადგენს დაშლის ზოგად საფუძ-

³⁰ BGHZ 69, 162 = NJW 1977, 2160.
³¹ BGHZ 49, 175 Rn. 10.
³² Spindler/Stilz/Bachmann, AktG, 3. Aufl. 2015, § 262 Rn. 69.
³³ Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, Vorb v § 723 Rn. 1.
³⁴ Baumbach/Hopt/Roth, HGB, 38. Aufl. 2018, § 131 Rn. 74.
³⁵ Baumbach/Hueck/Haas, GmbHG, 21. Aufl. 2017, § 60 Rn. 89.
³⁶ MüKoBGB/Leuschner, 8. Aufl. 2018, vor § 41 Rn. 7.
³⁷ Hüffer/Koch, AktG, 13. Aufl. 2018, § 262 Rn. 7.
³⁸ შეადარეთ ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) Baumbach/Hueck/Haas, GmbHG, 21. Aufl. 2017, § 60 Rn. 82-88a.

ველს, შეადარეთ, ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება)/კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG), სავაჭრო კოდექსის §131-ის მე-2 აბზაცის 1-ლ წინადადებას; მაგრამ ამის საპირისპიროდ, ყოველთვის არის დაშლის საფუძველი კავშირისთვის BGB-ს §42; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) GmbHG-ს § 60-ის პირველი აბზაცის Nr. 5; სააქციო საზოგადოებისთვის (AG) AktG-ს §262-ის პირველი აბზაცის Nr.4); დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) GenG-ს § 81a-ს Nr. 1).

ქონების არქონამ შეიძლება პირდაპირ გამოიწვიოს გაუქმება (erlöschen), ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს განაწილების საჭიროება. ამისათვის, ქონების არქონა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს საკმარის საფუძველს, როდესაც არ არსებობს ფიზიკური პირის პერსონალური პასუხისმგებლობა (შეადარეთ, HGB-ს § 131-ის მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადება). ამიტომ არც ქონების არქონა წარმოადგენს დაშლის ზოგად საფუძველს.³⁹

დაშლის რეგისტრაციისათვის განაცხადი უნდა იქნეს შეტანილი რეესტრში ან ოფიციალურად (von Amts wegen) დარეგისტრირდეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი; შეადარეთ HGB-ს §143-ის პირველი აბზაცი) ისევე, როგორც გაგრძელება (შეადარეთ, HGB-ს § 144-ის მე-2 აბზაცი), ანუ სამეწარმეო საქმიანობის ხელახლა დაწყება.

ლიკვიდაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაგებით, წარმოადგენს განაწილების ერთ-ერთ ფორმას (შეადარეთ, BGB-ს §§ 730, 731, HGB-ს 145-ის პირველი აბზაცი), სხვა ფორმას წარმოადგენს შეძენა (Übernahme) ცალკეული პარტნიორების მიერ, დანარჩენების ერთდროული დაკმაყოფილების (კომპენსაციის) გზით ან საწარმოს გასხვისება მესამე პირზე.⁴⁰ თუ კანონით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული (განსაკუთრებით, გაკოტრების ან რეორგანიზაციის შესახებ კანონმდებლობით), მაშინ რეკომენდებულია ლიკვიდაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაგებით, როგორც განაწილების სტანდარტული შემთხვევა, რაც თავად საზოგადოების ორგანოების მიერ უნდა განხორციელდეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული აკრძალვა ცალკე აბზაცის სახით უნდა იქნეს ნორმირებული. ლიკვიდაცია უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში (შეადარეთ, HGB-ს §148).

ლიკვიდაციის სხვა დეტალები ცალკეული სამართლებრივი ფორმისთვის სპეციალურ კანონმდებლობაში უნდა ჩამოყალიბდეს. ზოგადი სახით შესაძლებელია მხოლოდ ლიკვიდაციის დასრულების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის ნორმირება: ლიკვიდაციის დასრულებით უქმდება (გაუქმება; სრული შეწყვეტა) საზოგადოება. გაუქმებაც რეესტრში უნდა იქნეს დარეგისტრირებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-10 ნაწილი; შეადარეთ, HGB-ს §157-ის 1-ლი აბზაცი), რითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის (ჩემი შემოთავაზების მიხედვით, 1-ლი ნაწილის) თანახმად იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი გაუქმდება ანუ დაკარგავს უფლებასუნარიანობას. ეს არ უნდა იყოს პირდაპირ გაიგივებული ამოშლასთან ("Streichung"), ანუ (ყოფილი) იურიდიული პირის შესახებ რეესტრში შეტანილი ინფორმაციის რეესტრიდან ამოღებასთან; ეს ინფორმაცია

³⁹ BGHZ 82, 323 = NJW 1982, 875.

⁴⁰ შეადარეთ, I. Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 254 (für die GbR), 321 (für die OHG), 813 ff. (für die GmbH).

ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს. განაწილების სხვა სახეებისათვის შეუძლებელია დასრულების ზოგადი კრიტერიუმის პოვნა, რომელიც ლიკვიდაციის დასრულების ადგილს დაიკავებდა, ამიტომ სპეციალური კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს, თუ როდის წყვეტს იურიდიული პირი მოქმედებას.

თუ არ არსებობს საზოგადოების ქონება ან საზოგადოება რეალურად არ ჩამოყალიბებულა (*nicht vollzogen worden*), მაშინ დაშლა გამოიწვევს მის გაუქმებას.⁴¹ ამ შემთხვევაში განაწილების საკითხი საერთოდ არ დგება. ამიტომ შესაძლებელია კანონით განიმარტოს, რომ ასეთ შემთხვევებში დაშლასთან ერთად უნდა დარეგისტრირდეს ის ფაქტი, რომ იურიდიული პირი გაუქმებულია.

II. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნება და სახეები

- 19** სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) lit.ა-თი გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ რომელი დებულებები უნდა მიუერთდეს ზოგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებულ, ყველა იურიდიული პირისთვის მოქმედ დებულებებს, დამოკიდებულია პირველ რიგში იმაზე, თუ რეგულირების რომელი კონცეფცია უნდა დაედოს საფუძვლად არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნებას და ან შესაბამისად, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რა სახეები უნდა იქნეს განსხვავებული.
- 20** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამენარმეო ან არასამენარმეო მიზნობრიობა წარმოადგენს იურიდიული პირის მრავალი მახასიათებლიდან ერთ-ერთს. მნიშვნელობას იძენს არასამენარმეო მიზნების სასარგებლოდ გაკეთებული სანყისი გადაწყვეტილება იმის გამო, რომ იურიდიული პირი, რომელიც ასეთ საქმიანობას ისახავს მიზნად, ვალდებულია დარეგისტრირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებების შესაბამისად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-6 ნაწილი). ვინაიდან იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა დამოკიდებულია რეესტრში მის რეგისტრაციაზე და, ამდენად, რეგისტრაციამდე სამართლებრივად არ არსებობს პერსონალურად განკერძოებული სამართლის სუბიექტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-6 ნაწილის ნორმატიული შინაარსი არ მესმის ისე, თითქოს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს რეგისტრაცია სავალდებულოდ ეკისრება, არამედ იმგვარად, რომ ეს რეგისტრაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებების მიხედვით ხორციელდება - და არა როგორც ეს სამენარმეო მიზნების მქონე იურიდიული პირების შემთხვევაშია, მენარმეთა შესახებ კანონის დებულებების შესაბამისად. აღნიშნული ენობრივად უნდა იქნეს დაზუსტებული.
- 21** გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია განცხადების საფუძველზე ხორციელდება და მის წინაპირობას წარმოადგენს სადამფუძნებლო აქტის არსებობა, რომელიც იმავდროულად, თავის მხრივ, ვინაიდან იურიდიულ პირს არ ევალდება,

⁴¹ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის, Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, Vorb v § 723 Rn. 2.

რომ იყოს ნევრობაზე დაფუძნებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი, არაფერს მოითხოვს, გარდა მიზნობრიობისა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტი, 32-ის მე-3 ნაწილის ა) ქვეპუნქტი, 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-1) მითითებისა. ამგვარად ჩამოყალიბებული ფორმა, მიუხედავად მისი რედაქციისა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალისაზრისით გაკრიტიკებულია იმისი გამო, რომ კანონი არასაკმარისად გამოხატავს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტრუქტურას და ამდენად, საკმარისად ვერ გადმოსცემს მნიშვნელოვან განსხვავებებს, რომლებიც არსებობს სტრუქტურის თვალსაზრისით, ნევრობაზე დაფუძნებულ კავშირსა და ქონებასთან დაკავშირებულ ფონდს შორის.⁴²

იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც არასამენარმეო მიზნებს ემსახურება, გერმანული კერძო სამართალი იცნობს, განსაკუთრებით, რეგისტრირებულ კავშირს, რომლისთვისაც ეკონომიკურ საქმიანობას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს (BGB-ს § 21). სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და ამხანაგობის (კოოპერატივი - *Genossenschaft*) დაფუძნება შესაძლებელია როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო მიზნებისთვის (შეადარეთ, GmbHG-ის §§ 1, 4-ის მე-2 წინადადება). იგივე წესი მოქმედებს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის,⁴³ ფონდის (შეადარეთ, BGB-ს § 87-ის 1-ლი და მე-2 აბზაციები)⁴⁴ და უფლებაუნარიანობის არმქონე კავშირისთვის.⁴⁵ ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება)/კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG) სამენარმეო საქმიანობა წარმოადგენს რეგისტრაციის წინაპირობას (HGB-ს §§ 105-ის პირველი ნაწილი, 161-ის მე-2 აბზაცი), მიუხედავად ამისა, მათ შეუძლიათ ამ ფორმის ფარგლებშიც მისდიონ ისეთ საქველმოქმედო მიზნებს, რომელთა მიმართაც ვრცელდება ფისკალური კოდექსის⁴⁶ (AO) §§ 51-ითა და შემდგომი პარაგრაფებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები.⁴⁷ ამდენად, არასამენარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს როგორც კორპორაციის, ისე ფონდის ან თანაზიარი გაერთიანების (*Gesamthandsgemeinschaft*) ფორმით. ამასთან, მხოლოდ კორპორაციული საორგანიზაციო ფორმისთვის, რეგისტრირებული კავშირის სახით, გვაქვს სამართლებრივი ფორმა, რომელიც მხოლოდ არასამენარმეო მიზნებისთვის შეიძლება მოქმედებდეს. გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, რომ იმდროინდელი კანონმდებლის ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სახელმწიფო კონცესიასა და კონტროლზე დაფუძნებული სამოქალაქო გაერთიანების (*bürgerliche Vereinigung*) კონცეფცია, რომლის ლეგიტიმაცია (შესაფერისობა) დღევანდელი გადასახედიდან საეჭვო ჩანს.⁴⁸ ამასთან, სამოქალაქო სამართალში არსებული დებულება თავის გამართლებას პოულობს არა სამენარმეო მიზნების განხორციელებაში, არამედ იმაში, რომ რეგისტრირებული კავშირი და ფონდი პროტოტიპულად წარმოადგენენ კორპორაციულ და ქონებასთან დაკავშირებულ იურიდიულ პირებს.

⁴² ჭანტურია/კნიპერი, გვ. 2 (sub 1), მე-9 და მომდევნო, 13.

⁴³ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის (GmbH, AG und GbR) Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 18.

⁴⁴ BeckOK BGB/Backert, 48. Ed., § 80 Rn. 6; Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 484.

⁴⁵ Vgl. BeckOK BGB/Schöpflin, 48. Ed., § 54 Rn. 7.

⁴⁶ Abgabenordnung vom 1.10.2002 (BGBl. I S. 3866; 2003 I S. 61).

⁴⁷ Schauhoff/van Randenborgh, Handbuch der Gemeinnützigkeit, 3. Aufl. 2010, § 1 Rn. 3.

⁴⁸ Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 220.

22 თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებისთვის გადამწყვეტია არა შესაბამისი სამართლებრივი ფორმის პროტოტიპული ხასიათი, არამედ არსამენარმეო მიზნების განხორციელება (მიდევნება), მაგრამ რომ ასეთი მიზნების ქონა შესაბამისად წევრთა ცვალებად შემადგენლობაზე დაფუძნებული (კორპორაციული), ქონებასთან დაკავშირებული ან ერთობლივ ქონებაზე და ამით, წევრთა უცვლელ შემადგენლობაზე დაფუძნებული (თანაზიარი (*gesamthänderisch*)) სამართლებრივი ფორმით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი - რაც თავის მხრივ ისევ მიზანშეწონილობის საკითხს წარმოადგენს, რაც ამ ნაშრომის განხილვის ფარგლებს სცილდება და მხოლოდ დაშვების სახით შეიძლება იქნეს ნავარაუდები, - მაშინ საკორპორაციოსამართლებრივი ფორმისთვის ნათელია, რომ არასამენარმეო მიზნების განხორციელების შემთხვევაში იგი განსაკუთრებულ სამართლებრივ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ იურიდიული პირი ცალსახად არის მიკუთვნებული საზოგადოებრივი საქმიანობის არასამენარმეო (არაკომერციული) სფეროს, არამედ ასევე საკანონმდებლო ტექნიკა, ვინაიდან კაპიტალთან, პასუხისმგებლობასთან და განაწილებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები სამენარმეო საქმიანობის შემთხვევაში საერთოდ არ წარმოიქმნება. ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საგანს, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით) ა) ქვეპუნქტით, გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პირველ სამართლებრივ ფორმას უნდა წარმოადგენდეს არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირი.

ქონებასთან დაკავშირებული იურიდიული პირისთვის ეს მიდგომა არ მოქმედებს. ამ ფორმის ჩამოყალიბებაზე, როგორც ამას BGB-ს §§ 80 და შემდგომი პარაგრაფები გვიჩვენებს, გავლენას ახდენს ქონებასთან დამოკიდებულება და არა სამენარმეო თუ არასამენარმეო საქმიანობა. ამიტომ, ფონდი არ უნდა იქნეს დაპროექტებული როგორც სპეციფიკურად არასამენარმეო (არაკომერციული) სამართლებრივი ფორმა და ამდენად, ზემოთ მოყვანილი დაშვების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ უნდა იქნეს ნორმირებული.

ამით, ფონდის, როგორც ქონებასთან დაკავშირებული იურიდიული პირის, შესახებ დებულებების შემუშავება სცდება ამ დასკვნის ფარგლებს; რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავუბრუნდებოდი აღნიშნულ საკითხს სხვა კონტექსტში.

როდესაც ამ დასკვნის დანართში მაინც გთავაზობთ დებულებებს არასამენარმეო (არაკომერციული) ფონდების თაობაზე, მე ამას ვაკეთებ მხოლოდ სრულყოფილების ინტერესებში, იმ შემთხვევისთვის, თუ სამენარმეო მიზნების მქონე ფონდი სამართლებრივი ფორმის სახით არ უნდა იქნეს წარმოდგენილი. აღნიშნულ საკითხში ვხელმძღვანელობ BGB-ს §§ 80-88 მუხლებით.

თუ გადანყდება ფონდის, როგორც იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შემოღება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილში განსამარტი იქნება, რომ იურიდიული პირი, საკორპორაციო ფორმის გარდა, ასევე შეიძლება იქნეს ორგანიზებული ქონებასთან დაკავშირებული ფორმით.

როგორც BGB-ს §§ 705 და შემდგომი პარაგრაფები გვიჩვენებს, არც თანაზიარი იურიდიული პირი წარმოადგენს თავისი სამენარმეო ან არასამენარმეო საქმიანობის მიხედვით გამორჩეულ პირს, მაშინაც კი, როდესაც ის სამენარმეო საქმიანობას ახორციელებს, არამედ იგი თავისი თანაზიარი განცალკევებული ქონებით ხასიათდება. ვინაიდან „ამხანაგობა“, საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის ამჟამინდელი რედაქციის გაგებით, სწორედ თანაზიარი იურიდიული პირის შემთხვევებს არ მოიცავს, ამის გამოც საჭიროებს იგი სამართლებრივი ფორმის შემუშავებას, მაგრამ ზემოთ ხსენებული დაშვების (ვარაუდის) მიხედვით, რომლის თანახმად სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროსადმი მიკუთვნების გადამწყვეტ კრიტერიუმს მხოლოდ არასამენარმეო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს, ისიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს მიღმა უნდა იქნეს ნორმირებული.

შესაძლოა ამ თვალსაზრისით მოიაზრებოდეს დებულებები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ; თუმცა დებულებები საზოგადოების როგორც თანაზიარი იურიდიული პირის ჩამოყალიბების თაობაზე, ასევე სცდება ამ დასკვნის ფარგლებს; რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავუთმობ ამ საკითხს დროს სხვა კონტექსტში.

თუ არ გადაწყდება, რომ - გერმანული სამართლებრივი ვითარებისგან განსხვავებით, - ფონდი მხოლოდ არასამენარმეო მიზნების განხორციელებისთვის უნდა არსებობდეს, მაშინ არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით) ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ერთადერთი სამართლებრივი ფორმა იქნება ისე, რომ ამ შემთხვევაში ნორმა შეიძლება შესაბამისად დაკონკრეტდეს.

სხვა კონტექსტებში, რომლებშიც სამართლებრივი ფორმები ამომწურავად ჩამოთვლილი არ არის, თავს შევიკავებდი, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნების ჩანაცვლებისგან კავშირის ცნებით, თუკი საკითხი მხოლოდ კავშირებს არ ეხება; ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ კანონმდებელმა კავშირის გარდა, მოგვიანებით წარმოქმნილი შესაძლებლობისას შემოიღოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის) ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა სამართლებრივი ფორმა, მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის) გ)-დან ზ) ქვეპუნქტამდე გათვალისწინებული სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირის (სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს მიღმა დასარეგულირებელი) სამართლებრივი ფორმის ცვლილებით, მიზნის არასამენარმეოთი შეცვლის გზით.

ასევე ცალკეული სამართლებრივი ფორმის დიზაინის თვალსაზრისით, უნდა განვასხვავოთ არასამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლების მქონე იურიდიული პირების საკითხი და საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აისახება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით) გ)-დან ზ) ქვეპუნქტამდე გათვალისწინებულ იურიდიულ პირებზე, ის ფაქტი, რომ ისინი სამენარმეო საქმიანობიდან არასამენარმეო მიზნებზე გადადიან ან შესაბამისად, თავიდანვე არ გააჩნიათ სამენარმეო მიზნები. გამოიყენება თუ არა ამ შემთხვევებში და რა მოცულობით მოქმედებს სპეციალური დებულებები, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისად, სამენარმეო-სამართლებრივ კონტექსტში.

მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი რედაქცია საერთო დებულებებს შეიცავდა კავშირებისა და ფონდებისთვის, როგორც არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმებისთვის (საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის ძველი რედაქციის 31-დან 39-მდე მუხლები), არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გამოყოფა ყველა სამართლებრივი ფორმისთვის საერთო დებულებებიდან, არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით) გათვალისწინებული, ყველა იურიდიული პირისთვის მოქმედი, ზოგადი დებულებები ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით უკვე ყოვლისმომცველად არის ნორმირებული. ეს დებულებები ანესრიგებს სპეციალური რეგულირების საჭიროებებს, რომლებიც გამომდინარეობს იურიდიულ პირად პერსონალური განკერძოებიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) მიზნობრიობა, როგორც ცალკეული სამართლებრივი ფორმების გამაერთიანებელი მახასიათებელი, არ ახდენს გავლენას შესაბამის ყოვლისმომცველ რეგულირების საჭიროებებზე. აღნიშნული ნათალად ჩანს იქიდანაც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-დან 39-მდე მუხლებში სამართლებრივი ნორმების მხოლოდ უმცირესი ნაწილი გამოვიდა კავშირსა და ფონდს შორის დიფერენცირების გარეშე; მაგრამ ამ შემთხვევაში, არ გვაქვს შინაგანი გამართლება „საერთო“ დებულებების არსებობისთვის.

მეტიც, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო შესაფერისი სამართლებრივი ფორმები, რომლებიც BGB-ს §§ 54-ის და 86-ის რეგულირების მოდელის მსგავსად, შერჩევითად მიუთითებდნენ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის ან შესაბამისად, კავშირის სამართალზე.

**III. კავშირი, როგორც კორპორაციული
არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

24 ამიტომ, „I. ზოგადი დებულებანი“-ს მომდევნო II ქვეთავი უნდა ეძღვნებოდეს არასამენარმეო (არაკომერციულ) კავშირს. შესაბამისად, თავი 2-ის სათაური მრავლობით რიცხვში უნდა იქნეს ჩამოყალიბებული: „არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირები“.

შემდგომი რეგულირების პროგრამა უნდა მოიცავდეს:

- კავშირის ცნებას
- მის რეგისტრაციას
- მის ორგანოებს (გამგეობა, წევრთა კრება) და სხვა ორგანოები
- წევრობის შექმნას, დაკარგვასა და შინაარსს
- კავშირის, წევრთა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას
- კავშირის გარდაქმნას, დაშლასა და ლიკვიდაციას.

არ საჭიროებს რეგულირებას

- კავშირის ადგილსამყოფელი. იგი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის მიხედვით და ამით არის მისი მთავარი ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი (BGB-ს § 24-ის შესაბამისად);
- კავშირის სახელწოდება. იგი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, შემოთავაზებული ახალი რედაქციით;

- დამატებითი ორგანოების შექმნა, რომლებიც ემსახურება კავშირის საქმიანობის შიდა დიზაინს (კომისიები, სამეთვალყურეო საბჭო, საბჭო და ა. შ.; შეადარეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 42-ე და 43-ე მუხლები). ასეთი ორგანოები შეიძლება გათვალისწინებული იყოს წესდებით ან კავშირის გადანყვეტილებით იქნეს ჩამოყალიბებული თავის ფარგლებში, ვინაიდან ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო დებულებები აღნიშნულს არ ენიშნა დეგრადაციას; მაგრამ სპეციალური ორგანოები, სტანდარტულ შემთხვევაში არ უნდა იყოს გათვალისწინებული დისპოზიციური სამართლით.

დაბოლოს, თავი სისტემატიკური კონტექსტის მოსაზრებებიდან გამომდინარე უნდა შეიცავდეს დებულებას დაურეგისტრირებელი კავშირების მიმართ მოქმედ სამართალთან დაკავშირებით.

1) კავშირის ცნება

ქვეთავი, რომელიც კავშირს ეხება (BGB-ს § 21-ისგან განსხვავებით) უნდა იწყებოდეს კავშირის ლეგალური დეფინიციით. კავშირისთვის, როგორც კორპორაციისთვის, დამახასიათებელია სამართლებრივი დამოუკიდებლობა (განკერძოებულობა), რომელიც გარკვეული დროით შექმნილ გაერთიანებაში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისგან დამოუკიდებლად იჩენს თავს.⁴⁹ ასეთი გაგება შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 30-ე მუხლს. მეტიც, კავშირის სამართლებრივი იდენტობა წარმოჩნდება სრული სახელწოდების საშუალებით, ხოლო მოქმედების ძალაუფლება კი ხორციელდება გამგეობის მიერ წარმომადგენლობის საშუალებით.⁵⁰ ამით, გამგეობისთვის წინაპირობას წარმოადგენს წევრთა მინიმალური რაოდენობის არსებობა. ეს მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს ორზე ნაკლები, რადგან ერთი წევრის შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს გაერთიანება. დასაშვები იქნება თუ არა უკვე ორი პირისგან შემდგარი კავშირი, წარმოადგენს მიზანშეწონილობის საკითხს. BGB-ს § 73-ის თანახმად, წევრთა მინიმალური რაოდენობა არის სამი. BGB-ს § 56 დაფუძნებისთვის ითხოვს შვიდ პირს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება ითვალისწინებდა 5 პირს.

25

ვინაიდან სამენარმეო იურიდიული პირების დაფუძნება მენარმეთა შესახებ კანონით განისაზღვრება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილი), ამ ქვეთავში ნორმირებული კავშირი შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ არასამენარმეო მიზნების მქონე იურიდიულ პირს. სამენარმეო მიზნების მქონე „კავშირი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არ არსებობს. აღნიშნულიც თავიდანვე უნდა იქნეს განმარტებული.

იმავდროულად უნდა განიმარტოს, რომ ეკონომიკური საქმიანობა (*wirtschaftlicher Geschäftsbetrieb*), რომელიც არასამენარმეო მიზნობრიობის ფარგლებში მხოლოდ დამხმარე ხასიათის მიზანია, არ აზიანებს კავშირის არასამენარმეო ხასიათს (დამხმარე მიზნის პრივილეგია, შეადარეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდებულია მითითება, რომ კავშირის სახსრები მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული და წევ-

⁴⁹ შეადარეთ, ზემოთ.

⁵⁰ შეადარეთ, Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, Einf v § 21 Rn. 14.

რები კავშირის სახსრებიდან თანხებს (Zuwendungen) არ ღებულობენ. ასევე, არცერთ პირს არ აქვს უფლება, მიიღოს სარგებელი კავშირის მიზნებთან შეუსაბამო გადახდებიდან ან შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურებებიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმად კავშირის ქონება შეიძლება იქნეს გასხვისებული, თუ გასხვისება კავშირის საქმიანობის, მისი ორგანიზაციული განვითარების, მიზნის განხორციელების ან საქველმოქმედო ინტერესებში ხორციელდება. აღნიშნულს ასევე შეიძლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, დაემატოს შესაძლებლობა, რომ გასხვისება ხორციელდებოდეს ქონების სხვა არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირისთვის გადაცემის მიზნით, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი კვლავინდებურად არასამენარმეო მიზნობრიობას ექვემდებარება.

2) კავშირის რეგისტრაცია

- 26** კავშირის რეგისტრაციისას, ცვლილებების შემოთავაზებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ზოგადი დებულებანი, ისე, რომ კავშირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ახალი რედაქციის თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციით იქნეს უფლებაუნარიანობას, რომლის წინაპირობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი რედაქციის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ოფიციალურად დამონმებული განცხადების შეტანა. ფუნქციონალურ და ადგილობრივ ქვემდებარეობასთან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები) დაკავშირებული დებულებები ამით ზედმეტად იქცევა.
- 27** აღნიშნულის საპირისპიროდ, რეგულირებას საჭიროებს რეგისტრაციის სპეციალური წინაპირობები და სარეგისტრაციო დოკუმენტის მოცულობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი რედაქციის 34-ე მუხლის 1-1 ნაწილის გაგებით. რეგულირების ეს საგნები კავშირის ცნების შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს ერთ დებულებაში.

კავშირის რეგისტრაციისთვის განაცხადი შეტანილ უნდა იქნეს გამგეობის მიერ, ანუ გამგეობა, წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე შემადგენლობით უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი რედაქციის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი. აღნიშნული შეესაბამება BGB-ს § 59-ის პირველ აბზაცს.⁵¹

განცხადებას უნდა ერთვოდეს კავშირის სტატუტი (ანუ წესდება), აგრეთვე საბუთები გამგეობის დანიშვნის შესახებ, შესაბამისად, ორიგინალში ან ოფიციალურად დამონმებული ასლის სახით (BGB-ს § 59-ის მე-2 აბზაცი). აქედან გამომდინარეობს წესდებისთვის წერილობითი ფორმის სავალდებულობა. დებულება, რომლის თანახმად წესდება, ამის გარდა, ნოტარიულ დამონმებას საჭიროებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი), არ მიმაჩნია აუცილებლად. გარდა ამისა, BGB-ს §§ 59-ის მე-3 აბზაცისა და §§ 60-ის თანახმად, წესდება საჭიროებს დამფუძნებელი წევრების მიერ ხელმოწერას - (თუ მოთხოვნა,

⁵¹ Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 59 Rn. 1.

რომლის თანახმადაც წესდება ნოტარიულად დამოწმებული უნდა იყოს, ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ დამფუძნებელი წევრების მიერ წესდების დადგენა საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას, მიმაჩნია, რომ ამ მოთხოვნის აუცილებლობაც არ არსებობს) - და მითითებას მიღების თარიღის შესახებ. დამატებით მიმაჩნია, რომ სასურველი იქნება განმარტებულ იქნეს, რომ წესდებამ დამფუძნებელი წევრები პირდაპირ უნდა მიუთითოს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე) ქვეუბნეტი მოითხოვდა გვარის, სახელის, დაბადების თარიღის, დაბადების ადგილის, პროფესიისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებას).

წესდება უნდა შეიცავდეს: დებულებებს კავშირის სახელწოდების, ადგილსამყოფელისა და მიზნის შესახებ, აგრეთვე მითითებას, რომ კავშირი დარეგისტრირდეს (BGB-ს § 57-ის პირველი აბზაცი). გარდა ამისა, წესდება BGB-ს § 58-ის თანახმად „უნდა“ შეიცავდეს დებულებებს შემდეგი საკითხების შესახებ:

- წევრობის შექმნა და დაკარგვა
- მათი შინაარსი
- გამგეობის შექმნა
- წევრთა კრების მონევა.

თუ წესდება არ შეიცავს დებულებებს აღნიშნულ საკითხებზე, BGB-ს § 60-ის თანახმად ეს ინვეს უარს განცხადების მიღებაზე. რეგულირების ამ ტექნიკის საპირისპიროდ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს დისპოზიციურ საკანონმდებლო დებულებებს, რომლებიდან გადახვევაც წესდებას შეუძლია, მაგრამ რომლებიც ზედმეტს ხდიან განცხადებაზე უარის თქმას წესდების დებულებების არასაკმარისად დაკმაყოფილების გამო. ეს დისპოზიციური დებულებები უნდა სცდებოდეს BGB-ს § 58-ით დასახელებული რეგულირების საგნებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 34-ე მუხლის 1-1 ნაწილის მონაცემების გარდა (სახელი, ადგილსამყოფელი, ხელმძღვანელი ორგანოს წევრები, წარმომადგენლობის ურთიერთობები), სარეგისტრაციო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს კავშირის წესდებას (შეადარეთ, BGB-ს §§ 59-ის მე-2 აბზაცი, 71, 79-ის პირველი აბზაცი). ვინაიდან დამფუძნებელი წევრები უკვე მითითებულია წესდებაში, საჭირო აღარ არის მათი სპეციალურად მითითება სარეგისტრაციო დოკუმენტში. რადგან კავშირი არ არის დამოკიდებული შესაბამის წევრთა შემადგენლობაზე, იგი არც წევრთა მითითებას საჭიროებს.

საჭიროებს თუ არა იგი, გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მენარმეთა შესახებ კანონზე მითითებას, ვერ იქნება გადაწყვეტილად შეფასებული, ვინაიდან მე ხელთ არ მაქვს ეს კანონი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი აღნიშვნა არ მიმაჩნია რაიმე ზიანის მომტანად.

3) კავშირის ორგანოები (წევრთა კრება)

რომელი ორგანოები გააჩნია კავშირს, რომელ ორგანოს რა კომპეტენციები აქვს და რომელი პროცედურა მოქმედებს ნების ჩამოყალიბებისა და ორგანოების მოქმედებების მიმართ, განისაზღვრება წესდებაში ამისათვის არსებული დებულებებით და დამატებით, დისპოზიციური

სამართლის მიხედვით, თუ კანონი არ შეიცავს რაიმე დამავალდებულებელ ნორმას, ვინაიდან კავშირის ორგანოთა მუშაობის წესი განეკუთვნება კავშირის კონსტიტუციას BGB-ს § 25.⁵²

კავშირის, როგორც კორპორაციული გაერთიანების აუცილებელ ორგანოებს წარმოადგენს წევრთა კრება - შიდა ნების ჩამოყალიბებისთვის და გამგეობა - მართვისთვის (ანუ საქმეების გაძღოლისთვის (*Geschäftsführung*)) და კავშირის წარმომადგენლობა.⁵³

29 მოქმედი სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში შეიცავს მხოლოდ დებულებებს, რომლებიც ეხება გამგეობას, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ორგანოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის შემოთავაზებული ახალი რედაქციის მიხედვით, იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, ამასთან საეჭვოობისას მოქმედებს ერთობლივი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება, გამონაკლისს წარმოადგენს პასიური წარმომადგენლობა. კავშირისთვის, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აქტიური წარმომადგენლობის მიმართ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების შეზღუდვის შესაძლებლობა (BGB-ს § 26-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება), აგრეთვე ზოგადი წესის სახით უმრავლესობის პრინციპი (BGB-ს § 26-ის მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადება). უმრავლესობის პრინციპი ასევე უნდა წარმოადგენდეს ზოგად წესს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებისთვის. გამგეობის შექმნისთვის, ზოგადი წესის სახით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამი პირისგან შემდგარი გამგეობა, რომელიც თანაბრად არის უფლებამოსილი განხორციელოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. გამგეობის დანიშვნაც შეიძლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის მე-40 მუხლის შესაბამისად იქნეს მოწესრიგებული (შეადარეთ, BGB-ს § 27). თუმცა 4 წლიანი უფლებამოსილების ვადა ძალიან ხანგრძლივად მეჩვენება; უფლებამოსილების ზოგადი ვადის სახით გათვალისწინებულ უნდა იქნეს 2 წლიანი ვადა. დამატებით შეიძლება დარეგულირდეს, რომ როდესაც წესდება სხვას არ ითვალისწინებს, დასაშვებია ხელახლა დანიშვნა და რომ გამგეობის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ კავშირის წევრი, შედეგად, კავშირის წევრობის დასრულებით წყდება გამგეობის წევრად ყოფნის უფლებამოსილებაც. შიდა ურთიერთობისთვის შესაძლებელია, BGB-ს § 27-ის მე-3 აბზაცის შესაბამისად, ზოგადი წესის სახით გათვალისწინებულ იქნეს დავალების ხელშეკრულების სამართალი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-დან 722-მდე მუხლები) და აღნიშნულისგან განსხვავებით, უსასყიდლოა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კავშირის წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ მოქმედებს მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის დებულებები. მე არ მაქვს სრულყოფილი სურათი, რომ შემოთავაზებული ახალი რედაქციების ფონზე ვიმსჯელო, შეიძლება თუ არა ამ მითითების დატოვება თუ უნდა მოხდეს მისი ადაპტირება, ვინაიდან მენარმეთა შესახებ კანონზე ხელი არ მიმინდებდა.

30 რადგანაც წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი) კონფლიქტში იქნებოდა გამგეობის მიერ კავშირის ხელმძღვანელობისა და წარ-

⁵² Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 25 Rn. 1.

⁵³ Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 17; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 17 Rn. 37.

მომადგენლობის განხორციელებასთან, ამიტომ BGB-ს § 30-ის შესაბამისად იგი საჭიროებს უფლებამოსილების სპეციალურად მინიჭებას, თუკი კავშირს წარმომადგენლობის ორგანიზების ასეთი დიფერენცირებული მოდელის შემუშავების შესაძლებლობა უნდა მიეცეს.⁵⁴

წევრთა კრებასთან დაკავშირებულ დებულებებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე და შემდგომი მუხლების ამჟამად მოქმედი რედაქცია არ შეიცავს. გამგეობის დანიშნისთვის ორგანოთა კომპეტენციებით, გამგეობისთვის მიძღვნილი მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, წევრთა კრების უმნიშვნელოვანესი ფუნქცია უკვე ნორმირებულია. ის შეტანილ უნდა იქნეს გენერალურ დათქმაში, რომლის თანახმად წევრთა კრება იღებს გადაწყვეტილებას კავშირის ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ არის გამგეობის ან კავშირის სხვა ორგანოს გადასაწყვეტი (BGB-ს §32-ის 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადება; შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება). მაგალითის სახით შეიძლება ჩამოვთვალოთ წევრთა კრების შემდგომი ფუნქციები:

31

- სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა, თუკი გათვალისწინებულია წესდებით
- სალაროს აუდიტზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შერჩევა, თუ იგი წესდებით წესდებით არ არის გაუქმებული,
- გამგეობის ანგარიშების მიღება და მის მიერ განეული სამუშაოს დადებითად შეფასება (Entlastung).

გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გადაწყვეტილებები ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როდესაც გადასაწყვეტი საგანი დღის წესრიგში იყო შეტანილი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება) კრების მოწვევისას (BGB-ს §32-ის 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადება). გადაუდებლობის მოტივით განაცხადების დამუშავება არ უნდა იყოს დაშვებული ჩვეულებრივი წესის სახით.

გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით (BGB-ს § 32-ის პირველი აბზაცის მე-3 წინადადება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადება). ამასთან გამამწყვეტ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადებისგან განსხვავებით) მიცემულ ხმათა უმრავლესობა (BGB-ს § 32-ის 1-ლი აბზაცის მე-3 წინადადება, ასევე AktG-ს §§ 133-ის 1-ლი აბზაცი, GmbHG-ს 47-ის 1-ლი აბზაცი, GenG-ს 43-ის მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადება), ვინაიდან თავის შეკავებას და გაბათილებულ ხმებს მხოლოდ მაშინ გააჩნიათ ნეიტრალური მოქმედება და არ მიიჩნევიან წინააღმდეგ მიცემულ ხმებად (Nein-Stimmen).⁵⁵ ზოგადად საკმარისი უნდა იყოს ხმათა უბრალო უმრავლესობა, ხმათა სპეციალური უმრავლესობის მოთხოვნა უნდა არსებობდეს წესდების ცვლილების შემთხვევებისთვის (BGB-ს § 33-ის 41-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები; ამასთან მიზნის ცვლილების წინაპირობას, BGB-ს § 33-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად, უნდა წარმოადგენდეს გადაწყვეტილების ერთხმად მიღება), ასევე კავშირის დაშლასთან ფაქტობრივ კავშირში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე

⁵⁴ შეადარეთ, Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 30 Rn. 1.

⁵⁵ შეადარეთ, BGHZ 106, 179 = NJW 1989, 1090.

მუხლის მე-4 ნაწილის მე-4 წინადადების შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს წერილობით ხმის მიცემა. დამატებით შეიძლება დარეგულირდეს:

- რომ ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა;
- რომ წევრისთვის ხმის მიცემის უფლება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი მინდობილობის წარდგენის გზით.

კრების მოწვევა უნდა შედიოდეს გამგეობის ორგანოს კომპეტენციაში მისი ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ფარგლებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება). გათვალისწინებული უნდა იყოს კრების მოწვევა წლიური სიხშირით, აგრეთვე მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს კავშირის ინტერესი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). მოწვევის ფორმა უნდა წარმოადგენდეს ყველა წევრის მიმართ დასაცავ წერილობით ფორმას, 2-კვირიანი შეტყობინების ვადით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კრების მოწვევა, კავშირის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების გზით, არ უნდა მოქმედებდეს ზოგადი წესის სახით (თუმცა ამას ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შეიძლება განისაზღვროს, რომ ვადა (ვადის ათვლა) იწყება მოწვევის გაგზავნის შემდგომი დღიდან და მოწვევა მიიჩნევა წევრთან მისულად, თუ მოწვევა გაგზავნილია კავშირისთვის შეტყობინებულ უკანასკნელ მისამართზე.

წევრთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანად უნდა იქნეს მიჩნეული, როდესაც წევრთა სულ მცირე ნახევარი ესწრება კრებას ან წერილობით მონაწილეობს ხმის მიცემაში. ის უნდა ივარაუდებოდეს მანამ, სანამ არცერთი დამსწრე წევრი მასში ეჭვს არ შეიტანს. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული საკითხი გადაწყვეტილებაუნარიანობის არარსებობის გამო გადაიდება, გათვალისწინებულ უნდა იყოს წევრთა კრების ხელახალი მოწვევის შესაძლებლობა, ამ საკითხის თავიდან განსახილველად და ამ შემთხვევაში, იგი გადაწყვეტილებაუნარიანად იქნება მიჩნეული მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა. აღნიშნული შედეგი ხელახალ მოწვევაში მითითებული უნდა იყოს.

გარდა ამისა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ

- წევრთა კრებას ხსნის გამგეობის წევრი;
- წევრთა კრების დასაწყისში არჩეულ უნდა იქნეს კრების თამჯდომარე და მდივანი (Schriftführer/in);
- წევრთა კრების გადაწყვეტილებების შესახებ უნდა მომზადდეს ოქმი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ კრების თამჯდომარემ და მდივანმა.

ეს დებულებები დისპოზიციური ხასიათის უნდა იყოს ისე, რომ შემდგომი დებულებების დადგენა წესდებით იყოს შესაძლებელი (შეადარეთ, BGB-ს §§ 32, 40; სხვაგვარად რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლით).

სავალდებულო უნდა იყოს კრების მოწვევის ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როდესაც წევრთა 10%, მოწვევის მიზნისა და საფუძვლების მითითებით (და არა უბრალოდ: კრების დღის წესრიგის მითითებით, როგორც ამას ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება), BGB-ს § 37-ის

1-ლი ნაწილის შესაბამისად წერილობით ითხოვს ამას. დისპოზიციური ქცორუმი (ასე, BGB-ს § 37-ის 1-ლი აბზაცი) აუცილებლად არ მიმაჩნია.

BGB-ს § 34-ის შესაბამისად, რომელიც სავალდებულოა (BGB-ს § 40), შეიძლება დამატებით მოწესრიგდეს, რომ წევრს კავშირის ორგანოში არ აქვს ხმის უფლება, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ეხება მასთან დასაძებ გარიგებას ან მასსა და კავშირს შორის არსებული სამართლებრივი დავის წამოწყებას ან მოგვარებას. 32

დამატებით შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნეს, რომ როდესაც წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, წევრთა კრება ერთი წლის ვადით (ამასთან, ხელახალი არჩევა დასაშვებია) ირჩევს სალაროს აუდიტორს, რომელიც არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი და რომელმაც ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს ანგარიში წევრთა კრებას, გამგეობის და სპეციალური წარმომადგენლების მიერ სალაროს და მეურნეობის მართვის შესახებ. 33

4) წევრობის შექნა, დაკარგვა და შინაარსი

წევრობა, როგორც წევრსა და კავშირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, მოიცავს წევრის, როგორც ასეთის, ყველა უფლებასა და მოვალეობას. მისი შექნა ხდება კავშირის დაფუძნებაში მონაწილეობის ან მოგვიანებით განწევრიანების გზით, რომლისთვისაც, ზოგადი წესის სახით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამგეობის მიმართ გაკეთებული განცხადება მიღების თაობაზე და გამგეობის შესაბამისი გადაწყვეტილება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მიღების სავალდებულობისთვის მკაცრი მოთხოვნები უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. მოთხოვნილ უნდა იქნეს ერთი მხრივ, კავშირის მნიშვნელოვანი როლი განმცხადებლისთვის არსებითი სოციალური, კულტურული ან სხვა ამოცანების განხორციელებისას და მეორე მხრივ, რომ კავშირისთვის ასეთი განწევრიანება მისაღებია (zumutbar). 34

წევრობა წყდება გასვლით, გარდაცვალებით ან გარიცხვით. გასვლის უფლების წესდებით შეზღუდვა მხოლოდ გასვლის ვადის დანესებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილი) უნდა იყოს შესაძლებელი, ამასთან, თავის მხრივ, არ უნდა იქნეს გადაცილებული გასვლის ვადის (BGB-ს § 39-ის მე-2 აბზაცი) ერთი ან ორი წლით განსაზღვრული მაქსიმალური ხანგრძლივობა. თუ წესდება სხვა დებულებებს არ შეიცავს, გასვლა უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე გამგეობის წევრის მიმართ, წერილობითი განცხადების საფუძველზე.

გარიცხვა დამოკიდებული უნდა იყოს იმ წინაპირობების არსებობაზე, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც წესდება გარიცხვას ითვალისწინებს, ან - ამ შემთხვევაში არ არსებობს წესდებით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის საჭიროება⁵⁶ - მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობაზე, რაც სასამართლოს მიერ შეუზღუდავად შეიძლება იქნეს გადამოწმებული (ასე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევას და მნიშვნელოვან საფუძველს კუმულაციურად ითვალისწინებს). შემდგომი დეტალების ნორმირება შესაძლებელის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

⁵⁶ Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 25 Rn. 28.

წევრობა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, როგორც უაღრესად პერსონალური სამართლებრივი პოზიცია, პრინციპში, არ გადაეცემა სხვა პირებს (და ამით ასევე: არ ექვემდებარება დაყადაღებას) და არც მემკვიდრეობით გადადის. წევრობის უფლებები პერსონალურად უნდა იქნეს განხორციელებული.⁵⁷ BGB-ს § 38-თან ახლო შესაბამისობაში მყოფი დებულება არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილშიც.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შესაძლებელია წევრებისთვის შენატანების დაწესება, რომელთა ოდენობას და გადახდის ვადის დადგომას წყვეტს წევრთა კრება, თუ წესდება სხვაგვარ დებულებას არ შეიცავს.

გარდა წევრთა ზოგადი სამართლებრივი მდგომარეობისა, შესაძლებელია, რომ წევრობას ეფუძნებოდეს წევრის განსაკუთრებული უფლებები, როდესაც წესდება შეიცავს ამის საფუძველს და ეს განსაკუთრებული უფლება იქ შეუქცევადად არის ფორმულირებული.⁵⁸ ამ გზით მინიჭებული სამართლებრივი მდგომარეობა, BGB-ს § 35-ის თანახმად, მხოლოდ წევრის თანხმობით შეიძლება შეილახოს.

5) პასუხისმგებლობა

35 იურიდიული პირის პერსონალური დამოუკიდებლობა (განკერძოებულობა) მისი წევრების, პარტნიორების, ხელმძღვანელებისგან მდგომარეობს იმაში, რომ მას საკუთარი ქონება გააჩნია, რომელიც მისი წევრების და ა. შ. ქონებისგან უნდა იქნეს განსხვავებული და რომ ის საკუთარ ვალდებულებებს აფუძნებს, რომლებიც მისი წევრების და ა. შ. ვალდებულებებისგან უნდა იქნეს განსხვავებული და რომლისთვისაც ეს პირები აუცილებლად კი არ აგებენ პასუხს, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისთვის რაიმე განსაკუთრებული საფუძველი არსებობს. და პირიქით, იურიდიული პირი სხვა პირების ვალდებულებებისთვის პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისთვის განსაკუთრებული საფუძველი არსებობს.

თანამშრომლობის სამეწარმეო ფორმებისგან განსხვავებით, არასამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელი კორპორაციებისთვის (გაერთიანებებისთვის) არ არსებობს გაყოფის ამ პრინციპის (Trennungsgrundsatz) საეჭვოდ მიჩნევის საბაზი. სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება, დღეისათვის გაბატონებული შეხედულებით, იწვევს არა გაყოფის პრინციპის თელეოლოგიურ რედუქციას, არამედ პერსონალურ დელიქტურ პასუხისმგებლობას.⁵⁹ ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის დებულებამ მხოლოდ უნდა განმარტოს, რომ გაყოფა არა მარტო ორგანოს, არამედ ყველა ხელმძღვანელს ეხება. სათაურში უნდა აისახოს, რომ დებულება ეხება არა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს, არამედ პასუხისმგებლობას ყველა სახის ვალდებულებებისთვის.

36 პერსონალური დამოუკიდებლობის კიდევ ერთ შედეგს წარმოადგენს იურიდიული პირის წინაშე წევრის (პარტნიორის და ა. შ.) ან ხელმძღვანელის შიდა პასუხისმგებლობის შესაძლებლობა. იგი ძირითადად განისაზღვრება წევრობის, ან შესაბამისად, დანიშვნის ურთიერთობის მი-

⁵⁷ Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 38 Rn. 1 und 3.

⁵⁸ Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 35 Rn. 1.

⁵⁹ Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, Einf v § 21 Rn. 12.

ხედვით და იმ სამართლებრივი შედეგებით, რომლებიც გამომდინარეობს ამ ურთიერთობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევიდან. შეიძლება განხილულ იქნეს, ხომ არ უნდა მოხდეს აღნიშნულიდან გამომდინარე ზოგადი შედეგის, რომლის თანახმად ყოველი ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 719-ე მუხლით გათვალისწინებულ რწმუნებულის პასუხისმგებლობის პრივილეგიას BGB-ს §§ 31a-ს 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადების და 31b-ს 1-ლი აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად გამორიცხავს, წვრილმანი სფეროსთვის მოდიფიცირება და ამ ნორმების 1-ლი აბზაცის მე-3 წინადადების შესაბამისი მტკიცების ტვირთის შებრუნების გათვალისწინება. ასევე შეიძლება იქნეს განხილული, რომ ხელმძღვანელი პირების (Amtswalter) პასუხისმგებლობის პრეროგატივა არა მარტო კავშირის მიმართ დავალების ურთიერთობებში უნდა მოქმედებდეს, არამედ ასევე, როგორც წევრების მიმართ არსებული პასუხისმგებლობა (BGB-ს § 31a-ს პირველი აბზაცის მე-2 წინადადება). და ბოლოს, შესაძლებელია განხილულ იქნეს საკითხი იმის თაობაზე, რომ უსასყიდლოდ ან მცირე საზღაურის სანაცვლოდ მოქმედი წევრების ან ხელმძღვანელი პირების გარე პასუხისმგებლობის (სხვა პირების მიმართ პასუხისმგებლობის) შემთხვევისთვის, გათვალისწინებულ იქნეს მათი კავშირის მიმართ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება, რადგან ამ შემთხვევებში მათი შიდა პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობის პრეროგატივის გამო, გამორიცხული იქნებოდა (BGB-ს §§ 31a-ს მე-2 აბზაცი, 31b-ს მე-2 აბზაცი).

6) კავშირის რეორგანიზაცია, შეწყვეტა (Auflösung) და ლიკვიდაცია

კავშირის რეორგანიზაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი აბზაცის თანახმად აკრძალულია, გაყოფა და შერწყმა ¹ ნაწილის თანახმად სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება. აღნიშნული სამართლებრივი ვითარება სისტემატიკური ამოსავალი წერტილის თვალსაზრისით, შესაბამისობაშია გერმანულთან, რომლის თანახმად კავშირის რეორგანიზაციის მიმართაც მოქმედებს კანონი რეორგანიზაციის შესახებ (Umwandlungsgesetz).⁶⁰ ამ თვალსაზრისით, ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ არსებობს.

კავშირის შეწყვეტისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის დებულებები შემოთავაზებული ახალი რედაქციით. მათ მიხედვით, შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს სტატუტურად (ანუ კავშირის შემთხვევაში: წესდებაში) გათვალისწინებული საბოლოო ვადა, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მანამდე არსებული ³⁸1 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, სამართლებრივი ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში. შესაბამისად კავშირის სამართალში ნორმირებულ უნდა იქნეს შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო, აგრეთვე შეწყვეტის სხვა საფუძველები ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ³⁸1 მუხლით გათვალისწინებული შეწყვეტის დამატებითი პროცედურები.

ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ კავშირი შეიძლება დაიშალოს წევრთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე და რომ ამ გადაწყვეტილებისთვის საჭიროა მიცემული ხმების $\frac{3}{4}$ -ის ქვორუმის (სხვაგვარად არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 39-ე მუხლში) არსებობა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

⁶⁰ Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 41 Rn. 8.

შემდეგ, უნდა არსებობდეს შეწყვეტის განსაკუთრებული პროცედურა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო განახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) კავშირების ზედამხედველობას. ამასთან, შესაძლებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის ძველ რედაქციაზე დაყრდნობით, გათვალისწინებულ იქნეს, რომ უფლებამოსილმა უწყებამ სასამართლოს მიმართოს კავშირის შეწყვეტის მოთხოვნით, როდესაც კავშირი თავისი საქმიანობის საგანს მნიშვნელოვნად ცვლის, განსაკუთრებით როდესაც იგი სამეწარმეო მიზნებს მისდევს ან როდესაც წესდებით გათვალისწინებული მიზნების შემდგომი განხორციელება შეუძლებელია. თუ კავშირს აკრძალული ან ანტიკონსტიტუციური მიზნები გააჩნია, ამით რეგისტრაციის წინაპირობა უქმდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და მის მიმართ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-1 მუხლით გათვალისწინებული დაშლის პროცედურა. გაკოტრების ან ქონების არქონის სამართლებრივი შედეგები ნორმირებულ უნდა იქნეს გაკოტრების სამართლებრივ კონტექსტში.

ვინაიდან კავშირის შემთხვევაში, ფიზიკური პირი პერსონალურად არ აგებს პასუხს კავშირის ვალდებულებებისთვის, ამიტომ ქონების არქონა წარმოადგენს შეწყვეტის საფუძველს.⁶¹ ამ თვალსაზრისით, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული შეწყვეტის პროცედურა. ვინაიდან ქონების არქონის შემთხვევაში შეუძლებელი ხდება წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება, აღნიშნული არ საჭიროებს სპეციალურ განკარგულებას (Anordnung).

39 სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლი, შემოთავაზებული ახალი რედაქციით, ლიკვიდაციას განსაზღვრავს, როგორც ქონების განაწილების ზოგად წესს, რაც კავშირისთვისაც უპრობლემოდ შეიძლება იქნეს შენარჩუნებული. კავშირის სამართლით უნდა განისაზღვროს დარჩენილი ქონების გამოყენების საკითხი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრას სარეგისტრაციო განაცხადში და კავშირის ქონების გასხვისებას ზღვრებს უწესებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილისთვის შემოთავაზებული ახალი რედაქციით გათვალისწინებულ გასხვისების ზოგად ზღვრებს, რომელთა საშუალებითაც გარანტირებულია კავშირის არასამეწარმეო ხასიათი. აღნიშნულის საპირისპიროდ, ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები წესდებით უნდა განისაზღვროს და კანონი უნდა ითვალისწინებდეს ამის შესახებ დისპოზიციურ დებულებას, რომელიც BGB-ს § 45-ის მსგავსად შეიძლება ჩამოყალიბდეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადებების სუბსიდიურად გამოყენების შესაძლებლობა კვლავინდებურად უნდა შენარჩუნდეს. ქონების გასხვისების ზღვრებთან დაკავშირებით, შესაძლებელია მითითების გაკეთება 36-ე მუხლის ახალ რედაქციაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული განაწილების აკრძალვა (Verteilungsverbot) გამოღებულ უნდა იქნეს.

40 ჩემთვის ბოლომდე გასაგები არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის მე-3 წინადადება. თუ მისი მიზანია, კავშირის ქონების განცალკევება ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის (Anfallberechtigter) ქონებისგან, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება (BGB-ს § 51-ის შესაბამისად), მაშინ იგი უნდა მოქმედებდეს მიუხედავად იმისა, დანიშნულია თუ არა სასამართლო ქონების მიღებაზე უფ-

⁶¹ იხილეთ ზემოთ.

ლებამოსილი პირის დასადგენად და მაშინ მისთვის გადამწყვეტი უნდა იყოს არა რეგისტრაცია, არამედ ლიკვიდაციის დასრულება. ვინაიდან ლიკვიდაცია დარჩენილი ქონების განაწილებასაც მოიცავს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ დარჩენილი ქონება 6 თვის ვადით დეპონირებულ იქნეს სასამართლოში. ამის გაკეთება შესაძლებელია მე-6 ნაწილის მე-2 წინადადებაში. თუ დებულების მიზანია, რომ ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ დროებით გაურკვეველად უნდა დარჩეს (*in der Schwebe zu halten*), მაშინ ვადაზე დამოკიდებული უნდა გახდეს ეს გადაწყვეტილება და არა ქონების განაწილება.

7) დაურეგისტრირებელი კავშირების მიმართ მოქმედი სამართალი

არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირისთვის, როგორც იურიდიული პირისთვის, რეესტრში რეგისტრაცია კონსტიტუციურ ხასიათს ატარებს (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად კავშირი, რომელიც არ არის დარეგისტრირებული, არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მაგრამ მიუხედავად ამისა, წევრების ფაქტობრივი გაერთიანება მაინც იწვევს ქონების შექმნას, რომელიც მართალია პერსონალურად განკერძოებული (დამოუკიდებელი) ვერ იქნება, მაგრამ ექვემდებარება სამართლებრივ ბოჭვას, რომელიც წევრების მიერ მიღებული შეთანხმებებიდან გამომდინარეობს.

ამისათვის BGB ადგენს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის (GbR) სამართლის მოქმედებას, ანუ განიხილავს ამ ქონებას, როგორც ვალდებულებითსამართლებრივ ბოჭვას დაქვემდებარებულ, საერთო თანაზიარ სპეციალურ ქონებას და ამატებს მხოლოდ კავშირისთვის მოქმედი პირის პერსონალურ პასუხისმგებლობას (BGB-ს § 54). რეგულირების ეს მოდელი მოძველებულად არის მიჩნეული. ივარაუდება, რომ მოქმედი პირის პერსონალური პასუხისმგებლობით ხდება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის პარტნიორის აქცესორული პასუხისმგებლობის ჩანაცვლება ისე, რომ წევრები კავშირის ვალდებულებებისთვის აქცესორულად არ აგებენ პასუხს. შიდა ურთიერთობებში უნდა მოქმედებდეს კავშირის სამართლის დებულებები, რომლებიც წინაპირობის სახით უფლებაუნარიანობას არ ითვალისწინებენ. კავშირის ქონების მატარებელი არის ნაწილობრივი უფლებაუნარიანობის მქონე პირთა ჯგუფი, რომელიც ქმნის არარეგისტრირებულ კავშირს.⁶² ამ დებულებებს ძირითადად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის დებულებები. განმარტებულ შეიძლება იქნეს, რომ კავშირისთვის მოქმედი დებულებები გამოიყენება შესაბამისად. მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმის შესაძლებლობა, რომ გარდა შენატანებიდან შექმნილი ქონებისა, სხვა ქონებაც შეიძლება იქცეს კავშირის ქონებად. სისტემატიკის მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის დებულებები ამოღებულ უნდა იქნეს და მხარედ გამოსვლის, პროცესუნარიანობის და მოსარჩელედ გამოსვლის უნარიანობის პროცესუალურ-სამართლებრივ კონტექსტში უნდა იქნეს დარეგულირებული. არც კავშირის სამართალი შეიცავს დებულებებს სასამართლო პროცესში კავშირის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მხარედ არსებობის უნარიანობა უკვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისი გამოყენებიდან გამომდინარეობს. მე-4 ნაწილში განმარტებული უნდა იქნეს, რომ კავშირის ქონებაზე პასუხს აგებენ კრედიტორები და იმ (მისთვის) მოქმედი პირის ქონება, რომელმაც წარმოშვა შესაბამისი ვალდებულება.

⁶² Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 218 ff.; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 49 ff.; Palandt/ Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 54 Rn. 1, 7, 12.

წინადადებები ცვლილებების შესახებ

<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (სსკ) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, 2015 წლის 11 დეკემბერს შესრულებული თარგმანი</p>	<p>ცვლილებების შემოთავაზებები</p>	<p>დასაბუთება, ტექსტის ციფრი</p>
<p>თავი მეორე იურიდიული პირები</p>	<p>თავი მეორე იურიდიული პირები</p>	
<p>I. ზოგადი დებულებანი</p>	<p>I. ზოგადი დებულებანი</p>	
<p>მუხლი 24. ცნება. სახეები</p> <p>1. იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.</p>	<p>მუხლი 24. ცნება. სახეები</p> <p>1. იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და შეუძლია საკუთარი სახელით უფლებებისა და მოვალეობების შექმნა, გარიგებების დადება და სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლა.</p>	
<p>2. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან</p>	<p>2. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად [საჭიროების შემთხვევაში: ან ქონებაზე დამოკიდებულად] ორგანიზებული,</p>	<p>108</p>

<p>მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას.</p>	<p>წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას.</p>	
<p>3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნის, ორგანიზებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.</p>	<p>3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნა, ორგანიზება და საქმიანობა განისაზღვრება კანონით.</p>	<p>89</p>
<p>4. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უნყებები, დაწესებულებები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ არიან ურიდიული პირები. (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>5. იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამენარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>4. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უნყებები, დაწესებულებები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები. (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>5. იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამენარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას [დარეგისტრირდეს?] „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>6. იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამენარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით (14.12.2006 N3967-</p>	<p>6. იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამენარმეო საქმიანობა, რეგისტრირდება ამ კოდექსით დადგენილი წესით (14.12.2006 N3967-</p>	<p>106</p>

RS).	RS).	
<p>მუხლი 25. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა</p> <p>1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.</p>	<p>მუხლი 25. უფლებაუნარიანობა</p> <p>ნაიშალოს</p>	90
<p>2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამენარმეოს თუ არასამენარმეოს (არაკომერციულს)) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.</p>	<p>2. იურიდიულ პირს (სამენარმეოს თუ არასამენარმეოს (არაკომერციულს)) შეუძლია იქონიოს უფლებები და მოვალეობები ნებისმიერი საქმიანობის საშუალებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა გათვალისწინებული მისი წესდებით.</p>	
<p>3. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის გავლის საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან ავტორიზაციის გავლის მომენტიდან (21.07.2010 N3537-RS).</p>	<p>ნაიშალოს</p>	
<p>4. იურიდიული პირის</p>	<p>4. იურიდიული პირი იძენს</p>	91

<p>უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.</p>	<p>უფლებაუნარიანობას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.</p>	
<p>5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>(3) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის განსახორციელებლად დანიშნულ პირებს შორის დაუშვებელია (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>მუხლი 26. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>2. იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად</p>	<p>მუხლი 26. ადგილსამყოფელი (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი მთავარი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი.</p> <p>2. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p>92</p>

(14.12.2006 N3967-RS)		
<p>მუხლი 27. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება</p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისადმი მისი კუთვნილება (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>მუხლი 27. სახელი</p> <p>1. იურიდიულ პირის სახელში ერთმნიშვნელოვანი აღნიშვნის საშუალებით ნათლად უნდა აისახოს სამართლებრივი ფორმა, რომლითაც ის არსებობს.</p>	<p>93</p>
	<p>2. იურიდიული პირის სახელში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშვნები, რომლებმაც აშკარად შეიძლება გამოიწვიოს შეცდომაში შეყვანა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია შესაბამისი ბრუნვის მონაწილეებისთვის. (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>3. იურიდიული პირის სახელი შესაფერისი უნდა იყოს მის აღსანიშნავად, გააჩნდეს განმასხვავებელი ძალა და არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული იურიდიული პირის სახელს (14.12.2006 N3967-RS).</p>	

<p>4. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>4. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს ბრალეული მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>მუხლი 28. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის წარმომადგენლობის) რეგისტრაციის წესი (25.12.2009 N2458-RS).</p> <p>2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p>მუხლი###. რეესტრი</p> <p>(1) მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ერთიან რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p>94</p>
<p>მუხლი 29. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები (14.07.2011 N5017)</p> <p>1. დაინტერესებული პირი არასამენარმეო (არაკომერციული)</p>	<p>(2) იურიდიული პირის რეგისტრაცია ხორციელდება მარეგისტრირებელ ორგანოში განცხადების წარდგენის გზით, რომელიც ოფიციალურად დამოწმებული ფორმით უნდა განხორციელდეს.</p>	

<p>იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს. (25.12.2009 N2458-RS).</p>		
<p>მუხლი 32. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი (14.07.2011 N5017)</p> <p>1. მარეგისტრირებელი ორგანო ამ თავით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14² მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს (14.07.2011 N5017).</p>	<p>(3) მარეგისტრირებელი ორგანო ამ თავით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14² მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს (14.07.2011 N5017).</p>	
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო, გარდა მენარმე სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით</p>	<p>რეგისტრაციის შესახებ მოთხოვნა არსებობს მაშინ, როდესაც დაფუძნება აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და დასაფუძნებელი იურიდიული პირის მიზნები არ არის მიმართული მესამე პირთა უფლებების ან კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ. თუ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის, მას</p>	

<p>განსაზღვრული საფუძვლებისა, იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:</p> <p>ა) რეგისტრაციისათვის წარდგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპებს;</p> <p>ბ) არსებობს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები. გ)–ზ) ამოღებულია (14.07.2011 N5017).</p>	<p>რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას. საჭიროების შემთხვევაში, დაემატოს: მითითება გასაჩივრების წესის შესახებ რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში.</p>	
<p>მუხლი 28. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია (25.12.2009 N2458-RS).</p> <p>3. [...]მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება მისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება. (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p>მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის განმცხადებლისთვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება მისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება. (25.12.2009 N2458-RS).</p>	
<p>მუხლი 32. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფი-</p>	<p>(4) მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების</p>	

<p>ლიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი (14.07.2011 N5017).</p> <p>2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების წესი განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14² მუხლით.</p>	<p>წესი განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14² მუხლით.</p>	
<p>მუხლი. 34 რეესტრის მონაცემები (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>(1-1) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სარეგისტრაციო დოკუმენტი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელწოდებას, ადგილსამყოფელს და საქმიანობის მიზანს, დამფუძნებლის (დამფუძნებლების), ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვინაობას.(27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>(5) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, იურიდიული პირისსარეგისტრაციო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის სახელს, ადგილსამყოფელს და საქმიანობის მიზანს, აგრეთვე ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვინაობას და მათ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას (27.04.2010 N2978-RS).</p>	
<p>2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემები საჯაროა. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება და მათი ხელმისაწვდომობა. (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>2. რეესტრის მონაცემები საჯაროა. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება და მათი ხელმისაწვდომობა (03.11.2009 N1964-IIS).</p>	

<p>მუხლი 28. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია (25.12.2009 N2458-RS)</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა) წარმოშობილად ითვლება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) არსებობა დგინდება ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.</p>	<p>(7) იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. იურიდიული პირის არსებობა დგინდება რეესტრიდან ამონაწერით. იურიდიული პირის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.</p>	
<p>მუხლი 31. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებების რეგისტრაცია (14.07.2011 N5017)</p> <p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის</p>	<p>(8) იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეხება სარეგისტრაციო დუკუმენტაციაში არსებულ მონაცემებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (27.04.2010 N2978-RS). მანამდე ეს ცვლილება შეიძლება იქნეს გამოყენებული მესამე პირებთან ურთიერთობა-</p>	

<p>არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>ში, თუ ამის შესახებ მათთვის ცნობილია. თუ ცვლილება რეგისტრირებულია, ის არ ავალდებულებს მესამე პირს, თუ მან ამის შესახებ არაფერი იცის და თუ მისი უცოდინარობა ასევე არ არის გამოწვეული დაუდევრობით.</p>	
<p>1. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამონმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება (14.07.2011 N5017).</p>	<p>1. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამონმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება (14.07.2011 N5017).</p>	
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მენარმე იურიდიული პირის/ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით (14.07.2011 N5017).</p>	<p>(10) იურიდიული პირის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მისი რეგისტრაციისთვის მოქმედი დებულებების შესაბამისად (14.07.2011 N5017).</p>	
<p>მუხლი 35. არასამენარმეო (არაკო-</p>	<p>მუხლი ## ხელმძღვანელობა და წარ-</p>	<p>95</p>

<p>მერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მინიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დაანესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა.(14.12.2006 N3967-RS)</p> <p>2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადანყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>მომადგენლობა (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. იურიდიული პირის მართვა და წარმომადგენლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პირის მიერ. თუ ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობისთვის დანიშნულია ერთზე მეტი პირი, მაშინ მათ აქვთ უფლება, რომ ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა განხორციელონ ცალ-ცალკე, ყველამ ერთობლივად ან უმრავლესობით. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, მათ აქვთ ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის მხოლოდ ერთობლივად განხორციელების უფლებამოსილება. თუ ნების გამოვლენა იურიდიული პირის მიმართ უნდა განხორციელდეს, მაშინ არ შეიძლება მოთხოვილ იქნეს მისი გამოვლენა წარმომადგენლად დანიშნული ერთზე მეტი პირის მიმართ.2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს იურიდიული პირის საკითხებზე გადანყვეტილებების მიღებას. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. (27.04.2010 N2978-RS).</p> <p>(3) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია, თუ იგი არ არის შეზღუდული სხვა დებულებების საშუალებით ან მათ საფუძველზე. გარიგებებისთვის, რომლებთან დაკავშირებით მესამე პირებისთვისაც ნათელია, რომ ისინი სრულიად სცდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიზანს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ არსებობს.</p>	
<p>მუხლი 37. ზიანის ანაზღაურება</p>	<p>მუხლი ## პასუხისმგებლობა</p>	<p>96</p>

<p>(14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>(14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც ხელმძღვანელობის ან წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირებმა ან წესდებით დანიშნულმა სხვა სპეციალურმა წარმომადგენლებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი შესრულებისას მიაყენეს მესამე პირებს ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (14.12.2006 N3967-RS). იურიდიული პირი ასევე პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ მან არ დანიშნა თავის ერთ-ერთ საქმეზე სპეციალური წარმომადგენელი ან დამხმარე პირი.</p>	
<p>2. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>2. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდნენ. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი იურიდიული პირის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხსწარმოშობილი ზიანისათვის. ვალდებულების უხეში დარღვევის შემთხვევებში შესაძლებელია ასევე, რომ სარჩელი ანაზღაურების შესახებ შეტანილ იქნეს იურიდიული პირის კრედიტორების მიერ, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნას. კრედიტორების მიმართ ანაზღაურების ვალდებულება არ გაუქმდება ზიანის ანაზღაურების მიღებაზე უარის თქმის ან იურიდიული პირის მიერ მორიგების შემთხვევაში, ისევე როგორც მაშინ, როდესაც ქმედება იურიდიული პირის ორგანოს გადაწყვეტილებას ეფუძნება (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>97</p>

<p>მუხლი 38. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია</p> <p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილებით ან სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან ამ კოდექსის 381 მუხლის შესაბამისად (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>მუხლი ## გაუქმება</p> <p>(1) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, იურიდიული პირის გაუქმება ხორციელდება წესდებით გათვალისწინებული დასრულების თარიღის დადგომისას, ასეთი უფლებამოსილების მქონე მისი ორგანოების გადაწყვეტილებით ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, ან [აქამდე: ამ კოდექსის მუხლი 38¹] შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილებით. (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>98, 99</p>
<p>4. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. [...]</p>	<p>(2) გადაწყვეტილება იურიდიული პირის გაუქმების პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. იგივე წესი მოქმედებს იურიდიული პირის არსებობის გაგრძელების მიმართ.</p>	<p>98, 102</p>
	<p>მუხლი ## ქონების განაწილება</p> <p>(1) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, იურიდიული პირის გაუქმების შემდეგ, მისი ქონების გათვალისწინებით, ხორციელდება ქონების განაწილება ლიკვიდაციის გზით.</p>	<p>98, 103</p>
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს</p>	<p>(2) თუ ქონების განაწილება ხორციელდება ლიკვიდაციის გზით, მაშინ უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლე-</p>	

უფლებამოსილ პირებს.	ბამოსილ პირებს.	
<p>8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები). განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>(3) ლიკვიდაციას ახორციელებენ ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირები. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (03.11.2009 N1964-IIS).</p>	
<p>9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>(4) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები).</p> <p>(5) აკრძალულია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე (14.12.2006 N3967-RS).</p>	
	<p>(6) ლიკვიდატორები და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, აგრეთვე ნებისმიერი მათთან დაკავშირებული ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული</p>	

	პირების რეესტრში.	
<p>10. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციას აუქმებს მარეგისტრირებელი ორგანო იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებისა და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>მუხლი ## შეწყვეტა</p> <p>10. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ იურიდიული პირის შეწყვეტა უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.</p>	<p>98, 104</p>
	<p>(2) თუ არ არსებობს ქონება ან თუ იურიდიული პირი სინამდვილეში არც ჩამოყალიბებულა, მაშინ უნდა დარეგისტრირდეს, რომ იურიდიული პირი შეწყვეტილია გაუქმების შედეგად.</p>	
<p>მუხლი 38¹. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება</p> <p>(03.11.2009 N1964-IIS)</p> <p>თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ხარვეზის დადგენის შესახებ და ამ იურიდიულ პირს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას, რის თაობაზედაც მიეთითება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდი-</p>	<p>მუხლი ##. გაუქმება ხარვეზების გამო</p> <p>(03.11.2009 N1964-IIS)</p> <p>თუ იურიდიული პირი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მაშინ მას მარეგისტრირებელი ორგანო განუსაზღვრავს ხარვეზის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღიან ვადას ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, რის თაობაზედაც მიეთითება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირე-</p>	<p>98, 100</p>

<p>ული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება ჩერდება და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა. ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის განმავლობაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს ლიკვიდაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>ბის რეესტრიდან გაიცემა მხოლოდ ისეთი ამონაწერი, რომელშიც მითითებულია წარდგენილი მოთხოვნის თაობაზე. ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის განმავლობაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა მიმართოს სასამართლოს რეგისტრირებული იურიდიული პირის გაუქმების მოთხოვნით. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით, რომლითაც სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ლიკვიდატორი იურიდიული პირი გაუქმებულია.</p>	
<p>II. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები</p>	<p>II. არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირები</p>	<p>110</p>
	<p>მუხლი ## კავშირის ცნება</p> <p>(1) კავშირი არის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელშიც ერთობლივი მიზნის მისაღწევად, გარკვეული ვადით ერთიანდება რამდენიმე პირი. ამასთან, ორგანიზაცია დამოუკიდებელია მის წევრთა შემადგენლობის ცვლილებისგან. კავშირის დასაფუძნებლად საჭიროა, სულ მცირე, ხუთი [ან: შვიდი] პირი.</p>	<p>111</p>

	<p>(2) სამენარმეო საქმიანობა, რომელიც შემთხვევით ხასიათს ატარებს და ემსახურება საერთო მიზნის მიღწევას, არ ცვლის იურიდიული პირის არასამენარმეო (არაკომერციულ) ხასიათს. დაუშვებელია, ასეთი საქმიანობით მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებს შორის.</p> <p>(3) კავშირის სახსრების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისთვის. არ შეიძლება კავშირის ქონებიდან მისი წევრების დაფინანსება. არც ერთ პირს არ აქვს უფლება განიოს ხარჯები, რომლებიც უცხოა კავშირის მიზნისთვის ან მიანიჭოს შეღავათები შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურების გაცემით.</p>	
<p>მუხლი 36. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება</p> <p>არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>მუხლი 36. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება</p> <p>კავშირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება კავშირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს ან მისი სხვა არასამენარმეო (არაკომერციულ) კავშირზე გასხვისების შემთხვევაში (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>მუხლი 27. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>93</p>

<p>1. არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისადმი მისი კუთვნილება (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „მენარმეთა შესახებ“ და „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონებითა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>4. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი (14.12.2006 N3967-RS).</p>		
---	--	--

<p>5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები (14.12.2006 N3967-RS).</p>		
<p>მუხლი 28. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია (25.12.2009 N2458-RS)</p> <p>1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p><i>წაიშალოს</i></p>	<p>112</p>
<p>2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (25.12.2009 N2458-RS).</p> <p>3. არასამეწარმეო (არაკომერციული)</p>	<p><i>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</i></p>	<p>94</p>

<p>იურიდიული პირი და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა) წარმოშობილად ითვლება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) არსებობა დგინდება ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება მისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება (25.12.2009 N2458-RS).</p> <p>(4)-(11) ამოღებულია (14.07.2011 N5017)</p>		
<p>მუხლი 29. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები (14.07.2011 N5017)</p>	<p>მუხლი ##. რეგისტრაცია</p>	<p>113</p>

<p>1. დაინტერესებული პირი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>94</p>
<p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამონმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს (25.12.2009 N2458-RS):</p> <p>ა) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;</p> <p>ბ) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;</p> <p>გ) რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;</p> <p>დ) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა.</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული)</p>	<p>1. კავშირის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანის უფლებამოსილება აქვს გამგეობას, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე შემადგენლობით.</p> <p>2. კავშირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს გამგეობის წევრთა დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე კავშირის დამფუძნებელ წევრთა მიერ ხელმოწერილი წესდება, რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო დოკუმენტში, რომელშიც უნდა მიეთითოს (25.12.2009 N2458-RS):</p> <p>ა) მიზანი;</p> <p>ბ) სახელი და ადგილსამყოფელი;</p> <p>გ) რომ კავშირი უნდა იქნეს დარეგისტრირებული;</p> <p>დ) დამფუძნებელი წევრები [საჭიროების შემთხვევაში: სახელწოდების, სახელის, დაბადების თარიღის, დაბადების ადგილის, პროფესიის და საცხოვრებელი ადგილის მითითებით];</p> <p>ე) შექმნის თარიღი.</p> <p>თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, წესდება შეიძლება შეიცავდეს სხვა დებულებებსაც. ზემოთ ხსენებული საბუთები უნდა დაერთოს ორიგინალის ან ოფიციალურად დამონმებული ასლების სახით.</p> <p>3. რეგისტრაციის სხვა წესები განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შე-</p>	<p>113</p> <p>113</p>

<p>იურიდიული პირის რეგისტრაციის სხვა წესები განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (14.07.2011 N5017).</p>	<p>სახებ“ საქართველოს კანონითა და „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (14.07.2011 N5017).</p>	
<p>მუხლი 30. ამოღებულია (14.07.2011 N5017)</p>		
<p>მუხლი 31. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებების რეგისტრაცია (14.07.2011 N5017)</p> <p>1. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამონმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება (14.07.2011 N5017).</p> <p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>94</p>

<p>(27.04.2010 N2978-RS).</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მენარმე იურიდიული პირის/ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით (14.07.2011 N5017).</p>		
<p>მუხლი 32. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი (14.07.2011 N5017)</p> <p>1. მარეგისტრირებელი ორგანო ამ თავით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14² მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს (14.07.2011 N5017).</p> <p>2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების წესი განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14² მუხლით (14.07.2011 N5017).</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლი-</p>	<p><i>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</i></p>	<p>94</p>

<p>ლების მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებული ორგანო, გარდა მენარმე სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებისა, იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:</p> <p>ა) რეგისტრაციისათვის წარდგენილი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპებს;</p> <p>ბ) არსებობს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.</p> <p>გ)–ზ) ამოღებულია (14.07.2011 N5017)</p> <p>(4) ამოღებულია (14.07.2011 N5017)</p>		
<p>მუხლი 33. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>2. თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე, სასამართლო მარეგისტრირებული ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის</p>	<p>ახალი რედაქცია 38¹-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>124</p>

<p>სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს.</p> <p>3. სასამართლოს მიერ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა გააუქმოს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია (19.11.2009 N1964-IIS).</p>		
<p>მუხლი 33-1. ამოღებულია (03. 11. 2009 N1964-IIS)</p>		
<p>მუხლი 34. რეგისტრაციის მონაცემები (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. (ამოღებულია) (03.11.2009 N1964-IIS).</p> <p>1¹. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სარეგისტრაციო დოკუმენტი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელწოდებას, ადგილსამყოფელსა და საქმიანობის მიზანს, დამფუძნებლის/წევრის (დამფუძნებლების/წევრების), ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვინაობას (27.04.2010 N2978-RS).</p> <p>2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების</p>	<p><i>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</i></p>	<p>94</p>

<p>რეესტრის მონაცემები საჯაროა. მარეგისტრირებული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება და მათი ხელმისაწვდომობა (03.11.2009 N1964-IIS).</p> <p>3. (ამოღებულია) (03.11.2009 N1964-IIS).</p>		
<p>მუხლი 35. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა (14. 12.2006 N3967-RS)</p>	<p>მუხლი ##. გამგეობა</p>	<p>115</p>
<p>მუხლი 35. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა</p> <p>1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მინიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ანდა დაანესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა (27.04.2010 N2978-RS).</p> <p>2. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პი-</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>95</p>

<p>რებთან ურთიერთობაში (27.04.2010 N2978-RS).</p>		
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაცია და სტრუქტურა უნდა მონესრიგდეს წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამონმებას (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>წაიშალოს</p>	<p>113</p>
	<p>(1) თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე ორგანო (გამგეობა) შედგება სამი პირისგან. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, კავშირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, რომლის გამგეობაც წესდების მიხედვით რამდენიმე პირისგან შედგება, ხორციელდება გამგეობის წევრთა უმრავლესობით. წარმომადგენლობის უფლებამოსილების ფარგლები, მიუხედავად [ახალი რედაქციით: 35-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4 წინადადებისა] მუხლისა, შეიძლება შეიზღუდოს მესამე პირების მიმართ.</p> <p>(2) გამგეობის წევრთა დანიშვნა ხორციელდება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დანიშვნა ხორციელდება 4 [ან: ორი] წლის ვადით. ამასთან დასაშვებია ხელახალი დანიშვნა, რომელიც გრძელდება ვადის გასვლის შემდეგ ახალი გამგეობის არჩევამდე. დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება, მიუხედავად შესაძლო ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობისა, შეიძლება ნებისმიერ დროს. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გაუქმების უფ-</p>	<p>115</p>

	<p>ლება დამოკიდებულია მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობაზე. (3) თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, გამგეობის წევრები შიძლება იყვნენ მხოლოდ კავშირის წევრები. კავშირის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, საეჭვოობისას, ასევე უქმდება გამგეობის წევრობაც.</p>	
<p>4. არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები (14.07.2011 N5017).</p>	<p>4. ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები (14.07.2011 N5017).</p>	
	<p>(5) თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გამგეობის საქმიანობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების მიმართ მოქმედი 709-722-ე მუხლები და გამგეობის წევრების საქმიანობა ხორციელდება უსასყიდლოდ.</p> <p>(6) თუ წესდებით გათვალისწინებული, გამგეობის წევრთა მინიმალური რაოდენობა არ არის მიღწეული, მათი დანიშვნა გარდამავალი პერიოდისთვის შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, დანიშნულმა გამგეობის წევრებმა დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიონ წევრთა საერთო კრება, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამგეობის წევრთა საბოლოოდ დანიშვნის</p>	

	<p>თაობაზე.</p>	
	<p>მუხლი. ## სპეციალური წარმომადგენლები</p> <p>წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ განსაზღვრული გარიგებების დასადავებად გამგეობის გარდა, საჭიროა სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, საეჭვოობისას, ვრცელდება ყველა გარიგების მიმართ, რომელსაც მისთვის განსაზღვრული საქმიანობის სფერო ჩვეულებრივ მოიცავს.</p>	<p>116</p>
	<p>მუხლი ##. წევრთა საერთო კრება</p> <p>(1) წევრთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის ყველა საქმეზე, რომელიც არ ექვემდებარება გამგეობის ან კავშირის სხვა ორგანოს კომპეტენციას. გარდა ამ კანონში ხსენებული შემთხვევებისა, საერთო კრების კომპეტენციას განსაკუთრებით განეკუთვნება სპეციალური წარმომადგენლების და სალაროს შემოწმებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის დანიშვნა, აგრეთვე გამგეობის ანგარიშების მიღება და მისი საქმიანობის შეფასება. გადაწყვეტილებები ნამდვილია, თუ მათი საგანი კრების მოწვევისას მითითებული იყო დღის წესრიგში.</p> <p>(2) გადაწყვეტილებების მიღება ხდება მიცემული ხმების უბრალო უმრავლესობით. წესდებაში ცვლილების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიცემულ ხმათა უმრავლესობა, სამი მეოთხედის ოდენობით. კავშირის მიზნის შეცვლის</p>	<p>117</p>

	<p>თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა წევრის თანხმობა; იმ წევრთა თანხმობა, რომლებიც არ გამოცხადდნენ კრებაზე, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. კრებაზე არმყოფ წევრებს შეუძლიათ ხმის მიცემაში მონაწილეობა წერილობითი ფორმით. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. წევრის ხმის მიცემის უფლება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი მინდობილობის წარდგენის საფუძველზე.</p> <p>(3) წევრთა საერთო კრების მოწვევა გამგეობის მიერ ხორციელდება სულ მცირე, წელიწადში ერთხელ ან როდესაც ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს. კრების მოწვევა ხორციელდება კავშირის ყველა წევრის მიმართ წერილობითი ფორმით, კრებამდე 2 კვირის ვადაში. ვადის ათვლა იწყება მოწვევის გაგზავნის შემდეგი დღიდან. მოწვევა ითვლება წევრის მიერ მიღებულად, თუ იგი გაიგზავნა წევრის კავშირისთვის უკანასკნელად შეტყობინებულ მისამართზე.</p> <p>(4) წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სულ მცირე, წევრთა რაოდენობის ნახევარი ესწრება მას ან წერილობითი ფორმით მონაწილეობს ხმის მიცემაში. გადაწყვეტილებაუნარიანობა ივარაუდება, თუ დამსწრე წევრი მასში ეჭვს არ შეიტანს. თუ რაიმე საკითხის განხილვა გადაწყვეტილებაუნარიანობის არარსებობის გამო გადაიდო და მის განსახილველად ხელახლა იქნა კრება მოწვეული, მაშინ იგი გადაწყვეტილებაუნარიანია მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა, როდესაც აღნიშნულის შესახებ მითითებული იყო მოწვევაში.</p>	
--	---	--

	<p>(5) წევრთა საერთო კრებას ხსნის გამგეობის წევრი. კრების დასაწყისში არჩეულ უნდა იქნენ კრების თავმჯდომარე და მდივანი. კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე უნდა მომზადდეს ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.</p> <p>(6) წევრთა საერთო კრება უნდა იქნეს მონვეული, თუ წევრთა ერთი მეთათედი მონვევის მიზნისა და საფუძვლების მითითებით წერილობით ითხოვს ამას.</p> <p>(7) ამ მუხლის დებულებები მოქმედებს მხოლოდ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. უმცირესობის მოთხოვნით წევრთა საერთო კრების მონვევის ვალდებულებაზე უარის თქმა დაუშვებელია.</p>	
	<p>მუხლი ## ხმის მიცემის უფლების გამორიცხვა</p> <p>წევრს არ აქვს კავშირის ორგანოში ხმის მიცემის უფლება, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მასსა და კავშირს შორის არსებული სამართლებრივი დავის დაწყებას ან მოგვარებას.</p>	<p>118</p>
	<p>მუხლი ## სალაროს შემონმება</p> <p>(1) წევრთა საერთო კრება ერთი წლის ვადით, განმეორებითი არჩევის უფ-</p>	<p>119</p>

	<p>ლებით, ირჩევს სალაროს შემონმებაზე უფლებამოსილ პირს.</p> <p>(2) იგი არ უნდა წარმოაგენდეს გამგეობის წევრს.</p> <p>(3) შემონმებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ყოველწლიურად წარუდგინოს წევრთა საერთო კრებას ანგარიში, გამგეობისა და სპეციალური წარმომადგენლების სალაროსა და საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ.</p>	
<p>მუხლი 36. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p><i>ახალი რედაქცია 38¹-ის მიხედვით</i></p>	<p>111</p>
	<p>მუხლი ## ნევრობა</p> <p>(1) ნევრების მიღება ხორციელდება წერილობითი განაცხადის საფუძველზე, გამგეობის მიერ ან წესდებით დადგენილი, სხვა წესით. თუ კავშირი არსებით როლს ასრულებს განმცხადებლისთვის მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული ან სხვა ამოცანის შესრულებაში, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს კავშირში განვერიანების მოთხოვნის უფლება, თუ მისი განვერიანება</p>	<p>120</p>

	<p>კავშირისთვის ასატანია.</p> <p>(2) ყველა წევრი უფლებამოსილია გავიდეს კავშირიდან. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გასვლისთვის შეტყობინების ვადას, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ [ორ] წელიწადს. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მაშინ გასვლა ხორციელდება გამგეობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე წევრის მიმართ წერილობითი განცხადების საფუძველზე.</p> <p>(3) წევრის გარიცხვა კავშირიდან დასაშვებია მხოლოდ წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ არ არსებობს რაიმე სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი გარიცხვისათვის. მნიშვნელოვან საფუძვლებს განეკუთვნება, განსაკუთრებით, კავშირის მიზნებისათვის ზიანის მომტანი ქცევა, წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა ან სანევროს გადაუხდელობა, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში. გადანყვეტილებას გარიცხვის თაობაზე იღებს გამგეობა. წევრს უფლება აქვს გადაამოწმოს ეს ღონისძიება ქვემდებარეობის მიხედვით შესაბამისი სასამართლოსადმი მიმართვის გზით. საერთო სასამართლოსადმი მიმართვას აქვს შემაყოვნებელი ეფექტი სასამართლოს გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.</p> <p>(4) წევრობა არ ექვემდებარება გასხვისებას და მემკვიდრეობით გადაცემას, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.</p> <p>(5) წევრებს ევალებათ სანევროს გა-</p>	
--	---	--

	<p>დახდა, რომლის ოდენობასა და გადახდის ვადას ადგენს წევრთა საერთო კრება, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.</p> <p>(6) წევრთა საერთო კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს წევრებისთვის წესდებით მინიჭებული, განუყოფელი, განსაკუთრებული უფლებების შემლახველი გადაწყვეტილებები.</p>	
<p>მუხლი 37. ზიანის ანაზღაურება (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p>მუხლი ## პასუხისმგებლობა</p>	<p>121</p>
<p>1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>96</p>
<p>2. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმომოხილადი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად</p>		<p>97</p>

<p>(14.12.2006 N3967-RS).</p>		
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>(1) კავშირი თავისი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. გამგეობის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. კავშირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს კავშირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ვალდებულებებისათვის (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>121</p>
	<p>(2) თუ კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირები ან მისი წევრები ახორციელებენ მის საქმიანობას უსასყიდლოდ ან თავიანთი საქმიანობისთვის იღებენ მხოლოდ მცირე ანაზღაურებას [ან: ანაზღაურებას, რომლის ოდენობაც ფულად თანხას ან ფულად ღირებულებას არ აღემატება], მაშინ ისინი კავშირის წინაშე პასუხს აგებენ წესდებით გათვალისწინებული თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის მიყენებულია განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად. სადავოობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკი-</p>	<p>122</p>

	<p>სრება დაზარალებულს.</p> <p>(3) თუ კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირებს ან მის წევრებს ეკისრებათ მესამე პირების მიმართ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიყენებულია მათ მიერ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისას, მათ შეუძლიათ მოითხოვონ კავშირისგან ამ ვალდებულებებისგან გათვისუფლება, თუ ისინი საქმიანობას უსასყიდლოდ ან მხოლოდ მცირე ანაზღაურების [ან: ანაზღაურების, რომლის ოდენობაც ფულად თანხას ან ფულად ღირებულებას არ აღემატება] სანაცვლოდ ახორციელებდნენ. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ზიანი მათ მიერ მიყენებულია განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად.</p>	
<p>მუხლი 38. არასწამენარმეო (არაკომერციული იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (14.12.2006 N3967-RS))</p>	<p>მუხლი ## რეორგანიზაცია, გაუქმება და ლიკვიდაცია</p>	<p>98</p>
<p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.(30.05.2013 N 651-II S).</p> <p>1¹. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელ-</p>	<p>1. კავშირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.(30.05.2013 N 651-II S).</p> <p>1¹. კავშირის გაყოფის(დაყოფის, გამოყოფის), შერწყმის (გაერთიანების, მიერთების) და ლიკვიდაციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება მენარმე სუბიექტისთვის საქართველოს კანონ-</p>	<p>123</p>

<p>დება მენარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (30.05.2013 N 651-II S).</p>	<p>ნმდებლობით დადგენილი წესები (30.05.2013 N 651-II S).</p>	
<p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილებით ან სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან ამ კოდექსის 38¹ მუხლის შესაბამისად (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>98, 104</p>
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.</p>		<p>98, 103</p>
<p>4. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან (03.11.2009 N1964-IIS).</p>		<p>98, 102</p>
	<p>(2) კავშირის გაუქმება შესაძლებელია წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების სამი მეოთხედის უბრალო უმრავლესობა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.</p>	<p>124</p>

	<p>(3) უფლებამოსილ უწყებას შეაქვს სასამართლოში განაცხადი კავშირის გაუქმების შესახებ, როდესაც კავშირი არსებითად ცვლის თავისი საქმიანობის საგანს, განსაკუთრებით, როდესაც იგი ემსახურება სამენარმეო მიზნებს ან როდესაც წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელება შეუძლებელი გახდა.</p>	
<p>5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით განსაზღვრავენ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები.</p>	<p>(4) ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ეკუთვნის წესდებით გათვალისწინებულ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვროს წევრთა საერთო კრების ან კავშირის სხვა ორგანოს გადაწყვეტილებით. ასეთი დებულების არსებობის გარეშეც წევრთა საერთო კრებას შეუძლია ქონება გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.</p>	<p>125</p>
<p>არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:</p> <p>ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;</p> <p>ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;</p> <p>გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.</p>	<p>(5) ლიკვიდაცია ხორციელდება მიუხედავად ამ მუხლის [36-ე მუხლის ახალი რედაქცია] მე-3 და მე-4 ნაწილების დებულებებისა.</p>	
<p>6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება</p>	<p>(6) აკრძალულია დარჩენილი ქონების განაწილება დამფუძნებლებს/წევ-</p>	

<p>არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>რებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის (14.12.2006 N3967-RS).</p>	
	<p>საჭიროების შემთხვევაში ჩამოყალიბდეს მე-7 ნაწილის მე-3 წინადადების სახით:</p> <p>ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ, დარჩენილი ქონება 6 თვის ვადით უნდა იქნეს დეპონირებული სასამართლოში.</p>	<p>126</p>
<p>7. თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირები არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირების გამოვლენა შეუძლებელია, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.</p>	<p>7. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მაშინ სასამართლო კავშირის ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განსაზღვრავს ერთ ან რამდენიმე არასამენარმეო (არაკომერციულ) კავშირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირები არ არსებობენ ან ასეთი იურიდიული პირების გამოვლენა შეუძლებელია, მაშინ შეიძლება ამ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სახელმწიფო.</p>	<p>125</p>
<p>სასამართლომ ქონება შეიძლება განაწილოს ლიკვიდაციის პროცესის და-</p>	<p>სასამართლომ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს კავშირის გაუქმების</p>	<p>98, 126</p>

<p>წყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ (03.11.2009 N1964-IIS).</p> <p>ან ახალი რედაქცია მე-6 ნაწილში</p>	
<p>8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები). განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (03.11.2009 N1964-IIS).</p> <p>9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციას აუქმებს მარეგისტრირებელი ორგანო იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებისა და უფლებამოსი-</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>98, 103</p>

<p>ლი პირის/ორგანოს მიერ იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადანაცვების წარდგენის საფუძველზე (27.04.2010 N2978-RS).</p>		
<p>მუხლი 38¹. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება</p> <p>(03.11.2009 N1964-IIS)</p> <p>თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ხარვეზის დადგენის შესახებ და ამ იურიდიულ პირს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას, რის თაობაზედაც მიეთითება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება ჩერდება და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა. ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის განმავლობაში ხარვეზის გამოსწორებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს ლიკვიდაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ</p>	<p><i>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</i></p>	<p>98, 100</p>

<p>პროცედურებს (27.04.2010 N2978-RS).</p>		
<p>მუხლი 39. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>2. წევრთა სანევრო შესატანები და ამ შესატანებით შექმნილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>3. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარე ურთიერთობებში წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>4. კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან. ამასთანავე, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p>მუხლი ## არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება)(14.12.2006 N3967-RS)</p> <p>1. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი (14.12.2006 N3967-RS). მის მიმართ შესაბამისად გამოიყენება კავშირის სამართალი, თუ ის წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს რეგისტრაციას.</p> <p>2. კავშირის მიერ შექმნილი ქონება შეადგენს რარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>4. კრედიტორების მოთხოვნებზე კმაყოფილდება არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან. პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებმაც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით განახორციელეს სამართლებრივი ქმედებები, რომლებიდანაც გამომდინარეობს ეს ვალდებულება (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p>127</p>
<p>მუხლები 40-49 ამოღებულია</p>		

(14.12.2006 N3967-RS)		
	<p>III. არასამენარმეო (არაკომერციული) ფონდი</p>	<p>108</p>
	<p>მუხლი ## ფონდის ცნება</p> <p>(1) ფონდი წარმოადგენს არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც განკარგავს ქონებას და უფლებამოსილი ორგანოს მიერ აღიარებულია ფონდად.</p> <p>(2) ფონდი აღიარებულ უნდა იქნეს უფლებაუნარიანად, როდესაც დაფუძნების გარიგება აკმაყოფილებს ## მუხლის [დაფუძნების გარიგება] მოთხოვნებს, ფონდის მიზნების ხანგრძლივი და მდგრადი შესრულება გარანტირებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული და ფონდის მიზანი საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ კეთილდღეობას. კავშირისთვის, რომელიც ჩამოყალიბებულია გარკვეული დროით და რომლის ქონებაც უნდა დაიხარჯოს მიზნის მისაღწევად (შეზღუდული ვადით შექმნილი ფონდი) ფონდის მიზნის ხანგრძლივი შესრულება გარანტირებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, როდესაც ფონდი უნდა არსებობდეს დაფუძნების გარიგებაში განსაზღვრული დროის განმავლობაში, რომელიც სულ მცირე, ათ წელიწადს შეადგენს.</p> <p>(3) ფონდის მიმართ შესაბამისად მოქმედებს არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირის მიმართ მოქმედი დე-</p>	

	<p>ბულებები, თუ ეს დებულებები წინაპირობად არ ითვალისწინებენ საწევრო სტრუქტურას და თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.</p> <p>მუხლი ## ფონდის რეგისტრაცია</p> <p>(1) ფონდის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის წარდგენისას, განაცხადს ფონდის წესდების სახით უნდა დაერთოს დაფუძნების გარიგება, რომელიც უნდა შეიცავდეს დამფუძნებლის დამავალდებულებელ განცხადებას, რომ ქონებას მიუძღვნის მითითებული მიზნის შესრულებას, რომელიც ასევე შეიძლება მოხმარებისთვისაც იქნეს გამოყენებული. დაფუძნების გარიგება შეტანილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო დოკუმენტში და იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:</p> <p>ა) მიზანი;</p> <p>ბ) სახელი და ადგილსამყოფელი;</p> <p>გ) რა ქონება უნდა იქცეს ნებართვის საშუალებით იურიდიულ პირად;</p> <p>დ) ფონდის გამგეობის შექმნა;</p> <p>თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, დაფუძნების გარიგება შეიძლება შეიცავდეს სხვა წესებს. დაფუძნების გარიგება ცოცხალ პირებს შორის წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს.</p> <p>(2) თუ დაფუძნების გარიგება არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და დამფუძნებელი გარდაცვლილია, შესაბამისად გამოიყენება ## მუხლი [ფონდი ანდერძით].</p>	
--	---	--

	<p>(3) ფონდის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი აღიარებული იქნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.</p> <p>(4) ფონდის აღიარებამდე დამფუძნებელს უფლება აქვს უარი თქვას დაფუძნების გარიგებაზე. თუ განაცხადი აღიარების შესახებ შეტანილია უფლებამოსილ ორგანოში, უარიც მხოლოდ ამ ორგანოს წინაშე შეიძლება იქნეს განცხადებული. დამფუძნებლის მემკვიდრე არ არის უფლებამოსილი უარი თქვას დაფუძნების გარიგებაზე, თუ განაცხადი უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილია დამფუძნებლის მიერ ან დაფუძნების გარიგების ნოტარიულად დამოწმებისას ან დამოწმების შემდეგ, მან ნოტარიუსს დაავალა განცხადების წარდგენა.</p> <p>მუხლი ## დამფუძნებლის ვალდებულება ქონების გადაცემის თაობაზე</p> <p>ფონდის უფლებაუნარიანად აღიარების შემთხვევაში, დამფუძნებელი ვალდებულია გადასცეს ფონდს დაფუძნების გარიგებით შეპირებული ქონება. უფლებები, რომელთა გადაცემისთვის საკმარისია მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, აღიარებისთანავე გადაეცემა ფონდს, თუ დაფუძნების გარიგებიდან დამფუძნებლის სხვა განზრახვა არ გამომდინარეობს.</p> <p>მუხლი ## ფონდი ანდერძით</p> <p>თუ დაფუძნების გარიგება წარმოადგენს საანდერძო განკარგულებას, მაშინ განაცხადი აღიარების თობაზე შეტანილ უნდა იქნეს უფლებამოსილ ორგანოში მემკვიდრის ან ანდერძის აღმსრულებელის მიერ. თუ დაფუძნების გარიგება არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაშინ უფლებამოსილი ორგა-</p>	
--	---	--

	<p>ნო, აღიარებამდე, გადასცემს ფონდს წესდებას ან შეიტანს დამატებებს არასრულყოფილ წესდებაში; ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამფუძნებლის ნება. ფონდის ადგილსამყოფელად მიიჩნევა ადგილი, საიდანაც ხორციელდება მისი მართვა. საექვობისას, ადგილსამყოფელად მიიჩნევა დამფუძნებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის ტერიტორიაზე.</p> <p>მუხლი ## აღიარება დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ</p> <p>თუ ფონდი დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ იქნა აღიარებული უფლებაუნარიანად, მაშინ დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ შენატანებთან დაკავშირებით მიიჩნევა, რომ იგი შეიქმნა მის გარდაცვალებამდე.</p> <p>მუხლი ## მიზნის ცვლილება; გაუქმება</p> <p>(1) თუ ფონდის მიზნის შესრულება შეუძლებელი გახდა ან იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, მაშინ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია განუსაზღვროს მას სხვა მიზანი ან გააუქმოს იგი.</p> <p>(2) მიზნის შეცვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამფუძნებლის ნება, განსაკუთრებით, უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ფონდის ქონებიდან მიღებული შემოსავლები გადაეცეს პირთა იმ წრეს, რომლისთვისაც იყო ისინი განკუთვნილი დამფუძნებლის ნების შესაბამისად.</p> <p>(3) მიზნის და წესდების შეცვლამდე უნდა მოუსმინონ ფონდის გამგეობას.</p>	
--	---	--

	<p>მხოლოდ ყოვლისმომცველი ახლებური სტრუქტურის შემუშავების შემთხვევაში:</p> <p>50-ე მუხლამდე: დებულებები ნივთების შესახებ 148-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.</p>	<p>7</p>

პირის გამოკითხვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად

ბექა ხუფენია

I. პირის ვინაობის დადგენა გამოკითხვის ფარგლებში

პირის გამოკითხვა პრევენციული ღონისძიების ერთ-ერთი სახეა. იგი თავის თავში გულისხმობს პოლიციელის უფლებამოსილებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაადგინოს პირის ვინაობა ღიად და უშუალოდ ამ პირისაგან, რისთვისაც შეუძლია ეს უკანასკნელი შეაჩეროს, გამოჰკითხოს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა.¹ ეს ღონისძიება, თავისი არსიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს დამოუკიდებლად ან სხვა პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, როგორცაა, მაგალითად: ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება, სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, სპეციალური საპოლიციო კონტროლი.²

1. ღონისძიების არსი

პოლიციელს უფლება აქვს, შესაბამისი საფუძვლ(ებ)ის არსებობისას, ქუჩაში ან სხვა ადგილზე შეაჩეროს პირი. პირი ვალდებულია, რომ შეჩერდეს - დაემორჩილოს პოლიციელის მითითებას შეჩერების შესახებ და არ აქვს უფლება, პოლიციელის ნებართვის გარეშე დატო-

ვოს შეჩერების ადგილი. ღონისძიება არ ითვალისწინებს პოლიციელის უფლებას, გადაიყვანოს პირი დახურულ სივრცეში, თუმცა, როგორც აღინიშნა, ის პირს ავალდებულებს, დაემორჩილოს პოლიციელს და შეწყვიტოს მოძრაობა. შეჩერების შემდგომ პოლიციელს აქვს უფლება შეჩერებულ პირს გამოჰკითხოს პერსონალური მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი. ამასთანავე, მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ პირადობის მოწმობა, არამედ პირადობის დამადასტურებელ ნებისმიერ საბუთი. პირადობის დამადასტურებელი საბუთია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ბინადრობის მოწმობა, სტუდენტური ბარათი, სამგზავრო ბარათი და აგრეთვე ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია ზემოთ ხსენებული პერსონალური მონაცემები. მთავარია, რომ დოკუმენტი იძლეოდეს პირის იდენტიფიცირების საშუალებას, როგორც ვიზუალურად (უმჯობესია დოკუმენტზე იყოს ფოტო, რათა მარტივად მოხდეს შეჩერებული პირის და დოკუმენტზე გამოსახული პირის გაიგივება), ასევე მონაცემების მიხედვით. შესაძლებელია, რომ მონაცემები შემოწმების მიზნით მიწოდებული იქნეს პოლიციის დანაყოფში მყოფი პირისთვის. შეჩერებული პირის მიერ საბუთების წარუდგენლობა ან კითხვებზე პასუხის არგაცემა არ წარმოადგენს მისი ადმინისტრაციულ

¹ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ მე-19 მუხლი.

² ლ. იზორია, საპოლიციო სამართალი, თბილისი, 2015, 145-146.

სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) დაკავების საფუძველს.³ პოლიციელს არ აქვს უფლება, რომ ასკის 173-ე მუხლით დააკავოს შეჩერებული, თუ ის უარს ამბობს საბუთების წარმოდგენაზე ან არ პასუხობს პოლიციელის კითხვებს. მის მიმართ შესაძლოა გამოყენებული იქნეს სხვა პრევენციული ღონისძიება, მაგალითად, პირის იდენტიფიკაცია.⁴

2. ღონისძიების ხანგრძლივობა

გამოკითხვის დროს პირი შეჩერებული შეიძლება იყოს გონივრული დროით, რომელიც, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს. ამ დროში უნდა მოხდეს პირთან კომუნიკაციის დამყარება. შესაძლოა გამოკითხვა დასრულდეს 3-5 წუთში ან ამავე დროში ცნობილი გახდეს, რომ გამოკითხვას შედეგი არ მოსდევს (პირი უარს ამბობს თვითიდენტიფიცირებაზე), და საჭიროა სხვა საპოლიციო პრევენციული ღონისძიების განხორციელება.

პრევენციულ ღონისძიება - პირის გამოკითხვის დროს კანონი არ ითვალისწინებს ოქმის შედგენის ვალდებულებას. პოლიციელს არ აქვს ვალდებულება, რომ შეავსოს ოქმი პირის გამოკითხვის დროს.

3. ღონისძიების საფუძველები

პრევენციულ ღონისძიების - პირის გამოკითხვის - განხორციელების უფლებამოსილება პოლიციელს აქვს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონი ითვალისწინებს ასეთი საფუძველების ამომწურავ ჩამონათვალს. ესენია:⁵

ა) პირს აქვს ძებნილი ან დაკარგული პირის იდენტიური გარეგნული ნიშნები;

ბ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა ან ჩაიდენს მას;

გ) პირი იმყოფება სპეციალური რეჟიმისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე ან სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების ადგილზე;

დ) პირს თან აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იარაღი, რომლის ტარებაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, და ამ იარაღის ტარების უფლების დადგენა სხვაგვარად შეუძლებელია;

ე) პირი იმყოფება დანაშაულის ან საგზაოსატრანსპორტო ან სხვა საგანგებო შემთხვევის ადგილზე;

ვ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გარეგნული ნიშნები ან პირის მოქმედება სამართალდარღვევაში მის შესაძლო მონაწილეობაზე მიანიშნებს.

ა) ძებნილი ან დაკარგული პირის იდენტიური გარეგნული ნიშნები

პოლიციის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს ძებნილი პირების დაკავება და შესაბამის ორგანოში წარდგენა, ასევე დაკარგული პირების ძებნა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელება. ბუნებრივია, ამ ფუნქციის შესასრულებლად კანონი პოლიციელს აძლევს უფლებას, რომ შეაჩეროს ის პირი, რომელსაც აქვს ძებნილი ან დაკარგული პირის იდენტიური გარეგნული ნიშნები, გამოჰკითხოს მას პერსონალური მონაცემები, მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და გადაამოწმოს ეს მონაცემები.

პოლიციის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს ძებნილი პირების დაკავება და შესაბამის ორგანოში წარდგენა, ასევე დაკარგული პირების ძებნა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელება. ბუნებრივია, ამ ფუნქციის შესასრულებლად კანონი პოლიციელს აძლევს უფლებას, რომ შეაჩეროს ის პირი, რომელსაც აქვს ძებნილი ან დაკარგული პირის იდენტიური გარეგნული ნიშნები, გამოჰკითხოს მას პერსონალური მონაცემები, მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და გადაამოწმოს ეს მონაცემები.

³ mutatis mutandis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება № 1/2/503,513, სამოტივაციო ნაწილი, 42-ე პუნქტი.

⁴ ლ. იზორია, საპოლიციო სამართალი, თბილისი, 2015, 150.

⁵ ლ. იზორია, საპოლიციო სამართალი, თბილისი, 2015, 146.

მოცემულ საფუძველთან დაკავშირებით მაგალითის სახით შესაძლოა შემდეგი შემთხვევების განხილვა:

მაგ. №1: პატრულ-ინსპექტორებმა პატრულირების დროს შენიშნეს პიროვნება, რომელიც ვიზუალურად ჰგავს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ძებნილ პირს. აღნიშნულის საფუძველზე პოლიციელებმა შეაჩერეს ეს პირი, გამოჰკითხეს მას პერსონალური მონაცემები, მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და გადაამოწმოს ეს მონაცემები. პირი არ აღმოჩნდა ძებნილი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებს ჰქონდათ აღნიშნული ქმედებების განხორციელების სრული უფლება და მათ იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. იდენტურ გარეგნულ ნიშნებში არ იგულისხმება ზუსტი თანხვედრა. ძებნილი პირები, ბუნებრივია, ცდილობენ მათი გარეგნობისა და ვიზუალის შეცვლას (წვერის გაზრდა/გაპარსვა, თმის შეჭრა/გაზრდა და ა. შ.) ამიტომ, რა თქმა უნდა, კანონი არ მოითხოვს სრულ მსგავსებას, საკმარისია ობიექტური მსგავსება (სახის ნაკვთები, მოყვანილობა, სიარულის მანერა, და ა. შ.). ნებისმიერი ისეთი მსგავსება, რომელმაც შეიძლება პოლიციელს აფიქრებინოს, რომ ეს პირი არის ის ძებნილი პირი, რომლის ფოტოც მას აქვს ნანახი. აუცილებელია, რომ ძებნილი პირი ოფიციალური წესით იყოს ძებნილად გამოცხადებული.

მაგ. №2: პოლიციის განყოფილებაში შევიდა მოქალაქე დემეტრეს განცხადება, რომელიც განმარტავდა, რომ 3 დღის წინ შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა მისი ძმა. განყოფილების უფროსმა დილის თათბირზე მართლწესრიგის ოფიცრებს გააცნო დემეტრეს განცხადება, რომელშიც აღწერილია დემეტრეს დაკარგული ოჯახის წევრის გარეგნული მახასიათებელი ნიშნები და იმავდროულად აჩვენა ფოტოსურათი. მართლწესრიგის ოფიცრებმა ერთ-ერთ სკვერში შენიშნეს სურათზე ნანახი პირის მსგავსი პირი იმავე მახასიათებელი ნიშნებით, მივიდნენ მასთან და გამოჰკითხეს მას პერსონალური მო-

ნაცემები, მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და გადაამოწმეს ეს მონაცემები. ეს პირი ნამდვილად აღმოჩნდა დემეტრეს ძმა.

მოცემულ შემთხვევაშიც პოლიციელებმა იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. პოლიციელებს ჰქონდათ საფუძველი, ევარაუდათ, რომ ეს პირი იყო ის დაკარგული პირი, რომლის ფოტოც მათ თათბირზე ნახეს. ამ საფუძველით პირის შეჩერების დროს არ არის აუცილებელი, რომ პირი სასამართლოს მიერ იყოს უგზო-უკვლოდ აღიარებული, საკმარისია მისი ნათესავის (ან სხვა პირის) მიერ გაკეთებული სარწმუნო განცხადება.

ბ) საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა ან ჩაიდენს მას

მოცემული კანონისმიერი საფუძველი მოიცავს ორ გარემოებას: ა) როდესაც მომხდარია სამართალდარღვევა და მასთან (სავარაუდოდ) აქვს კავშირი პირს; ბ) როდესაც ჯერ სამართალდარღვევა არ არის მომხდარი, მაგრამ შეიძლება ის კონკრეტულმა პირმა ჩაიდინოს.

მაგ. №1: პოლიციის თანამშრომლები ახორციელებდნენ ქვეითად პატრულირებას. შუალამის საათებში ქუჩაზე მათ შემოესმათ მსხვრევის - მინის ჩატეხვის ხმა და გაემართნენ ამ მიმართულებით. დაინახეს, რომ მაღაზიის მინა იყო ჩატეხილი. მაღაზიის მიმდებარედ სწრაფი ნაბიჯებით მოძრაობდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ხელები ჰქონდა სისხლიანი (ქუჩა განათებული იყო). ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, მოსთხოვეს შეჩერება, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და სთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებს გააჩნდათ აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლება და მათ იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. პოლიციელებს ჰქონდათ საფუძველი, ევარაუდათ, რომ ეს პირი იყო ის,

ვინც ჩაამსხვრია ფანჯრის მინა. ამაზე მიუთითებდა როგორც პირის იმდროინდელი ადგილსამყოფელი, ასევე სისხლიანი ხელები. შესაძლოა, მან ხელების გამოყენებით ჩაამსხვრია ფანჯარა, რაც, ბუნებრივია, დააზიანებდა მის ხელებს. ტერმინი „სამართალდარღვევა“ გულისხმობს როგორც ადმინისტრაციულ გადაცდომას, ასევე დანაშაულს. მოცემულ მაგალითში სამართალდარღვევა უკვე მომხდარია და პირის ამ სამართალდარღვევის ჩამდენად მიჩნევის საკმარისი საფუძველია. ანუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა და, შესაბამისად, შესაძლებელია მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

მაგ. №2.: პოლიცია იძიებდა მიმდინარე წლის 2 თებერვალს „ოქროს სამყაროდან“ ოქროს ნაკეთობის ქურდობის ფაქტს. გამოძიების პროცესში მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამერებით დადგენილ იქნა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი, რომელსაც ეცვა ნითელ და შავ ფერებში განწყობილი კაპიუშონიანი ზედა, იყო მაღალი, გამხდარი და ჰქონდა დიდი წვერი. ამავე წლის 5 თებერვალს პოლიციის თანამშრომლებმა ზუგდიდში ლ. ქობაღლიას ქუჩაზე შენიშნეს პირი, რომელსაც ეცვა ნითელ და შავ ფერებში განწყობილი კაპიუშონიანი ზედა, იყო მაღალი, გამხდარი და ჰქონდა დიდი წვერი. ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, მოსთხოვეს შეჩერება, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებმა იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. პოლიციელებს ჰქონდათ საფუძველი, ევარაუდათ, რომ ეს პირი იყო ის, ვინც 2 თებერვალს „ოქროს სამყაროდან“ მოიპარა ოქროს ნაკეთობა. სამართალდარღვევა ამ შემთხვევაშიც უკვე მომხდარია და პირის ამ სამართალდარღვევის ჩამდენად მიჩნევის საკმარისი საფუძველია. ანუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა და, შესაბამისად, შესაძლებელია მის მი-

მართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ეს პირი ჯერ არ არის ძებნილად გამოცხადებული (რადგან მისი ვინაობა უცნობი იყო), მიუხედავად იმისა, რომ ის იდენტიური გარეგნული ნიშნების გამო შეაჩერეს, შეჩერების საფუძველია შემდეგი დანაშაული - „არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა“. ორივე განხილული მაგალითი შეეხებოდა მომხდარ სამართალდარღვევასთან პირის დაკავშირებას.

მაგ. №3: 2018 წლის 30 ივლისს პოლიციის თანამშრომლები ქვეითად პატრულირებდნენ ოზურგეთში. ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე, ბანკთან, მათ შენიშნეს დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას მყოფი პირი - ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ეცვა ტყავის ქურთუკი და თავზე ეხურა ქუდი და ამასთანავე ეკეთა პირბადე. ის არ შედიოდა ბანკში, თუმცა აკვირდებოდა ბანკში მუშაობის პროცესს. ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებმა იმოქმედეს კანონით დადგენილ ფარგლებში. ზაფხულის ცხელ ამინდში ქურთუკით სიარული, ბუნებრივია, ბადებს საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ პირს, შესაძლოა, ქურთუკის შიგნით რაიმე ობიექტი ჰქონდეს, ასევე ცხელ ამინდში ქუდით და პირბადით სიარული ბუნებრივია ბადებს საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ პირს შესაძლოა არ სურდეს სხვების მიერ მისი სახის დანახვა. ამ გარემოებების გათვალისწინებით მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა პოლიციელებმა იფიქრონ, რომ ეს პირი აპირებს სამართალდარღვევის ჩადენას, კერძოდ, ბანკიდან გარკვეული ხერხით თანხის დაუფლებას. როგორც ვხედავთ სამართალდარღვევა ჯერ არ არის მომხდარი, მაგრამ პირის მდგომარეობა მიანიშნებს, რომ მან შესაძლოა ჩაიდინოს სამართალდარღვევა, ანუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის,

ვის, რომ პირი ჩაიდენს სამართალდარღვევას და, შესაბამისად, შესაძლებელია მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

**გ) პირი იმყოფება სპეციალური რეჟიმისა-
დმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ან
ობიექტზე ან სპეციალური საპოლიციო კონ-
ტროლის განხორციელების ადგილზე**

მოცემულ შემთხვევაში პირის ვინაობის და-
დგენის აუცილებლობა განპირობებულია ად-
გილის სპეციფიკით და სხვა დამატებითი მოთ-
ხოვნების დაკმაყოფილების საჭიროება არ არ-
სებობს. სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარე-
ბული ტერიტორიებისა და ობიექტების ნუსხა და-
მტკიცებულია საქართველოს მთავრობის დად-
გენილებით. კერძოდ, დადგენილებით განსაზ-
ღვრულია სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარე-
ბული ტერიტორიებისა და ობიექტების ნუსხა,
რომელშიც შედის:

ა) საქართველოს საკანონმდებლო და აღმა-
სრულებელი ხელისუფლების (მათ შორის ავ-
ტონომიური რესპუბლიკების) დაწესებულების
შენობა-ნაგებობა და ტერიტორია; ბ) საკონს-
ტიტუციო და საერთო სასამართლოების შენო-
ბა-ნაგებობა და ტერიტორია; გ) ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა-ნაგებობა და ტე-
რიტორია; დ) საქართველოს საპატრიარქო; ე)
საელჩოები და საკონსულო დაწესებულებები,
აგრეთვე შესაბამისი იმუნიტეტის ქვეშ მყოფი
პირების საცხოვრებელი სახლი; ვ) კულტურუ-
ლი მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე
ობიექტები; ზ) დაცული ტერიტორია; თ) ტერი-
ტორიული ზღვა და შიდა საზღვაო წყლები; ი)
სასაზღვრო გამტარი პუნქტი; კ) სასაზღვრო
ზონა და ზოლი; ლ) ნავსადგურის ტერიტორია
და სალუზე რაიონები (ნერტილები); მ) აერო-
პორტის ტერიტორია; ნ) საქართველოს რკინი-
გზა, რკინიგზის სადგური და ვაგზალი; ო) სპო-
რტული ან კულტურული დანიშნულების შენო-
ბა-ნაგებობა 300-ზე მეტ მაყურებელზე; პ) სა-
ხელმწიფო მუზეუმი; ჟ) მასიური სპორტის ან
სხვა ღონისძიების/თავშეყრის ადგილი (ობიექ-

ტი); რ) მაგისტრალური ნავთობსადენი, გაზსა-
დენი და წყალსადენი; ს) ნავთობისა და ბუნებ-
რივი აირის საცავის ტერმინალი; ტ) ჰიდრო და
თბო ელექტროსადგური; უ) ხიდები, გვირაბები
და გზაგამტარები; ფ) საქართველოს პარლამე-
ნტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართვე-
ლოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკები; ქ)
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი და მი-
სი ტერიტორიული ორგანოები; ლ) მეტროპო-
ლიტენი; ყ) ტელეცენტრის შენობა-ნაგებობა,
ტელე და კავშირგაბმულობის ყველა სახის ან-
და; შ) წყალსაცავი და წყალმომარაგების ცენტ-
რალური სისტემა (ობიექტი); ჩ) რადიოაქტიურ
ან/და ტოქსიკურ ნივთიერებათა შენახვის ობი-
ექტი; ც) ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველ-
ყოფისათვის საჭირო სამრეწველო, სამეცნიე-
როსაკონსტრუქტორო, საბაჟო და სასაზღვრო
დანიშნულების შენობა-ნაგებობა (ობიექტი); ძ)
ბაგა-ბალის, სკოლის, პროფესიული და უმაღ-
ლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შე-
ნობა-ნაგებობა და ტერიტორია; ნ) სამედიცინო
ცენტრი, საავადმყოფო, სანატორიუმი და ლა-
ბორატორია; ჟ) საზღვარგარეთის ქვეყნების
წარმომადგენლობათა შენობა-ნაგებობა და მი-
სი კომპლექსი (საელჩო, საკონსულო, მისია,
წარმომადგენლობა, კულტურის ცენტრი); ხ)
სახელმწიფო ორგანოს მიერ შექმნილი მართ-
ვის პუნქტები, თავშესაფრები და დამცავი ნა-
გებობები; ჯ) სხვა ობიექტი, რომელზეც საქა-
რთველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწ-
ყვეტილებით, განსაზღვრული ვადით დადგენი-
ლი იქნება ასეთი რეჟიმი.⁶

ნუსხაში შესულია სტრატეგიული ობიექტე-
ბი, რომელთა გამართული ფუნქციონირება
აუცილებელია სახელმწიფოში სახელმწიფო და
საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის. რო-
გორც ზემოთ აღინიშნა, ამ ტერიტორიაზე
(ობიექტზე) ყოფნა უკვე წარმოადგენს საფუძ-
ველს პირის შეჩერებისა და პრევენციული ღო-

⁶ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26
დეკემბრის დადგენილება №377 (სპეციალურ
რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიებისა და
ობიექტების ნუსხის დადგენის შესახებ).

ნისძიების - პირის გამოკითხვის - ჩატარებისთვის. სხვა დასაბუთება პოლიციელს არ ესაჭიროება, თუმცა, ბუნებრივია, მცირე ობიექტური სურათი უნდა არსებობდეს ამ ღონისძიების განსახორციელებლად.

მაგ. №1.: პირი, რამდენიმე საათია, რაც იმყოფება მეტროპოლიტენის სადგურში. იგი არც ერთი მიმართულებით მიმავალ მეტროს შემადგენლობას არ მიჰყვება. ამის გამო, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორები მივიდნენ მასთან, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მაგ. №2.: პირი, რამდენიმე საათია, რაც იმყოფება როკის გვირაბში, იგი მივა ერთ წერტილამდე შემდგომ კი ისევ დაბრუნდება მეორე წერტილში. ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მაგ. №3.: პირი, რამდენიმე საათია, რაც იმყოფება აეროპორტის ტერიტორიაზე. მას თან არ აქვს არც ბარგი, იგი არ დახვედრია არც ერთ მგზავრს. უახლოესი 3 საათის განმავლობაში კი აეროპორტში რეისის მიღება არ არის დაგეგმილი. ამის გამო პოლიციელები მივიდნენ მასთან, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სამივე შემთხვევაში ჩანს, რომ პირი რაიმე აგრესიულ ქმედებას არ ახორციელებს, არც რაიმე ნიშანია, რომ იგი შემჩნეულია სამართალდარღვევაში, მაგრამ პირი იმყოფება ისეთ ადგილზე, რომელიც დაქვემდებარებულია სპეციალურ კონტროლს, ვინაიდან ასეთი ადგილებში დანაშაულის ჩადენისა და დიდი ზიანის გამომწვევის მომეტებული საშიშროებაა, სხვა დამატებითი საფუძვლის გარეშეც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება, მასთან მისვლა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა და პერსონალური მონაცემების გამოკითხვა. სამივე შემთხვევაში პოლიციელებს სრული უფლებამოსილება გააჩნდათ, რომ ჩაე-

ტარებინათ პირის გამოკითხვა. შესაბამისად, მათი მოქმედება კანონიერია.

სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების ადგილი არის წინასწარ შერჩეული ტერიტორია, სადაც განსაზღვრული დროით (აგრეთვე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის ტერიტორიაზე და სათანადო დროით) მიმდინარეობს შემოწმება.⁷

მაგ. №4.: 2017 წლის 25 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოცხადდა სპეციალური საპოლიციო კონტროლი. ამის გამო, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ნავთლულის ქუჩაზე შეაჩერეს პირი, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პოლიციელებს ამის უფლებამოსილება გააჩნდათ. თუ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (განხილულ მაგალითში - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი) გამოცხადებულია სპეციალური საპოლიციო კონტროლი, შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი (ბუნებრივია, ცალკეული გამონაკლისების გარდა) პირის გამოკითხვა და სხვა რაიმე დამატებითი საფუძვლის არსებობა არ არის სავალდებულო.

დ) პირს თან აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იარაღი, რომლის ტარებაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, და ამ იარაღის ტარების უფლების დადგენა სხვაგვარად შეუძლებელია

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის და ცივი იარაღის (და სხვა) ტარებას სჭირდება სპეციალური ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ტარება ითვლება დანაშაულად. არსებობენ

⁷ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ 24-ე მუხლი.

პირები, რომლებიც შესაძლოა არ ატარებენ სპეციალურ ფორმას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფლებამოსილი არიან, რომ ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი. ბუნებრივია, ყველა ასეთი პირის ვინაობა პოლიციელებისთვის წინასწარ ცნობილი არ არის. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია ასეთ პირთა შეჩერება და პირის გამოკითხვა. ამის გარდა, შესაძლებელია, რომ კერძო პირმაც ატაროს იარაღი (უკანონოდ/კანონიერად) და ამ გარემოების შესაფასებლად საჭიროა მისი შეჩერება.

მაგ. №1.: პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს სამოქალაქო ფორმაში გამონყობილი პირი, რომელსაც პულოვერის ქვემოთ, საქამრე არეში აღენიშნებოდა იარაღის კონფიგურაციის მსგავსი საგანი. პოლიციელებმა გამოჰკითხეს მას პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე იარაღის კანონიერად ტარების დამადასტურებელი დოკუმენტი. გადამონმების შედეგად ეს პირი აღმოჩნდა გიორგი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფროსი სპეციალური ნოდება. მას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ნებართვა.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან გიორგი იყო სამოქალაქო ფორმაში გამონყობილი და, შესაბამისად, მის მიერ იარაღის ტარების უფლების დადგენა სხვაგვარად შეუძლებელი იყო.

მაგ. №2.: პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს სამოქალაქო ფორმაში გამონყობილი პირი, რომელსაც პულოვერის ქვემოთ, საქამრე არეში აღენიშნებოდა იარაღის კონფიგურაციის მსგავსი საგანი. პოლიციელებმა გამოჰკითხეს მას პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე იარაღის კანონიერად ტარების დამადასტურებელი დოკუმენტი. გადამონმების შედეგად ეს პირი აღმოჩნდა დემეტრე, რომელსაც არ ჰქონდა იარაღის ტარების უფლება.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან დემეტრე

იყო სამოქალაქო ფორმაში გამონყობილი და შესაბამისად მის მიერ იარაღის ტარების უფლების დადგენა სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ბუნებრივია, ამ დროს დემეტრეს შეჩერების საფუძვლად შესაძლოა ასევე გამოყენებულიყო ზემოთ ხსენებული გარემოება (არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა ან ჩაიდენს მას), მაგრამ, ვინაიდან ეს კერძო შემთხვევაა, უმჯობესია ამ საფუძვლის გამოყენება. ასევე დასაშვებია ორივე საფუძვლის ერთდროულად გამოყენება.

ე) პირი იმყოფება დანაშაულის ან საგზაო-სატრანსპორტო ან სხვა საგანგებო შემთხვევის ადგილზე

მოცემულ შემთხვევაშიც პირის ვინაობის დადგენის აუცილებლობა განპირობებულია ადგილის სპეციფიკით და სხვა დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საჭიროება არ არსებობს. კანონი ითვალისწინებს სამ ადგილმდებარეობას: 1. დანაშაულის (შემთხვევის) ადგილი; 2. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი და 3. სხვა საგანგებო შემთხვევის ადგილი.

შემთხვევის ადგილი არის ის ადგილი, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი.⁸ პირის შემთხვევის ადგილზე ყოფნა საკმარისია იმისთვის, რომ მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

მაგ. №1: პოლიციის განყოფილებაში დაინყო გამოძიება მოქალაქე დემეტრეს მკვლელობის მცდელობის გამო. დემეტრეს დაჭრის ადგილზე (დანაშაულის ადგილი) მყოფ მოქალაქეებს პოლიციელებმა გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია) არის გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძ-

⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლი.

რაობისას მისივე მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება.⁹ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი არის ის ადგილი, სადაც მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარია). პირის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის (ავარია) ადგილზე ყოფნა საკმარისია იმისთვის, რომ პირის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

მაგ. №2: წყალმინდაში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის შედეგადაც დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება და სხვა ქონება. პატრულ-ინსპექტორებმა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე მყოფ მოქალაქეებს პოლიციელებმა გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სხვა საგანგებო შემთხვევის ადგილი არის კონკრეტული ვითარებით გამონეწეული თავშეყრის ადგილი, მაგალითად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის ვიზიტი სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილას; საახალწლო კონცერტი ღია ცის ქვეშ; უცხოელი პირების ვიზიტის დროს დახვედრის ცერემონიის ადგილი; შეკრების/ მანიფესტაციის ჩატარების ადგილი და ა. შ. პირის საგანგებო შემთხვევის ადგილზე ყოფნა საკმარისია იმისთვის, რომ მის მიმართ ჩატარდეს პირის გამოკითხვა.

მაგ. №3: ქ. სოხუმში ერთიანობის მოედანზე საქართველოს პრეზიდენტი მართავს შეხვედრას ადგილობრივ მოსახლეობასთან. პოლიციის თანამშრომლებმა შეხვედრაზე მყოფ მოქალაქეებს შეხვედრის დაწყებამდე გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სამივე შემთხვევაში პოლიციელის მოქმედებები მართებულია, ვინაიდან პირები იმყოფებოდნენ სპეციფიკურ ადგილზე, სადაც შესაძ-

ლებელი იყო მათი გამოკითხვა. მესამე მაგალითში პირთა გამოკითხვის საფუძვლად ასევე შესაძლებელია მიჩნეული იყოს სხვა საფუძველიც, კერძოდ - პირი იმყოფება სპეციალური რეჟიმისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ან ობიექტზე, ვინაიდან მასიური სპორტის ან სხვა ღონისძიების/თავშეყრის ადგილი (ობიექტი) ექვემდებარება სპეციალურ რეჟიმს.

ვ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გარეგნული ნიშნები ან პირის მოქმედება სამართალდარღვევაში მის შესაძლო მონაწილეობაზე მიაწინებს

მოცემულ შემთხვევაში პირის გარეგნული ნიშნები ან პირის მოქმედება სამართალდარღვევაში მონაწილეობას მიაწინებს, ოღონდ არა იმ ნიშნით, რომ თავად ამ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა, რადგან ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა შემდეგი საფუძველი - არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა. მოცემულ შემთხვევაში პირი არის სამართალდარღვევის დაზარალებული, მონმე და არა სამართალდამრღვევის ჩამდენი. ამ შემთხვევაშიც ტერმინ სამართალდარღვევაში არ იგულისხმება მხოლოდ ადმინისტრაციული გადაცდომა, აქ იგულისხმება ასევე დანაშაული. ბუნებრივია, პოლიციელები ვალდებული არიან, რომ დაიცვან ისეთი პირები, რომლებიც დაზარალებულნი არიან დანაშაულის შედეგად. ასევე პოლიციელის ვალდებულებაა გამოავლინოს დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა.

მაგ. №1: პოლიციის თანამშრომლები ქვეითად პატრულირებდნენ. ქუჩაში მათ დაინახეს ახალგაზრდა პიროვნება, რომელსაც ტანისამოსი ჰქონდა შემოხეული, სახეზე აღენიშნებოდა დაზიანების კვალი და ცხვირიდან სდიოდა სისხლი. ეს პიროვნება ტიროდა. ამის გამო თანამშრომლებმა ის შეაჩერეს, გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე მათ გამოუძახეს სასწრაფო-სამედიცინო დახმარებას.

⁹ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 65-ე პუნქტი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან პირს აშკარად ეტყობოდა დაზიანების კვალი და შესაბამისად უნდა დადგენილიყო ამ პირის ვინაობა და უნდა განმარტებულიყო დაზიანების წარმოშობის გზა. ანუ პირის გარეგნული ნიშნები (შემოხეული ტანისამოსი და დაზიანება სახეზე, ასევე ცხვირიდან სისხლის დენა) და მისი მოქმედება (ტირილი) სამართალდარღვევაში მის შესაძლო მონაწილეობაზე მიანიშნებს. კერძოდ, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ პირზე იძალადეს და ის არის დაზარალებული.

მაგ. №2.: პატრულ-ინსპექტორებმა სენაკში, თეკლათის მიმდებარედ შეაჩერეს ავტომობილი, რომელსაც მარცხენა გვერდითა მხარეს საწვავის ავზის ხუფის ქვემოთ აღენიშნებოდა დიდი დაზიანება. თანამშრომლებმა მძღოლს გამოჰკითხეს პერსონალური მონაცემები და მოსთხოვეს პირადობის/მართვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან ავტომობილს აშკარად ეტყობოდა დაზიანების კვალი და, შესაბამისად, უნდა დადგენილიყო ამ დაზიანების წარმოშობის გზა. ანუ ავტომობილის გარეგნული ნიშნები (დაზიანებული გვერდითა მხარე) სამართალდარღვევაში მის შესაძლო მონაწილეობაზე მიანიშნებს. კერძოდ, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ავტომობილს შეეჯახნენ.

II. საჭირო ინფორმაციის მიღება

ზემოთ განხილული იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ღონისძიების მიზანი იყო პირის ვინაობის დადგენა. პრევენციული ღონისძიება - პირის გამოკითხვა - ვინაობის დადგენასთან ერთად ითვალისწინებს საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას. ინფორმაციის მიღება შეიძლება მოხდეს როგორც ვინაობის დადგენასთან ერთად, ასევე მისგან განცალკევებით, როდესაც პოლიციელისთვის პირის ვინაობა უკვე ცნობი-

ლია და მისგან სხვა ინფორმაციის მიღებაა საჭირო. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია პირისგან საჭირო ინფორმაციის მიღება. კანონში ეს გარემოება შემდეგნაირად არის ასახული: პოლიციელი უფლებამოსილია, გამოჰკითხოს პირი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მას აქვს საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაცია.¹⁰ კანონის აუცილებელი მოთხოვნაა, პოლიციელს ჰქონდეს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს პირი (ვის გამოკითხვასაც აპირებს) ფლობს ინფორმაციას, რომელიც საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის არის საჭირო/გამოსადეგი, სანამ პოლიციელი გამოკითხვის ჩატარებას დაიწყებს. ბუნებრივია ის, რომ პირის მიერ ინფორმაციის მიწოდება ნებაყოფლობითია და პირს უნდა განემარტოს აღნიშნულთან დაკავშირებით. პირი უფლებამოსილია, რომ პოლიციელის კითხვებს არ გასცეს პასუხი და ეს ვერ გახდება მისთვის რაიმე პასუხისმგებლობის საფუძველი. ამიტომ არის აუცილებელი, რომ პოლიციელი ფლობდეს ეფექტური კომუნიკაციის ჩვევებსა და უნარს. პირს უნდა განემარტოს გამოკითხვის საფუძველი, თუ ეს ხელს არ შეუშლის პოლიციას, შეასრულოს მისი ფუნქციები.

ამასთანავე ამ ღონისძიების განხორციელების დროს გასათვალისწინებელია არასრულწლოვანთან ჩასატარებელი ღონისძიების სპეციფიკურობა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს, მათ შორის, პრევენციულ ღონისძიებას - პირის გამოკითხვას - ახორციელებს მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი. ამასთანავე, პირის გამოკითხვის ჩატარება 14-17 წლის არასრულწლოვნის მიმართ დასაშვებია მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე. 14 წლამდე არასრულწლოვნის მიმართ პირის გამოკითხვის ჩა-

¹⁰ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

ტარება შესაძლებელია მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. როგორც აღინიშნა, ორივე შემთხვევაში პოლიციელი უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული.

მაგ. №1: პოლიციის განყოფილებაში შემოვიდა ანონიმური (ინფორმაციის ავტორის ვინაობა უცნობია) ზარი, რომლის ავტორმა პოლიციას მიანოდა ინფორმაცია, რომ ბახტრიონის ქუჩაზე მცხოვრებ გიორგი დემეტრაძეს სახლში რამდენიმე ქოთანში ჩარგული ჰქონდა მარხუანა და ეწეოდა მის უკანონო კულტივიზაციას. შეტყობინებაზე გასულმა პოლიციელმა (რომელიც იყო სპეციალიზებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში) უბანში ნახა 17 წლის მერაბი. პოლიციელმა იცოდა მერაბის ასაკი და ვინაობა, პოლიციელმა მერაბს გამოკითხვამდე განუმარტა ნებაყოფლობითობის საკითხი, თუმცა არა გამოკითხვის საფუძველი. პოლიციელმა მერაბს ჰკითხა გიორგის დემეტრაძის სახლის მისამართის შესახებ და მიიღო პასუხი.

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელების მოქმედება მართლზომიერია, ვინაიდან მერაბი იყო 17 წლის და მის მიმართ გამოკითხვის ჩატარება დასაშვებია მშობლის გარეშე. ამასთანავე, პოლიციელი იყო სპეციალიზებული. ვინაიდან მერაბი ცხოვრობდა იმავე უბანში, სადაც იყო გამოძახება, არსებობდა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მას გააჩნდა ინფორმაცია, რომელიც პოლიციელს მისი

ფუნქციების შესრულებაში დაეხმარებოდა. პოლიციელი მართებულად მოიქცა, როდესაც მერაბის არ განუმარტა გამოკითხვის საფუძველი, ანუ ის გარემოება, თუ რატომ აინტერესებდათ მათ გიორგის საცხოვრებელი სახლი, ვინაიდან შესაძლოა, მერაბის გიორგისთვის შეეტყობინებინა ის ფაქტი, რომ პოლიციას ჰქონდა ინფორმაცია მის (გიორგის) სახლში არსებული უკანონო ქმედების (მარხუანის კულტივიზაცია აკრძალულია) შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციელების მოქმედება სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

პირის გამოკითხვა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და გავრცელებული ღონისძიების სახეა, ვინაიდან ამ დროს შესაძლებელია პირთან უშუალო კომუნიკაციის დამყარება, მისი ვინაობის დადგენა და მისგან ინფორმაციის მიღება. გამოკითხვის ჩატარების დროს დაცული უნდა იქნეს ის მოთხოვნები, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების ჩატარების დროს პოლიციელმა უნდა დაიცვას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 11 აპრილის № 290 ბრძანება (საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ზოგიერთი წესის განსაზღვრის შესახებ).

კიბერსივრცეში განხორციელებულ ქმედებათა კრიმინალიზაციის აუცილებლობა

გიორგი ამაშუკელი
ადვოკატი

I. შესავალი

კრიმინალიზაცია, როგორც სოციალური კონტროლის ერთ-ერთი უკიდურესი და არასასურველი, მაგრამ ამასთან ერთად უაღრესად საჭირო მექანიზმი, ყოველთვის იყო და იქნება საზოგადოების მხრიდან მწვავე დისკუსიის ობიექტი. სწორედ კრიმინალიზაციის პროცესია საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი სამართლებრივ-კულტურული განვითარების საზომი და ერთგვარი სახე. რა თქმა უნდა, დავას არ იწვევს კრიმინალიზაციის აუცილებლობა და, ამ კუთხით, არსებობს ერთგვარი ზოგადსაკაცობრიო კონსენსუსი, რასაც ვერ ვიტყვით თავად კრიმინალიზაციის პროცესზე, როდესაც წყდება კონკრეტულ ქმედებათა კრიმინალიზაციის მიზანშეწონილობა და სოციალური აუცილებლობის საკითხი. იგი იმდენად მოცულობითი და მრავალმხრივია, რომ მასში თავმოყრილია (ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს გათვალისწინებული) კაცობრიობის მეცნიერულ მიღწევათა თითქმის ყველა მონაცემი და გამოცდილება. კიდევ უფრო დიდ, თეორიულ და ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული კიბერსივრცეში ნარმოშობილ, სოციალურად საშიშ ქმედებათა კრიმინალიზაციის საკითხი. პრობლემა არა იმდენად მისი აუცილებლობის დასაბუთებაში, არამედ საკითხის თეორიული, სამართლებრივ-ტექნიკური ნიუანსების გააზრებაშია, რადგანაც კიბერსივრცე გვთავაზობს ისეთ ქმედებათა მრავალფეროვნებას, რომელსაც ისტორიადღემდე არ იცნობდა. ამასთან, კიბერტექნო-

ლოგიების სწრაფმა განვითარებამ ბუნებრივად განაპირობა მათი სამართლებრივი რეგულირების საჭიროება, ხოლო ბოლო პერიოდის სტატისტიკურმა მაჩვენებლებმა ცალსახად დააჩვენა საერთაშორისო თანამეგობრობა მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა კიბერდანაშაულთან მიმართებაში, როდესაც კარდინალურად იქნა გამკაცრებული სასჯელები.

სტატიაში განვითარებული თვალსაზრისი წარმოაჩენს არა მარტო ცალკეულ დანაშაულებრივ შემადგენლობათა შექმნის აუცილებლობას, არამედ იმის დასაბუთებასაც, რომ კიბერდანაშაული, თავისი ბუნებით, გულისხმობს მის ჩადენას როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. ამ მხრივ, ჩვენი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობას, სადაც კრიმინალიზებულია შემადგენლობის გაუფრთხილებლობით განხორციელება. აღნიშნულ საკითხს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და ქმნის სერიოზულ გაუგებრობას კვალიფიკაციის დროს, უარყოფითად აისახება მართლმსაჯულებაზე და არც თუ იშვიათ შემთხვევაში საფუძველია უსამართლო ბრალდებისა და, შესაბამისად, უკანონო მსჯავრდებისა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე, დღემდე, რაიმე სახის სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა. წინამდებარე სტატია ხელს შეუწყობს ასევე მოცე-

მულ სფეროში განსახორციელებელ საკანონმდებლო საქმიანობას.

II. კიბერდანაშაულის გენეზისი და მისი სისხლისსამართლებრივი რეგულირების საჭიროება

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტერმინები კიბერსივრცე, კიბერდანაშაული, კიბერუსაფრთხოება თუ ინტერნეტი არის მე-20 საუკუნის პირმშო და შედეგი კაცობრიობის მიერ დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების, რომელმაც, უნივერსალური ბუნებიდან გამომდინარე, თავის გავლენას დაუქვემდებარა საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფერო. იგი არა მარტო მონაწილეობს სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ღიად კარნახობს მას თავის დღის წესრიგს. კიბერტექნოლოგიების ელვისებურმა განვითარებამ წარმოშვა ისეთ ურთიერთობათა მრავალფეროვნება, რომელსაც კაცობრიობა დღემდე არ იცნობდა და, შესაბამისად, ფასდაუდებელ პროგრესთან ერთად წარმოქმნა უამრავი ტექნიკური და სამართლებრივი პრობლემა. არავითარ ეჭვს არ იწვევს კიბერტექნოლოგიების კრიტიკულად უკიდურესი საჭიროება მეცნიერების, მედიცინის, განათლების, სოფლის მეურნეობის, თავდაცვისუნარიანობის თუ სახელმწიფო მმართველობის სფეროებში. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ გაჩნდა უზარმაზარი ნაპრალი, ერთგვარი შეუსაბამობა, ტექნიკურ პროგრესსა და მის სამართლებრივ რეგულირებას შორის. თუ პირველი გეომეტრიული სისწრაფით ვითარდება, მეორე მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამ პრობლემას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. სუბიექტური მიზეზია ის, რომ კაცობრიობამ დროულად სათანადოდ არ შეაფასა ტექნოლოგიურ მიღწევათა თანმდევი, უარყოფითი შედეგები და აღნიშნული მიღწევები სამართლებრივ ჩარჩოებში არ მოაქცია, ხოლო ობიექტურად, აღმოჩნდა, რომ სამართლებრივი პროცესები გაცილებით მეტ დროს მოითხოვს და დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე; საზოგადოების მხრიდან საჭიროა არა მარტო პო-

ლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება, არამედ აუცილებელია ადამიანთა ურთიერთშეთანხმება, რაც იმთავითვე დროში განვლილი პროცესია. ამდენად, შექმნილი რეალობა და ის საფრთხეები, რომლებიც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას უკავშირდება, საერთაშორისო კომპეტენტური ორგანიზაციების მხრიდან განიხილება, როგორც პრიორიტეტული. ამიტომ, რომ კიბერუსაფრთხოების საკითხი თითქმის ყველა ქვეყნის მიერ აყვანილია ეროვნული უსაფრთხოების რანგში. ამ საკითხზე იმდენი საერთაშორისო დონის ხელშეკრულება და შეთანხმებაა დადებული, რომ მათი ჩამოთვლაც კი შორს ნაგვიყვანდა. საქმე ისაა, რომ კიბერუსაფრთხოებაზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი კეთდება მის ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე, რაც აუცილებელია და არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გაცილებით პრობლემურად გამოიყურება მისი სამართლებრივი განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი მხარე. შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროს სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება, მეტ-ნაკლებად, შესაძლებელია, მაშინ, როდესაც სისხლის სამართალი ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. ამიტომ, აუცილებელი ხდება სოციალური კონტროლის ისეთი უკიდურესი მექანიზმის მოშველიება, როგორც კრიმინალიზაციაა. ცხოვრებისეული გამოცდილება ცხადყოფს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მოსალოდნელი სასჯელის შიში, სამწუხაროდ, კვლავ რჩება სოციალური კონტროლის ეფექტიან საშუალებად.

ამასობაში, კიბერსივრცე სულ უფრო ახალ სიურპრიზებს უმზადებს კაცობრიობას და შემზარავს ხდის მის მასშტაბებს. დღემდე მიჩნეული იყო, რომ კიბერტექნოლოგიების ზეგავლენა ვრცელდებოდა მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ბოლო დროს, უფრო სწორად კი 2018 წელს, მომხდარმა ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამ ფენომენის უნივერსალობასა და უკიდურესობაში. საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების ასტრონავტი ქალის, ენნ მაკკლენის, მიერ ნასას საერთაშორისო კოსმოსუ-

რი სადგურიდან ყოფილი მეუღლის საბანკო ანგარიშის სავარაუდო გატეხვის ფაქტზე. თავისთავად, მომხდარი ფაქტი მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში დანაშაულის ადგილად დაფიქსირდა კოსმოსური სივრცე, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ფაქტმა დასაბამი დაუდო კიბერტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას კოსმოსში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კოსმოსურ სივრცეში განთავსებულ ობიექტთა და პროგრამათა უმეტესობა სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებისაა, სავარაუდოდ, უახლოვეს მომავალში უნდა ველოდოთ თვისობრივად ახალ, სოციალურად უაღრესად საშიშ ქმედებათა კასკადს.

ასეთ ვითარებაში, ვიდრე საერთაშორისო საზოგადოებას უკეთესი რამ არ მოუფიქრებია, კრიმინალიზაციის პროცესი გარდაუვალია. მთავარია არა პასუხისმგებლობის დანესების პრობლემა (მიუხედავად იმისა, რომ ესეც აქტუალურია), არამედ ის, თუ რა პრინციპებითა და კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს კანონმდებელი, და რამდენად შესაბამისობაში იქნება იგი თანამედროვე გამოწვევებთან. ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესში მრავალი სირთულე და წინააღმდეგობაა და ამის თვალსაჩინო მაგალითია ის დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები და მიდგომები, რომლებიც შეინიშნება საერთაშორისო დონეზე. ეს, თავის მხრივ, არსებითი ხელისშემშლელი გარემოებაა და კიდევ უფრო ართულებს ისედაც არაპროგნოზირებად მომავალს. თუ პოლიტიკური შეფასებებისგან შევიკავებთ თავს, დღემდე კიბერუსაფრთხოების ყველაზე მაღალი დონე გააჩნია ჩრდილოეთ კორეას, მაგრამ მსგავსი მეთოდებით, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიუღებელია. ამიტომ ერთადერთი მართებული გზა არის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და სამართლებრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობა, ეროვნული კანონმდებლობის მისადაგება საერთაშორისო სამართალთან, ასევე ეროვნული თავისებურებების გათვალის-

წინებით, ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

III. კიბერდანაშაულის ადგილი ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კიბერდანაშაულს დათმობილი აქვს XXXV თავი და შედგება ხუთი მუხლისგან. კოდექსის მიხედვით, ყველა მათგანი განზრახი დანაშაულია: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით და ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემის შექმნა.

გარდა ამისა, კოდექსში გვხვდება მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო კონსტრუქციები, რომლებიც გათვალისწინებულია კოდექსის სხვა თავებში. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავში, რომელიც ეძღვნება ტერორიზმს, 324¹ მუხლით გათვალისწინებულია კიბერტერორიზმის შემადგენლობა, ხოლო XVII თავის 158-ე-159-ე მუხლებით გათვალისწინებულია კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა და პირადი მიმონერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა. როგორც ვხედავთ, კიბერტექნოლოგიები ნელი ტემპით, მაგრამ სტაბილურად იქვემდებარებს მრავალ დანაშაულებრივ შემადგენლობას. გასაგებია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში კიბერტექნოლოგიები გვევლინება დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის განხორციელების ხერხად და საშუალებად, რომელიც მას ამარტივებს. არა ნებისმიერი ქმედება განიხილება დანაშაულის ჩადენის ხერხად, არამედ, როგორც პროფესორი გ. ნაჭყებია მიუთითებს: „კრიმინალიზაციის ობიექტია სუბიექტის მოტივისა და მიზნის განხორციელების ანტისაზო-

გადოებრივი ხერხი.¹ არის თუ არა ქმედება სოციალურად საშიში, შეფასებითი კატეგორიაა, რომელიც ყოველთვის არის დაკავშირებული მრავალ გარემოებასთან და წყდება ცალკე აღებულ, კონკრეტულ შემთხვევებში. ეს საკითხი კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს კიბერსივრცესთან მიმართებაში, რადგანაც რთულდება თავად საკითხის შეფასების როგორც მოცულობა, ისე შინაარსი. ამ შემთხვევაში აუცილებელია კანონქვემდებარე აქტების მწყობრი და გამართული სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ქმედების მართლზომიერება-არამართლზომიერების საკითხი. მსგავსი მდგომარეობაა სამშენებლო წესების დარღვევის დროს, როდესაც სახეზეა მრავალრიცხოვანი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინსტრუქციების, შეთანხმებებისა თუ სპეციალური წესების სახით. იმისთვის, რომ დადგინდეს სამშენებლო წესების დარღვევა, უნდა არსებობდეს სათანადო წესით მიღებული ინსტრუქცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რა სახის დარღვევაა და გათვალისწინებულია თუ არა იგი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობით. აქ სახეზეა ე. წ. „ბლანკეტური“ მუხლები. მართლაც, ცალკეული მუხლის დისპოზიციაში შეუძლებელია ყველა ელემენტის ასახვა. ამიტომ მსგავსი საკანონმდებლო ტექნიკის წყალობით მსგავსი პრობლემები მოგვარებადია. ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე კიბერუსაფრთხოების და, კონკრეტულად, კიბერდანაშაულთან მიმართებაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მასშტაბები გაცილებით დიდი და მრავალმხრივია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ კიბერსივრცეში უკვე დიდი ხანია თავისი ქოლგის ქვეშ მოაქცია სამშენებლო სფერო ისევე, როგორც ადამიანთა საქმიანობის ყველა მიმართულება. ასეთ ვითარებაში კი რაიმე მწყობრ საკანონმდებლო ბაზაზე საუბარი რთულია ან თითქმის შეუძლებელი. მაგრამ უახლოეს მომავალში აუცილებ-

ლად უნდა გადაწყდეს გარკვეული მინიმალური საკანონმდებლო პრობლემები. წინააღმდეგ შემთხვევაში საკანონმდებლო ვაკუუმი და მისგან გამომდინარე გლობალური ხასიათის უარყოფითი შედეგები გარდაუვალი იქნება.

დავას არ ინვესტის ის გარემოება, რომ ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში გაბნეულ სამართლებრივ კონსტრუქციათა უმეტესობა ნაკარნახევია პრაქტიკული საჭიროებით, თუმცა სრულად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხს, რადგან კიბერსივრცის უსაფრთხოებაზე საუბარი საერთაშორისო კანონმდებლობისგან მოწყვეტით შეუძლებელია. მეორე მხრივ, არ უნდა მოხდეს მათი კოპირება და საკანონმდებლო დამაგრება ავტომატურად, შესაბამისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, სამართლებრივი ტექნიკის კუთხით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ასევე კიბერდანაშაულის ყველა საკანონმდებლო კონსტრუქციის ერთ თავში გაერთიანება, რაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა კანონგამოყენებით საქმიანობაში. მაგრამ ამ შემთხვევაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი შემადგენლობა, რომლის განხორციელება არ შეიძლებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიების ან გამოყენებით, ან მათი აქტიური მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში, კოდექსში გვექნებოდა ისეთი სპეციალური თავი, რომელიც თავს მოუყრიდა დანაშაულის შემადგენლობათა უმრავლესობას. მაგალითად: ქურდობა შესაძლებელია ინტერნეტის გამოყენებით (fishing), ისევე, როგორც მუქარის, გამოძალვის და სხვა შემადგენლობების განხორციელება. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ეს შესაძლებელია, მაგრამ არაა მისაღები. არსებობს მეორე გზაც, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი მუხლის დისპოზიციაში მაკვალიფიცირებული ნიშნის დაწესებას კიბერტექნოლოგიების გამოყენებით ან სულაც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში სათანადო დანაშაულის გაჩენას, რომლითაც გათვალისწინებული

¹ ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი 2002, 15.

ლი იქნებოდა დანაშაულის ჩადენა კიბერტექნოლოგიების გამოყენებით.

გაცილებით პრობლემურია საკითხი კიბერდანაშაულის ჩადენის ფორმების შესახებ. როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კიბერდანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ განზრახ და არა გაუფრთხილებლობით, განსხვავებით სხვა ქვეყნების და, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისგან. რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება? ნუთუ მსგავსი სახის დანაშაული შესაძლებელია გაუფრთხილებლობით იქნას ჩადენილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ან რუსეთის ფედერაციაში, ხოლო საქართველოში იგი გამორიცხებულია ან არ არსებობს მისი კრიმინალიზაციის სოციალურ-კრიმინოლოგიური საფუძვლები? ერთი შეხედვით, პასუხი ამ კითხვაზე მარტივი და ადვილად ახსნადია, მაგრამ თუ ღრმად ჩაუფიქრდებით, აღმოვაჩინთ, რომ იგი უკავშირდება კრიმინალიზაციის პროცესის ურთულეს პრობლემატიკას. არსებობს საკითხთა წრე, რომელთა გადანყვეტის აუცილებლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. არსებობს მწვავე სოციალური, სამართლებრივი და კრიმინოლოგიური საჭიროება ამა თუ იმ ქმედებათა კრიმინალიზაციის, მაგრამ ვერ ხერხდება მისი საკანონმდებლო კვალიფიკაცია. მაგრამ უდავოა, რომ ყოველგვარი ქმედების კრიმინალიზაციის პროცესი უნდა წარიმართოს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპებისა და კრიტერიუმების განუხრელი დაცვის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება ისეთ სამართლებრივ ვითარებას, როდესაც პასუხისმგებლობის საკანონმდებლო დანაწესი, უბრალოდ, არ იმუშავებს, ან ვერ იქნება მიღწეული ის შედეგი, რომელსაც კანონმდებელი ისახავდა მიზნად. ამ კუთხით, საინტერესოა სამართლის თეორეტიკოსის, მ. ფრიმენის დებულება იმასთან დაკავშირებით, რომ „სამართლებრივი კრიტერიუმები - ეს არის საზოგადოების სარკე, რომელიც წარმოაჩენს საზოგადოებაში

გაბატონებულ ღირებულებებს.“² მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო მეცნიერის ამ ლაკონიურ, მაგრამ ყოვლისმომცველ განაცხადს, რომ სოციალურ ქმედებათა შეფასების კრიტერიუმები უშუალოდაა დაკავშირებული თავად საზოგადოებაში არსებულ გაბატონებულ ღირებულებებთან, რომელიც ნასაზრდოებია ისტორიულად ჩამოყალიბებული მორალური, ტრადიციული თუ რელიგიური ნანამძღვრებით. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სოციალისმის სრული და შეუქცევადი პროცესი „კომპიუტერიზაციისა“, შეინიშნება ტრადიციულ და თანამედროვე ღირებულებათა კონკურენცია. იგი ერთ-ერთი რთულად გადასალახი ბარიერია და საჭიროებს ღირებულებათა ურთიერთმისადაგებას, რომლის გარეშეც კრიმინალიზაციის პროცესი უსასრულოდ გაიწელება დროში. ამის თვალსაჩინო მაგალითია ისეთი არამართლზომიერი ქმედების დეკრიმინალიზაცია, როგორც შეურაცხყოფაა. თუმცა, არსებულმა რეალობამ ცხადყო, რომ ამ ასოციალური ქმედების სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება, რბილად რომ ვთქვათ, არაეფექტიანი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, სწორედ ინტერნეტის წყალობით იქცა იგი ადამიანთა ღირსების დამცირების ტოტალურ საშუალებად. თუ დღემდე არსებული მოცემულობით მისი რეგულირება შესაძლებელი იყო სამოქალაქო სამართლით, დღეს ეს შეუძლებელია და ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები. მიუხედავად საზოგადოების დიდი ნაწილის დაჟინებული მოთხოვნისა, საკანონმდებლო დონეზე ეს საკითხი არც კი განიხილება. ამის მიზეზი კი სწორედ საზოგადოებაში არსებული ღირებულებების პოლარიზაციაა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კრიმინალიზაცია, როგორც სოციალური კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი, თავის თავში გულისხმობს არა მარტო მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინებას, არამედ ამ ღირებულებათა კონკურენციისა და ჰარმონიზაციის პროცესს.

² Freeman, *The Legal Structure*, London 1974, 19.

კიდევ უფრო პრობლემურია დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობის დასაბუთება კიბერსივრცეში წარმოშობილ, სოციალურად საშიშ ქმედებათა მიმართ. მაგრამ, საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს არა მარტო აუცილებელი, არამედ შესაძლებელიცაა და გარდაუვალიც. ამიტომ, საკითხი აქტუალურია ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობასთან დაკავშირებით და გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციის დროს.

IV. გაუფრთხილებლობა, როგორც კიბერდანაშაულის შესაძლო ფორმა

ის გარემოება, რომ ქართული სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კიბერდანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობას, იმთავითვე უარყოფითი მოვლენაა და პირდაპირ უწყობს ხელს არასწორი სამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული, ზოგადად, გაუფრთხილებლობის პრობლემატიკასთან და განხილულ უნდა იქნას საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ დებულებებზე დაყრდნობით. ამიტომ, პრობლემის გადაწყვეტაში დაგვეხმარება სამართლებრივი პრინციპები, რომელთაც ეკისრებათ ორიენტირის ფუნქცია. ერთ-ერთ ასეთ პრინციპად გვესახება პროფესორ მინდია უგრეხელიძის მიერ დანერგილი და განვითარებული „ტიპობრივი ვალენტობის“ პრინციპი, რომლის თანახმადაც, „უმართლობის ამა თუ იმ ტიპის კონსტრუირებისა და შესაბამისი შემთხვევების ტიპიზაციისას, საერთოდ, მარტო იმის უნარი კი არ მიიღება მხედველობაში, რომ ხდომილებათა დიდ მასაში მსგავს ქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ზიანი, არამედ ისიც, არის თუ არა იგი ტიპური (ტიპობრივი) და ადეკვატური იმ ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებს შორის კავშირი, რომლებიც ამ ქცევის ერ-

თიან, განუყოფელ სტრუქტურას ქმნიან.“³ აქ საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ცალკეული ქმედება შესაძლოა იყოს სოციალურად საშიში და ზიანის გამომწვევი, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ჩადენა უკიდურესი იშვიათობით გამოირჩევა და არ არის „ტიპური“, ის კანონმდებელს ვერ უბიძგებს შემადგენლობის კრიმინალიზაციისკენ. პროფ. მინდია უგრეხელიძე თავის სალექციო კურსში⁴ შემდეგ მაგალითს განიხილავს: „საქართველოს სასამართლო პრაქტიკისთვის ცნობილია გასული საუკუნის 70-იან წლებში მაღალმთიან აჭარაში მომხდარი ფაქტი, რა დროსაც ადამიანის გვამებს იყენებდნენ ღორების გამოსაკვებად.“ ალბათ, წარმოუდგენელია ამაზე უფრო არაბუნებრივი და ამაზრზენი ფაქტი, რაც შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს, მაგრამ იმის გამო, რომ მსგავსი ქმედება არ იყო გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით, ვერ მოხდა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება. თუმცა ამ ფაქტმა ვერ განაპირობა მსგავსი ქმედების კრიმინალიზაცია, რადგანაც იგი არ იყო დამახასიათებელი საზოგადოების ჩვეული ცხოვრებისთვის.

ამ მაგალითიდან ნათლად იკვეთება კრიმინალიზაციის პროცესის ერთ-ერთი გასათვალისწინებელი გარემოება. კერძოდ, ის, რომ ქმედების კრიმინალიზაციის საფუძველია მისი გავრცელების ინტენსიობა და სიხშირე, რომელიც გარკვეულ ზიანს იწვევს ან ქმნის მისი დადგომის საშიშროებას.

მართებულია პროფესორ იაკოვლევის მსჯელობა, რომ „არსებითად, სოციალური კონტროლის საწყისია ის მომენტი, როდესაც ინდივიდუალური ქმედება იძენს სოციალურ მნიშვნელობას, რაც პირველი ეტაპია სოციალური კონტროლის განხორციელების გზაზე, როდესაც

³ უგრეხელიძე, „ტიპობრივი ვალენტობის“ პრინციპი სისხლის სამართალში, მაცნე N11; თბილისი 2017, 40.

⁴ უგრეხელიძე, სალექციო კურსი სისხლის სამართალში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი 2019.

საც ინდივიდის მოქმედება იძენს სისტემატურ ხასიათს და დამახასიათებელია არა რომელიმე ცალკე აღებული სოციალური ფენის, არამედ მთლიანად საზოგადოების ფართო წრისთვის.⁵

ჩეზარე ბეკარიამ, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული კრიმინალიზაციის სწავლების ფუძემდებლად, თავის ისტორიულ ნაშრომში „დანაშაულისა და სასჯელების შესახებ“, ჩამოაყალიბა სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საფუძვლები და პრინციპები, ისეთი, როგორცაა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება და რეპრესიულობის ეკონომიკური მხარე⁶.

აღნიშვნის ღირსია ასევე ინგლისელი იურისტის, პროფესორ ქორთნი სტენჰოუპ ქენის ფუნდამენტური ნაშრომი - „სისხლის სამართლის საფუძვლები“, სადაც ჩამოყალიბებულია დებულებები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს კრიმინალიზაციის გენეზისს.⁷

მოსხენიებულ მეცნიერთა ნააზრევი ცალსახად ადასტურებს დებულებას იმის შესახებ, რომ კრიმინალიზაციის საწყისი ეტაპია სოციალურად საშიშ ქმედებათა სისტემური და არა საგამონაკლისო ხასიათი.

თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ზემოაღნიშნული დებულებებით და გავაანალიზებთ სტატისტიკურ მონაცემებს, არავითარი ეჭვი არ დარჩება იმისა, რომ კიბერსივრცეში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების კვალდაკვალ, წარმოიშვა და სისტემურად ვითარდება პლანეტარული მასშტაბის, სოციალურად საშიში ქმედებების მთელი კასკადი, რომლებიც უახლოეს მომავალში აუცილებლად განაპირობებს სპეციალური სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობას. დღეის მდგომარეობით კი მოქმედი კანონმდებლობა უმეტეს შემთხვევაში კიბერტექნოლოგიების გამო-

ყენებით ჩადენილ ნებისმიერ უმართლობას განიხილავს, როგორც დანაშაულის განხორციელების ანტისოციალურ ხერხს და ეს მოცემულობა ჯერჯერობით აკმაყოფილებს სისხლისსამართლებრივ მიზნებს, მაგრამ უკვე აშკარაა მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი კონსტრუქციების შექმნის საჭიროება.

ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კიბერდანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას გაუფრთხილებლობით, რაც კანონმდებლობის ნაკლია და ხელს უწყობს არასწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ კიბერდანაშაული თავისი ბუნებით უნივერსალურია და მისთვის არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა დროსა და სივრცეში. მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური ნესწყობილების თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, მისი ჩადენა ერთნაირად შეიძლება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში და მას ხელს ვერ უშლის გარე და შიდა ფაქტორები. ინტერნეტის წყალობით იქცა სოციალურად საშიში ქმედებები ტრანსნაციონალურ დანაშაულად. მაღალტექნოლოგიურმა პროგრესმა დასაბამი დაუდო სრულიად ახალი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, დღემდე უცნობ, თვისობრივად განსხვავებულ, სოციალურად საშიშ ქმედებათა აღმოცენებას. აქედან გამომდინარე, დაიწყო ამ ურთიერთობათა როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი რეგულირება. თუ საწყის ეტაპზე მსგავს ურთიერთობათა რეგულირება შესაძლებელი იყო სამოქალაქო სამართლის წყალობით, დროთა განმავლობაში დადგა მათი სისხლისსამართლებრივი მოწესრიგების საჭიროება, რაც კრიმინალიზაციის პროცესს გულისხმობს. პერმანენტულად დაიწყო ახალი სისხლისსამართლებრივი კონსტრუქციების შემუშავება და საკანონმდებლო რეგულირება. მოგვიანებით აუცილებელი გახდა საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა და ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ანუ საკა-

⁵ *Яковлев*, Принципы социальной справедливости и основания уголовной ответственности, Государство и право 1982 N3, 14.

⁶ ბეკარია, დანაშაულისა და სასჯელების შესახებ, მოსკოვი 1939, 14-21.

⁷ *Kenny*, Fundamentals of Criminal Law, Cambridge 1947, 47.

ნონმდებლო ჰარმონიზაცია. ამ პროცესში შემუშავებული დანაშაულის შემადგენლობათა უმეტესობა გულისხმობდა მის განზრახ ჩადენას, ხოლო მოგვიანებით კი გაუფრთხილებლობასაც, რაც შექმნილი რეალობით იყო ნაკარნახევი. მართლაც, წარმოუდგენელია, რომ სატრანსპორტო, სამშენებლო, სამრეწველო თუ სხვა სფეროებში შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა გაუფრთხილებლობით, ხოლო კიბერსივრცეში კი არა. სწორედ კიბერტექნოლოგიების გაუფრთხილებელ გამოყენებას მოჰყვა ისეთი მასშტაბური დონის შემთხვევები, როგორებიცაა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ტრაგედია, სამგზავრო კრუიზული გემის - კონკორდიას ჩაძირვა და სხვა. მსგავსი მაგალითი უამრავია და ყველა მათგანი გამონვეულია კიბერტექნოლოგიების არასათანადო მოპყრობით. ამიტომაც, რომ რიგი ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობის ინსტიტუტს.

თანამედროვე რეალობაში, როდესაც კიბერტექნოლოგიები ერთადერთ და უალტერნატივო განზომილებად გვევლინება, როდესაც მის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია კაცობრიობის პროგრესი და განვითარება, ბუნებრივად ჩნდება მათი მართლზომიერად გამოყენების ვალდებულება, რაც, თავის მხრივ, ადამიანების გარკვეულ ჯგუფს ავალდებულებს როგორც შესაბამისი ცოდნის მიღებას, ისე სათანადო უნარ-ჩვევების დაუფლებას. გამოდის, რომ ეს პროცესი თავის თავში გულისხმობს შესაბამისი მოქმედების განხორციელებას, ანუ ქცევას. ქცევა კი ყოველთვის არ გულისხმობს მის მართლზომიერებას. უფრო სწორად, ქცევაში მოიაზრება როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი ქმედება, რომელიც ვლინდება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უმართლობათა უმეტესი ნაწილი კიბერსივრცეში ხორციელდება, ამ შემთხვევაში შემადგენლობის გაუფრთხილებლობით განხორციელება უბრალოდ გარდაუვალია. ამიტომ გაუფრთხილებლობა აისახა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის

ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში.

ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ეს ნაკლი, რომელიც თავისთავად უარყოფითი მოვლენაა, თავის მხრივ, წარმოშობს დამატებით პრობლემებს. კერძოდ, თუ რეალობას თვალს გაუსწორებთ, მოგვინევს იმის აღიარება, რომ სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა (მხედველობაშია სისხლისსამართლებრივი დევნის და საგამოძიებო ორგანოები) ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხარისხით, ყოველთვის ცდილობდა კანონის საკუთარ თავზე მორგებასა და არასწორ ინტერპრეტირებას, თავისი სამსახურებრივი ინტერესების შესაბამისად, რასაც ხსნიდნენ დამნაშავეობასთან ბრძოლის მიზნებით. ეს, საგამოძიებო ორგანოების ისტორიულად თანდაყოლილი ნაკლია და მისი სრულად აღმოფხვრა, ჯერ-ჯერობით, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა. ამის გამომწვევი მიზეზების კვლევა შორს წავიყვანს, მაგრამ უდავოა, რომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება თავად კანონმდებლობის ყოველმხრივი სრულყოფაა.

მართლაც, თუ საგამოძიებო პრაქტიკას გადავხედავთ, არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც სახეზეა კიბერსივრცეში ჩადენილი სოციალურად საშიში ქმედება, რომელიც თავისი არსით გაუფრთხილებლობას განეკუთვნება, მაგრამ იმის გამო, რომ იგი სოციალურად საშიშია და, ამასთან ერთად, იწვევს საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას, სამართალდამცავ ორგანოებს აიძულებს შესაბამისი უკანონო ქმედებისკენ. რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს კიბერდანაშაულის ჩადენას გაუფრთხილებლობით, გამოძიება იწყება განზრახვი დანაშაულისთვის და, ამ შემთხვევაში, სასამართლო კონტროლი, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ყოველთვის ვერ ასწორებს საგამოძიებო ორგანოების შეცდომებს.

მსგავს გაუგებრობათა თავიდან აცილების ყველაზე მართებულ საშუალებად გვესახება სისხლის სამართლის კოდექსში ისეთი სამართ-

ლებრივი კონსტრუქციის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს კიბერდანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობას და შექმნის მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების პირობებს.

V. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა კიბერდანაშაულთან ბრძოლის კუთხით ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს

და აშკარად ჩამორჩება საერთაშორისო გამოცდილებას. აშკარაა, როგორც ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობების შექმნის, აგრეთვე მათი სისტემატიზაციის აუცილებლობა.

აუცილებელია, რომ კანონმდებლობამ სისხლის სამართლის კოდექსში დაუყოვნებლივ გაითვალისწინოს კიბერდანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის შესაძლებლობა და ამ გზით სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა დაახლოვოს საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

სასამართლო პრაქტიკა

► 1 – 10/2021

მაუწყებლის ვალდებულება პოლიტიკური რეკლამის შინაარსთან მიმართებით

1. კანონთან შეუსაბამო შინაარსის მქონე პოლიტიკური რეკლამის განთავსების თავიდან ასარიდებლად, მაუწყებელს ავალთ რეკლამის განთავსების კანონიერების მოკვლევა ამგვარი რეკლამის განთავსებამდე.

2. საკანონმდებლო დათქმა: „მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე“, უპირობოდ არ გამოორიცხავს მაუწყებლის წინდახედულობას და არ გულისხმობს, რომ მაუწყებელს უფლება აქვს, ეთერში განათავსოს ნებისმიერი შინაარსის პოლიტიკური რეკლამა.

3. პოლიტიკური რეკლამის განთავსებისას, მაუწყებელმა პრინციპების დონეზე უნდა გაითვალისწინოს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული დათქმები (უპირატესად, არასათანადო რეკლამის ჭრილში).

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტი

უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 მარტის განჩინება № ბს-1168(კ-20)

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ა) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მაუწყებლებმა განათავსეს პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა¹ (საარჩევნო სუბიექტების დაკვეთის საფუძველზე).

მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი და ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში მისთვის შესაბამისი სანქციების დაკისრება, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - სკეკ) ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს. შესაბამისად, პოლიტიკური რეკლამის მაუწყებლის ბადეში განთავსებასთან დაკავშირებული საკითხის განმხილველი ორგანოც სწორედ სკეკ-ია.

სკეკ-ის 2018 წლის 6 დეკემბრის №664/18 გადაწყვეტილებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ (შემ-

¹ ტერმინოლოგიურად, პოლიტიკური და წინასაარჩევნო რეკლამა, თავისი დატვირთვის გათვალისწინებით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა სკეკ-ის პრაქტიკით, ეს ორი ტერმინი ერთმანეთთან გაიგივდა (იხ. მაგალითად, სკეკ-ის გადაწყვეტილება, 15.06.2017, №392/18). ამდენად, წინამდებარე ნაშრომში დასახელებული ინსტიტუტი მოხსენიებული იქნება, როგორც „პოლიტიკური რეკლამა“.

დგომში - მაუნყებელი) სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი და გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან. სკეკ-ის მოსაზრებით, 2018 წლის 17-20 ნოემბრის პერიოდში, მაუნყებელზე განთავსდა პოლიტიკური რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას. კერძოდ, სარეკლამო ვიდეორგოლში პრეზიდენტობის კანდიდატის² მიმართ გამოყენებულია შეურაცხმყოფელი გამონათქვამი და შედარება. ის მოხსენიებულია მოლაღატედ. აღსანიშნავია, რომ სკეკ-ის მიერ იმავე წლის 25 სექტემბერს ყველა (მათ შორის, ამ საქმეში მონაწილე) მაუნყებელს გაეგზავნა წერილი (№04/3230-18), სადაც წინასწარვე აღინიშნა, რომ აღნიშნული ვიდეორგოლი წარმოადგენდა კანონის დარღვევას.³

სკეკ-ში მიმდინარე განხილვისას, მაუნყებლის პოზიცია ეყრდნობოდა რამდენიმე გარემოებას, რომელთაგან აღსანიშნავია „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტში არსებული ჩანაწერი, რომელიც მაუნყებლის წინასაარჩევნო (პოლიტიკური) რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობას გამორიცხავს. აღნიშნული სკეკ-მა განმარტა შემდეგნაირად: „*მაუნყებლობის შესახებ*“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მაუნყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე. წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება შესაბამისი რეკლამის დამკვეთს. შესაბამისად, მაუნყებელს არ შეიძლება მოეთხოვოს მისთვის განსათავსებლად წარდგენილი წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის ფორმატში საარჩევნო სუბიექტის მიერ ან მის შესახებ საზოგადოებისთვის მიწო-

დებული ინფორმაციის უტყუარობისა და ობიექტურობის შეფასება. თუმცა, მაუნყებელი პასუხისმგებელია კანონსწინააღმდეგო რეკლამის გავრცელებაზე და ვალდებულია არ განათავსოს რეკლამა, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, არაეთიკური რეკლამა“. შესაბამისად, სკეკ-ის პოზიციით, თუ პოლიტიკური რეკლამა შეიცავს არაეთიკურ შინაარსს/არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დანაწესს, იგი არ უნდა განთავსდეს მაუნყებლის მიერ.

საბოლოოდ, სკეკ-მა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მაუნყებელი ცნო სამართალდამრღვევად, მაგრამ გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან ეს იყო პირველი დარღვევა წლის განმავლობაში.⁴

ბ) სასამართლოში დამდგარი შედეგი (სამივე ინსტანცია)

სკეკ-ის გადაწყვეტილება მაუნყებელმა გაასაჩივრა ადმინისტრაციული წესით. უმთავრესი საფუძველი, რასაც მაუნყებლის პოზიცია ემყარებოდა, მაუნყებლის ვალდებულებას შეეხებოდა, არ ჩარეულიყო პოლიტიკური რეკლამის შინაარსში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა და სკეკ-ის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. აღნიშნული გადაწყვეტილება მაუნყებელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს

² დღეისთვის მოქმედი პრეზიდენტის - სალომე ზურაბიშვილის.

³ აქცენტი გაკეთდა „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტზე: „იკრძალება არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური და აშკარად ყალბი რეკლამის ან ტელეშოპინგის განთავსება“.

⁴ სკეკ-ის გადაწყვეტილება სრულად იხ. <<https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2018-664-18.page>>.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის #664/18 გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სკეკ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2021 წლის 25 მარტის №ბს-1168(კ-20) განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

მიუხედავად დასაშვებობის ეტაპზე საქმის წარმოების დასრულებისა, საკასაციო სასამართლო საქმეზე გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით.

II. სასამართლოს დასაბუთება

ა) სამართლებრივი ნორმები

სასამართლოს განმარტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერი უპირობოდ არ გამორიცხავს მაუწყებლის პასუხისმგებლობას, ეთერში განათავსოს ნებისმიერი სახის პოლიტიკური რეკლამა. აღნიშნული განმარტების პარალელურად, სასამართლომ ხაზი გაუსვა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ პრინციპებსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VI თავში არსებულ ჩანაწერს, რომელიც შინაარსობრივ მოთხოვნებზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, 56-ე მუხლზე, რომლის მე-4 პუნქტი უხამსობის შემცველი რეკლამის განთავსების აკრძალვას ეხება.

განჩინებაში ასევე ვაწყდებით „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში მოწესრიგებულ ნორმებს: მე-4 მუხლის მე-8 პუნქტს, რომელიც არასათანადო რეკლამის განთავსების აკრძალვას ეხება, ასევე მე-4 მუხლის მე-11 პუნქტს,

რომელიც რეკლამით შესაბამისი მონოდების დაუშვებლობას განსაზღვრავს. სასამართლო ამ განმარტებით დაეთანხმა სადავო ნორმის განმარტებასთან დაკავშირებულ შეხედულებას და მიიჩნია, რომ პოლიტიკური რეკლამის შინაარსობრივი მხარის კანონიერებაზე საუბრისას შესაძლებელია არასათანადო რეკლამასთან დაკავშირებული ნორმების გამოყენება.

სასამართლო ასევე შეეხო საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლს, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) შინაარსობრივ დათქმებს მოიცავს და განსაზღვრავს იმ ძირითად წინაპირობებს, რომელთა გარეშეც უნდა განხორციელდეს ასეთი კამპანია.

ბ) განმარტების მნიშვნელობა მაუწყებელთათვის

განჩინების სამოტივაციო ნაწილში ვაწყდებით ჩანაწერს, რომ „მაუწყებელმა რეკლამის, მათ შორის, პოლიტიკური რეკლამის ეთერში განთავსებამდე მხედველობაში უნდა მიიღოს შემოაღნიშნული ზოგადი დანაწესები“. ამგვარი მსჯელობა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტს განსხვავებულად (ფართოდ) განმარტავს: მაუწყებელი ვალდებულია, რომ წინდანიწვე შეისწავლოს მიწოდებული სარეკლამო რგოლი (პოლიტიკური რეკლამა) და იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩენს, რომ მისი განთავსებით დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობას - არ განათავსოს იგი ეთერში.

III. კომენტარი

სასამართლოს შეფასება ლოგიკურად მოდის შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ელ პუნქტთან, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლთან, ასევე, სპეციალურ ნორმებთან, რომელიც უხამსობისა თუ არაქონებრივი უფლებების შელახვის აკრძალვას ეხება. დაუშვებელია, რომ კანონის სიტყვასიტყვითი

მნიშვნელობის ფორმალური გაგება გახდეს სხვა პირთა პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის საფუძველი და მეტი პრევენციული ზომის მიღებაც ამ მხრივ გამართებულია. თუმცა, საკითხავია, თუ რა შედეგები მოჰყვება ამგვარ განმარტებას მაუწყებელთა პრაქტიკაში. არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკური რეკლამა სხვადასხვა მაუწყებელმა განსხვავებულად აღიქვას.

ა) *მაუწყებელთა შეზღუდვა V. სუბიექტური შეხედულების საფრთხე*

სასამართლოს მსჯელობა ორ ასპექტში უნდა იქნეს გაგებული: ერთი მხრივ, იგი აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან უფლების დარღვევის ყველა საფრთხე წინდანიწვე უნდა იქნეს აღმოფხვრილი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ქმედებამ შეიძლება მიგვიყვანოს პოლიტიკურ რეკლამაზე სუბიექტური შეხედულების ლეგიტიმაციაზე, რის შედეგადაც მაუწყებელმა პოლიტიკური რეკლამა შეიძლება უსაფუძვლოდ მიიჩნიოს კანონთან შეუსაბამოდ და არ განათავსოს ეთერში. მეორე ასპექტი კიდევ უფრო ნიშანდობლივია იმდენად, რამდენადაც გაუგებარია, თუ სად გადის მაუწყებლის უფლებამოსილების ზღვარი, როცა იგი მიიჩნევს პოლიტიკურ რეკლამას კანონთან შეუსაბამოდ (განმარტავს შინაარსს, როგორც არაეთიკურს/არასათანადოს).

ბ) *ანალოგია სოციალურ რეკლამასთან?*

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტი, პოლიტიკურთან ერთად, სოციალური რეკლამის შინაარსსაც ეხება. ამ მხრივ, პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც სადავო გამხდარა სოციალური რეკლამის ასეთად ცნობის საკითხი.⁵ სკეკ-საც აქვს ამ მხრივ განვითარებული მსჯელობა,⁶ რომელიც სოციალური რეკლამის ფორმალური შემოწმების სავალდებულობაზე მიუთითებს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სოცია-

ლური რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა მაუწყებელს არ ეკისრება,⁷ მაგრამ ის, თუ რამდენად არის რეკლამა სოციალური, შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66¹ მუხლის 2¹ პუნქტის მიხედვით, „თუ ადმინისტრაციული ორგანო და მაუწყებელი ვერ თანხმდებიან იმაზე, არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლისთვის მინოდებული მასალა სოციალური რეკლამა ან/და შეიცავს თუ არა იგი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, დავას წყვეტს კომისია ერთ-ერთი მხარის მიერ მისთვის შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით“. ეს დათქმა წინდანიწვე გამორიცხავს საბოლოო შეუთანხმებლობას. მეტიც, იგი ერთგვარი პრევენციაა, რომ დაგეგმილი კამპანიის⁸ შემთხვევაში, ერთი მხრივ, დრო დაიზოგება, ხოლო, მეორე მხრივ, საფრთხე არ შეექმნება საკითხის დროულად გადაწყვეტასა და დროულად განთავსების/განუთავსებლობის შემთხვევაში შემდგომ აქტივობებს.

ამგვარი ქმედება წინასაარჩევნო კამპანიის შემთხვევაში კი, მით უმეტეს ღირებულია: სკეკ-ი, როგორც საკითხის მარეგულირებელი ორგანო, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, რაც სუბიექტური შეხედულების გამო სარეკლამო რგოლის განთავსებაზე გაუმართლებელ უარს გამორიცხავდა.

სერგი ჯორბენაძე

⁵ სკეკ-ის გადაწყვეტილება, 16.11.2012, №729/18.

⁶ სკეკ-ის გადაწყვეტილება, 15.06.2017, №392/18.

⁷ როგორც აღინიშნა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

⁸ სოციალური რეკლამის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კამპანია იგულისხმება. პოლიტიკური რეკლამასთან ანალოგიის შემთხვევაში - წინასაარჩევნო კამპანია.

► 1 – 10/2021

გავრცელებული ცნობების სიმცდარის მტკიცების ტვირთი

1. თუ გავრცელებული ცნობები შეიცავს ერთზე მეტ ფაქტობრივ განცხადებას, მათი დეფამაციური ბუნება დადასტურებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს თითოეული მათგანის სიმცდარეს.

2. თუკი გავრცელებული ცნობები ეხება იმას, რომ დასაქმებულებს ზედმეტად მოკლე შესვენება აქვთ, მათი სიმცდარის დასადასტურებლად არასაკმარისია სახელშეკრულებო დათქმის მოშველიება, რომელშიც შესვენების ხანგრძლივობად მეტი დრო არის მითითებული.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ კანონის მე-13 მუხლი

ს.კ-ის მე-18 მუხლი

უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის განჩინება საქმეზე № ას-938-2020

I. ფაქტობრივი გარემოებები

დამსაქმებელმა სარჩელი აღძრა დასაქმებულების წინააღმდეგ და მოითხოვა მათ მიერ ვიდეომიმართვის ფორმით გავრცელებული ცნობების უარყოფა. მოპასუხეთა განცხადება შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „ჩვენ, მოსარჩელის მალაზიაში დასაქმებულ კონსულტანტებს გვინდა იმ მძიმე და უსამართლო შრომით პირობებზე ვისაუბროთ, რაშიც ყოველდღიურ რეჟიმში გვინევს მუშაობა. 1. გვაქვს მძიმე და არანორმირებული სამუშაო რეჟიმი. კვირაში 6 დღე და დაახლოებით 60 სთ. ვმუშაობთ. დღის მანძილზე საშუალოდ 10 სთ. გვინევს მუშაობა, არ გვაქვს ოფიციალური შესვენება და ერთმანეთის შეცვლის ხარჯზე დაახლოებით 15 წუ-

თის მანძილზე ვახერხებთ სამუშაო ადგილის დატოვებას. არ გვაქვს გამოყოფილი დრო და სივრცე კვებისთვის. 2. არანორმირებული სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, ჩვენი თვიური ანაზღაურება 300 ლარია. იგივე დატვირთვის მიუხედავად, რეზერვში მყოფი კონსულტანტების - 250 ლარი. 3. მიუხედავად იმისა, რომ გვინევს ზეგანაკვეთური შრომა და ღამე მუშაობა, ადმინისტრაცია ამ შრომას არ ანაზღაურებს; 4. კონსულტანტებს გვინევს ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება, ერთდროულად ვასრულებთ კონსულტანტის, მოლარის, დამლაგებლის, სანყობის მთვლელისა და მტვირთავების ფუნქციებს; ადმინისტრაცია გაყიდვების წარმოდგენლად დიდი გეგმის შესრულებას გვთხოვს ყოველთვიურად, რაც იძულებულს გვხდის არანორმირებულად და მძიმე დატვირთვით ვიმუშაოთ, რადგან გეგმის შესრულებას ებმის ჩვენთვის ბონუსების დარიცხვა. ბონუსი ჩვენთვის გაუმჭირვალე და გაურკვეველი კოეფიციენტით ანგარიშდება და შესაძლოა იყოს თვეში 27 ლარიდან 250 ლარამდე. ამასთან, თანაბარი და მძიმე შრომის მიუხედავად, ბონუსებს არ იღებენ რეზერვში მყოფი თანამშრომლები. მალაზიაში არ არსებობს უსაფრთხოების სისტემა და ამის შედეგებზე პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ. ნებისმიერი სახის დანაკლისსა და ზიანზე, რაც ათეულობით ათას ლარს შეიძლება ადგენდეს, ჩვენი პირდაპირი ბრალეულობის არქონის მიუხედავად, გვინევს მისი ანაზღაურება ჩვენივე შემოსავლიდან. კომპანია პერიოდულად აკეთებს დანაკლისების აღრიცხვას, რომელსაც ანაწილებს ჩვენზე თანაბრად და გვიქვითავს ბონუსიდან. ჩვენ არ გვაქვს არანაირი მექანიზმი ავიცილოთ დანაკლისები ან წინასწარ განვსაზღვროთ რამდენი შეიძლება დაგვექვითოს ბონუსებიდან, რაც კიდევ ამცირებს ჩვენს ყოველთვიურ ანაზღაურებას. მძიმე და უსამართლო შრომითი პირობები განსაკუთრებულად აუტანელი გახდა დეკემბრის თვეში, როცა დიდი გაყიდვების გამო, კვირების მანძილზე დასვენების გარეშე, არაადამიანურ პირობებში ვიმუშავეთ. ჩვენი მძიმე შრომის მიუხედავად, კო-

მპანიამ გაცილებით დაბალი ბონუსები დაგვირიცხა, რასაც ჩვენგან სამართლიანი პროტესტი მოჰყვა. საპასუხოდ, კომპანიამ ორი კონსულტანტი სამსახურიდან იმავე დღეს გაათავისუფლა და 6 ჩვენგანის მიმართ მიიღო ქსელის სხვა მაღაზიებში გადაყვანის გადაწყვეტილება, რასაც პროტესტის ჩახშობის მიზანი აქვს.“

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მათი განცხადებები წარმოადგენდა არა ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ შეფასებას, რომელთა სიმცდარის ან მართებულობის დადგენა შეუძლებელი იყო.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეთა განცხადებები მიიჩნია მათ შეფასებით მსჯელობად და არა ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებად, რის გამოც უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლომ შედეგი უცვლელად დატოვა, თუმცა განმარტა, რომ მოპასუხეთა განცხადების მონაკვეთი - „არ გვაქვს ოფიციალური შესვენება და ერთმანეთის შეცვლის ხარჯზე დაახლოებით 15 წუთის მანძილზე ვახერხებთ სამუშაო ადგილის დატოვებას. არ გვაქვს გამოყოფილი დრო და სივრცე კვებისათვის. მიუხედავად იმისა,

რომ გვინევს ზეგანაკვეთური შრომა და ღამე მუშაობა, ადმინისტრაცია შრომას არ გვინაზღაურებს; კონსულტანტებს გვინევს ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება, ერთდროულად ვასრულებთ კონსულტანტის, მოლარის, დამლაგებლის, სანყოფის მთვლელისა და მტვირთავების ფუნქციებს“ - წარმოადგენდა არა შეფასებით მსჯელობას, არამედ ფაქტობრივ ცნობებს, რომელთა სისწორე დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ გაასაჩივრა.

უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ გავრცელებული განცხადებების სიმცდარის დამტკიცება ევალებოდა მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლომ ვიდეომიმართვის თითოეული მონაკვეთი ცალ-ცალკე განიხილა და შეაფასა მათი სიმცდარის დამადასტურებელი მტკიცებულებების საქმეში არსებობა-არარსებობა. სასამართლომ განმარტა ისიც, რომ თუკი გავრცელებული ცნობები ეხება იმას, რომ დასაქმებულებს ზედმეტად მოკლე შესვენება აქვთ, მათი სიმცდარის დასადასტურებლად არასაკმარისია სახელშეკრულებო დათქმის მოშველიება, რომელშიც შესვენების ხანგრძლივობად მეტი დრო არის მითითებული.

ნინო ქავჭავაძე